საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№22 (446)
20 - 26 ივნისი, 2018
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

## რატომ არის ქართველი ინტელიგენტი ხშირად ფარისეველი, როდესაც სასწორზე «პირადი» და «საზოგადო» ინონება?.. 18

# რატომ მოუწყვეს კვირიკაშვილს საჯაროდ გაროზგვის სეანსი? 8



## «შენ ხარ უთავმოყვარეო კაცი... გაანადგურეთ და გაანაგეთ ქვეყანა. მიზანმიმართულად მავნებლობდი» 9

## 2 «კარგი ბიჭი» ცუდ სიტუაციაში მოხვდა



„აბა, რა მექნა?" ფორმულით ისინი მძიმედ შეურაცხყოფენ ყველას, ვინც პრინციპული უარი თქვა ნაცმანიაკებთან თანამშრომლობაზე, ვინც რისკის ქვეშ დააყენა თავისი ოჯახის კეთილდღეობა, სიცოცხლე და ჯანმრთელობა, ვინც დათმო თანამდებობა, დათმო კაი ცხოვრება და დაჩაგრულ თანამემამულეებს შეუერთდა, მჩაგვრელების წინააღმდეგ ხმა ამოიღო. 3

## წინსვლა ევროპისკენ: უკრაინამ გეიაღლუმი «წარმატებით» ჩაატარა. იქნება თუ არა შემდეგი საქართველო? 6



მამა გიორგი:

„სანამ საქართველო ორიენტირებული იქნება ევროლიბერალების რჩევა-დარიგებებზე და ისინი დაგვიდგენენ დღის წესრიგს, რამე სიკეთეს არ უნდა ველოდოთ"

## პაატა კოღუაშვილი:

„აშკარად ჩანდა კვირიკაშვილის კეთილგანწყობა ბანკებისადმი... მან დაივიწყა ხალხი, დაივიწყა, რომ ადამიანი არის უმთავრესი... ანაკლიის პორტში რაც ტენდერში გამარჯვებულ კონსორციუმს თანხა უნდა შემოეტანა, არ ჩანს" 6

## ეკონომიკურად «გაბრწყინებულ» საქართველოში 48 390 ბავშვი მშიერია, თითოეული დეპუტატის ყოველთვიური შემოსავალი კი 5 ათას ლარს აჭარბებს 4

## პუტინი «საერთაშორისო იზოლაციაში»



10

„ერთი თვის განმავლობაში ფეხბურთი დაიპყრობს რუსეთს, რუსეთიდან კი ფეხბურთი დაიპყრობს სრულიად მსოფლიოს!"

## მსოფლიო ბანკმა დოლარს განაჩენი გამოუტანა 20



## ნავთობით ვაჭრობა დოლარიდან მულტივალუტურ შესყიდვაზე გადადის 20

## მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციამ ჭირი მოგვჭამა? 21



«ერთ-ერთი ვარიანტი»
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**2015-2016 წლებში რამდენჯერმე გავრცელდა ხმა იმის თაობაზე, რომ უტა ივანიშვილი აქტიურ პოლიტიკაში ჩაერთვება, სათავეში ჩაუდგება მმართველი პარტიის საარჩევნო სიას და ა.შ. მსგავსი რამ არ მომხდარა, მაგრამ ინფორმირებული წყაროები მიანიშნებდნენ, რომ „კრონპრინცისა“ და მისი სამეგობროს გავლენის სფერო ფართოვდება.**

# «კარგი ბიჭი» ცუდ სიტუაციაში მოხვდა


უტა ივანიშვილი


ბიძინა ივანიშვილი


მამუკა ბახტაძე

**„კარგი ბიჭია. სხვათა შორის, მე არ განვიხილავდი მას კანდიდატად, მაგრამ საინტერესო პიროვნებაა და შეიძლება ერთ-ერთ ვარიანტად ესეც დარჩეს“, — ასე დაახასიათა 2013 წლის 9 სექტემბერს ბიძინა ივანიშვილმა მამუკა ბახტაძე. გავიდა თითქმის ხუთი წელი, ივანიშვილი „ერთ-ერთ ვარიანტს“ დაუბრუნდა და ბახტაძე მთავრობის ხელმძღვანელი გახდა.**

ბახტაძის კარიერული წინსვლის მთავარ „ძრავად“ სახელდება მეგობრობა ბიძინა ივანიშვილის უფროს ვაჟ **უტასთან.** მიუხედავად იმისა, რომ „კრონპრინცი“ საჯარო სივრცეში თითქმის არ ჩანს, მისი დაინტერესება პოლიტიკით ეჭვს არ იწვევს. ჯერ კიდევ ხელისუფლებაში მოსვლამდე ივანიშვილი ამბობდა, რომ უტა დაჟინებით ურჩევდა, პოლიტიკურ ბრძოლაში ჩართულიყო. „ქართული ოცნების“ ჩამოყალიბების პერიოდში, როდესაც შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ ბიძინა ივანიშვილს, როგორც საფრანგეთის მოქალაქეს, აქტიური პოლიტიკური მოღვაწეობის შესაძლებლობას შეუზღუდავდნენ, ის ამბობდა, რომ უტა ივანიშვილი შეიძლება პარტიის ერთგვარი ალტერნატიული ლიდერი გახდეს: „ჩამოვაყალიბებთ პოლიტიკურ პარტიას, ოღონდ უკვე უჩემოდ და იქ ერთ-ერთი ჩემი ახლო ნათესავი ან სულაც ჩემი ვაჟი უტა გამოჩნდება ჯგუფთან ერთად; შესაბამისად, გახმიანდება ივანიშვილის გვარიც... უტა მოიაზრება ამ პოლიტიკურ ძალაში, მაგრამ არ მინდა, იმდენად აქტიურად ჩაერთოს პოლიტიკაში, რომ სწავლას მოსწყდეს. ის გულუბრყვილოდ უყურებს ბევრ საკითხს, რასაც მე ჩემი გამოცდილების წყალობით დავძლევ“, — განუცხადა ბიძინა ივანიშვილმა „კვირის პალიტრას“ 2011 წლის ნოემბერში.

**2015-2016 წლებში რამდენჯერმე გავრცელდა ხმა იმის თაობაზე, რომ უტა ივანიშვილი აქტიურ პოლიტიკაში ჩაერთვება, სათავეში ჩაუდგება მმართველი პარტიის საარჩევნო სიას და ა.შ. მსგავსი რამ არ მომხდარა, მაგრამ ინფორმირებული წყაროები მიანიშნებდნენ, რომ „კრონპრინცისა“ და მისი სამეგობროს გავლენის სფერო ფართოვდება.** გასაკვირი ამაში, ალბათ, არაფერია — ბიძინა ივანიშვილი საქართველოს სხვა ლიდერებზე ადრე მიხვდა, რომ დროის შეჩერების მცდელობა (რომელსაც არაერთი ჰიბრიდული რეჟიმი მიმართავს) დამღუპველია და დაიწყო საუბარი **ახალი ელიტის აღზრდაზე, რომელიც ქვეყანას სათავეში დაახლოებით 2030 წლიდან ჩაუდგება. მის ბირთვად კი ბიძინა ივანიშვილი, შესაძლოა, სწორედ „უტას გუნდს“ განიხილავს და, შესაბამისად, აპირებს მისი პასუხისმგებლობის ზონა თანდათან გააფართოვოს, ცხადია, კონტროლის შენარჩუნების პირობებში.**

კვირიკაშვილის პრემიერობის პერიოდში მინისტრთა კაბინეტი ერთიან ორგანიზმს არ წარმოადგენდა. საკვანძო მინისტრებს ბიძინა ივანიშვილი პირადად აკონტროლებდა; მათთან ხანგრძლივი ურთიერთობა და თანამშრომლობა აკავშირებდა (უპირველესად, „ქართუ ჯგუფში“). სიტუაცია, სავარაუდოდ, არ შეიცვლება და ბახტაძის გავლენა, მაგალითად, ძალოვან ბლოკზე მინიმალური იქნება, მაგრამ, ამასთანავე, მან შეიძლება მიიღოს რადიკალური ეკონომიკური რეფორმების გატარების შესაძლებლობა. **ამისთვის საჭიროა კონტროლი ეკონომიკურ ბლოკზე, რომელსაც აქამდე კვირიკაშვილი-ქუმსიშვილის უცნაური დუუმვირატი მართავდა — ორ ხელმძღვანელს შორის არსებული წინააღმდეგობები და მათი ერთობლივი ინტერესები, ფაქტობრივად, ერთმანეთს ბლოკავდა.**

თამამი **ეკონომიკური რეფორმები ვერ გატარდებოდა პოლიტიკური სიტუაციის სტაბილიზაციამდე, ხოლო რეფორმების მიყვანა ბოლომდე შეუძლებელი იქნება მთელი სისტემის, უპირველესად კი, მისი სამართალდამცავი სეგმენტის რეფორმის გარეშე. ზოგი ვერ ხედავს ამ კავშირს და ვერ აცნობიერებს, რომ ნორმალური სასამართლოსა და პროკურატურის არარსებობა ნორმალური ეკონომიკის არსებობას გამორიცხავს.**

დავით სარალიძის მკვლელობის გამოძიებასთან დაკავშირებულმა კრიზისმა დაადასტურა, რომ სისტემა ისეთ მდგომარეობაშია, რომ საფრთხეს საკუთარ თავს უქმნის. ამავე დროს, **მმართველი პარტიის რეიტინგის დაცემამ და ეკონომიკური სტატისტიკის გაუარესებამ ნათლად აჩვენა, რომ მოსახლეობის მოთმინების ფიალა პრაქტიკულად ავსებულია. პრობლემა ისაა, რომ იმ მასშტაბის რეფორმები, რომლებიც საქართველოს სჭირდება, სხვა ქვეყნებში, ხშირ შემთხვევაში, წარუმატებლად სრულდება.** ამ პერსპექტივის გათვალისწინებით, მმართველი ელიტა ცდილობს, ავანგარდში ისეთი ფიგურები დააყენოს, რომელსაც წარუმატებლობის შემთხვევაში იოლად მოიცილებს და ხელსაც შეაწმენდს. **ბახტაძე ამ მხრივ საინტერესო კანდიდატურაა, ის არ წარმოადგენს მძლავრი კლანის ნაწილს და, სავარაუდოდ, კვირიკაშვილის მსგავსად, მისი ფორმირებისთვის საჭირო უნარ-ჩვევები არ აქვს. ძნელი წარმოსადგენია, ის ბიძინას ან უტა ივანიშვილს აუბუნტდეს — „კარგი ბიჭი“ ამისთვის მეტისმეტად დამჯერი ჩანს.**

ბახტაძის ოფიციალურ ბიოგრაფიაში არის ერთი საეჭვო მომენტი: **მაია რჩეულიშვილის** მიერ ხელმოწერილი დოკუმენტების თანახმად, რომლებიც ბლოგ „კავშირების“ მიერ მოვიპოვეთ, **მამუკა ბახტაძე „ცენტრ პოინტ ინვესტი პლუსის“ დირექტორად სწორედ იმ პერიოდში მუშაობდა, როდესაც ამ კომპანიას განრისხებული კლიენტები მიადგნენ.** პრობლემა ისაა, რომ ამ დრომდე ეს ფაქტი ბახტაძის ოფიციალურ ბიოგრაფიაში არ ასახულა, შესაძლოა, ფიგურანტმა მისი დამალვა სცადა. ასე რომ, კითხვას „რას აკეთებდა ბახტაძე „ცენტრ-პოინტში?“ კიდევ არაერთგზის დასვამენ.

**კიდევ ერთი სკანდალური ეპიზოდი „ნაცმოძრაობისთვის“ გადარიცხულ 20 ათასლარიან შემოწირულობას ეხება.** ბახტაძე იმ პერიოდში „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის“ დირექტორი იყო, რომელიც „საქართველოს ინდუსტრიულ ჯგუფში“, მარტივად რომ ვთქვათ, **ბეჟუაშვილების** იმპერიაში შედიოდა. დავით ბეჟუაშვილი მაშინ კენჭს იყრიდა თეთრიწყაროს მაჟორიტარად „ნაცმოძრაობიდან“ და ამ პარტიას მხოლოდ ერთი წლის შემდეგ დაშორდა.

„ქართული ოცნება“ ბახტაძის ამ ნაბიჯს, ფაქტობრივად, იმით ამართლებს, რომ მას სხვა გამოსავალი არ ჰქონდა იმ სიტუაციაში, როდესაც ხელისუფლება აიძულებდა ბიზნესმენებს, მისი „ობშიაკი“ შეევსო. ეს, ალბათ, შეურაცხყოფაა, როგორც ამომრჩევლების, ისე თვითონ ბახტაძის. **სხვა არჩევანი ნამდვილად არსებობდა — ეს იყო მამაცი და მაღალი ზნეობრივი პრინციპების მქონე ადამიანების არჩევანი, რომლებიც უპირისპირდებოდნენ დიქტატორულ რეჟიმს, უძლებდნენ წამებას, იჯდნენ ციხეებში და შიშველი ხელებით აკავებდნენ შეიარაღებულ ზონდერებს, რომლებიც საარჩევნო ყუთებს იტაცებდნენ**. ამ მოქალაქეების გარეშე ბიძინა ივანიშვილი ხელისუფლებაში ვერასოდეს მოვიდოდა და, შესაბამისად, ვერ დანიშნავდა თანამდებობებზე ადამიანებს, რომლებიც, მამუკა ბახტაძის მსგავსად, ჩუმად, ზოგჯერ კი სიხარულით ემორჩილებოდნენ სააკაშვილის სადისტური რეჟიმის ყველა მოთხოვნასა თუ ჭირვეულობას.

შეიძლება გაჩნდეს კითხვა: **რატომ დანიშნა ივანიშვილმა ბახტაძე, მიუხედავად იმისა, იცოდა, რომ „შემომწირველის“ კანდიდატურა სააკაშვილის ძველ მოწინააღმდეგეებს გააღიზიანებდა?** საქმე ისაა, რომ მსგავსი საკითხი დღის წესრიგში უკვე დადგა 2016 წლის ნოემბერში, როდესაც ინფრასტრუქტურის მინისტრად **ზურაბ ალავიძე** დაინიშნა. **ალავიძე 2012-ში „დარიალი ენერჯის“ გენდირექტორი გახლდათ და „ნაცმოძრაობას“ 35 ათასი ლარი ჩაურიცხა. როდესაც დანიშვნის პერიოდში ეს გაუხსენეს, ალავიძემ თავდაპირველად იცრუა და თქვა, რომ შემოწირულობას ადგილი არ ჰქონია, ხოლო ფაქტის დადასტურების შემდეგ დადუმდა. მიუხედავად ამისა, მინისტრი მაინც გახდა და იმ საზოგადოებამ, რომელიც დღეს უკმაყოფილოა „შემომწირველი“ ბახტაძის დანიშვნით, ეს მხოლოდ სოციალურ ქსელებში გააპროტესტა.** თუ ის მაშინ პრინციპულ პოზიციას დაიკავებდა, არც ალავიძე გახდებოდა მინისტრი და, შესაძლოა, ბახტაძესაც არ დანიშნავდნენ, ან მის ნაბიჯს სხვა, უფრო გონივრულ ახსნას მოუძებნიდნენ.

**ახალმა პრემიერმა პრიორიტეტებზე საკმაოდ ბუნდოვნად ისაუბრა. ზოგადი ფრაზები ევროინტეგრაციაზე ან, მაგალითად, შემდეგი პასაჟი: „ჩვენ განვახორციელებთ ინოვაციურ და ფუნდამენტურ რეფორმებს ყველა მიმართულებით. ამ რეფორმების შედეგად ჩამოვაყალიბებთ ახალ ეკონომიკურ მოდელს, ახალი სამართლიანი თამაშის წესებით, რომელიც შეეხება ყველა ოჯახს და ჩვენს ყველა მოქალაქეს“ — უფრო ჰგავდა პროპაგანდას, ვიდრე სამოქმედო პროგრამის ნაწილს. მით უმეტეს, რომ ამის შემდეგ ბახტაძემ თქვა: „ჩვენ შევძლებთ და შევამცირებთ ჩამორჩენას დემოკრატიის მაღალ სტანდარტსა და ეკონომიკურ მდგომარეობას შორის“. ეს, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე საშიში ილუზიაა, რომელიც „ქართული ოცნების“ ზედა ეშელონებში ბოლო დროს გავრცელდა.** ისინი გამუდმებით საუბრობენ რაღაც მითურ მაღალ დემოკრატიულ სტანდარტებზე, რომელთა ერთ-ერთ გამოვლინებად, ალბათ, უნდა ჩავთვალოთ ბაქანალია, რომელიც მმართველმა პარტიამ ბორჯომის საკრებულოში მოაწყო, როდესაც საკუთარ აქტივისტებს ხელფასებს უზრდიდა, ან კონსტიტუციის გაუპატიურება, ან ტოტალური კონტროლი ხელისუფლების ყველა შტოზე.

გაცილებით გასაგები და, ალბათ, მისასალმებელი იყო მამუკა ბახტაძის მოსაზრებები „მცირე მთავრობის“ კონცეფციასა და ანტიკორუფციული კონტროლის გაძლიერებაზე. პრობლემა მხოლოდ ისაა, რომ ანალოგიურ განცხადებებს საქართველოს უკლებრივ ყველა ხელისუფლება აკეთებდა, თანაც არაერთგზის, სხვადასხვა მაღალჩინოსნის პირით. ასე რომ, ეს ის საკითხია, რომლის მიმართ საზოგადოება „ურწმუნო თომად“ ჩამოყალიბდა და არაფერს დაიჯერებს, სანამ რეალურ ცვლილებებს საკუთარი თვალით არ დაინახავს.

„მასშტაბური ინვესტიციები განათლებაში და ამ სექტორის ფუნდამენტური რეფორმა იქნება საქართველოს მთავრობის აბსოლუტური პრიორიტეტი“, — განაცხადა მამუკა ბახტაძემ. ამ შემთხვევაშიც საზოგადოება არ იტყვის „ამ დღეს ველოდი, მოვესწარ“, მიუხედავად იმისა, რომ მისი უმრავლესობა ამ პრიორიტეტს იზიარებს, საზოგადოება კონკრეტულ ნაბიჯებს დაელოდება. სავარაუდოდ, სწორედ ეს გახდება მთავრობის მთავარი პრობლემა — დაანახვოს გადაღლილ, გაღიზიანებულ საზოგადოებას რეალური შედეგები უფრო სწრაფად, სანამ ამოიწურება წინა წლებთან შედარებით მცირე ნდობის კრედიტი, რომელიც ახლახან მიიღო.

**ანალოგიურ განცხადებებს საქართველოს უკლებრივ ყველა ხელისუფლება აკეთებდა, თანაც არაერთგზის, სხვადასხვა მაღალჩინოსნის პირით. ასე რომ, ეს ის საკითხია, რომლის მიმართ საზოგადოება «ურწმუნო თომად» ჩამოყალიბდა და არაფერს დაიჯერებს, სანამ რეალურ ცვლილებებს საკუთარი თვალით არ დაინახავს. სავარაუდოდ, სწორედ ეს გახდება მთავრობის მთავარი პრობლემა**

**ლუკა ნემსაძე**

ყველანი ეგეთი „ჭკვიანები“ რომ გამოვმდგარიყავით ნაცების პერიოდში და „აბა, რა გვექნას“ პრინციპით გვეხელმძღვანელა, გავფრთხილებოდით ჩვენს თანამდებობებს, ჩვენს ჯიბეს, გვეფიქრა ჩვენს უსაფრთხოებაზე და ვყოფილიყავით მშვიდად, არ გვებრძოლა, არ გვეომა, ქუჩებში არ გამოვსულიყავით ნაცების მანიაკური რეჟიმის წინააღმდეგ, ვისი მხარდაჭერით მოვიდოდა პატივცემული ბიძინა ივანიშვილი ხელისუფლებაში?!



ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «აბა, რა მექნა» ტიპები

**ამას წინათ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაცია „გირჩის“ დახურული ჯგუფიდან ამოღებული ე.წ. სქრინები, ანუ კომპიუტერის ეკრანის „ფოტოები“ მანახვეს. იქ ასახული იყო ჯგუფში გაწევრებული ერთ-ერთი მომხმარებლისა და „გირჩის“ ლიდერ ზურაბ ჯაფარიძის დიალოგი, უფრო ზუსტად, მოკლე კითხვა-პასუხი.**

„— ბატონო ზურაბ, ახლა რომ ამდენს ლაპარაკობთ და ასეთ აქციებს აწყობთ მარიხუანის და, ზოგადად, ნარკოტიკის დეკრიმინალიზაციისა თუ ლეგალიზაციის თემებზე, როგორც მახსოვს, მიშას დროს პარლამენტის წევრი ბრძანდებოდით, მაშინ რატომ არ იღებდით ხმას? რატომ იყავით ჩუმად?

— **რა გგონიათ: დავმალავ თუ მომერიდება თქმა? — ჩუმად იმიტომ ვიყავი, რომ ხმას თუ ამოვიღებდი ტ**კში სკამის ფეხს გამიკეთებდნენ!“** — ალალად ეპასუხება ჯაფარიძე.

„— თუ ეს ისეთი ხელისუფლება იყო, რომელიც ხალხს ტ...კში სკამის ფეხს ურჭობდა, მაშინ რატომ იყავით ასეთ ხელისუფლებასთან დაახლოებული და რატომ ცდილობდით მათ წიაღში კარიერის გაკეთებას?“ — არ ეშვება ინტერნეტ-მომხმარებელი.

„— აქაც გულწრფელი ვიქნები და ალალად გეტყვით: მათ გარდა, არავინ იყო სხვა ქვეყანაში ფინანსურად ძლიერი და, მათთან რომ არ ვყოფილიყავი, მოვკვდებოდი შიმშილით“.

კვლავ სიალალისა და გულწრფელობის პიკს ინარჩუნებს ჯაფარიძე.

რატომ დამჭირდა ამ „სქრინების“ აქ მოტანა? რატომ და, მგონია, რომ მოსალოდნელია, მალე **ზურაბ ჯაფარიძე** საქართველოს პრემიერმინისტრადაც ვიხილოთ, მანამდე კი, ალბათ, რამე სერიოზულ თანამდებობას აუცილებლად შესთავაზებენ.

საიდან ასეთი უცნაური დასკვნები? — საქართველოს ახალი პრემიერმინისტრის, მამუკა ბახტაძის, მიმართ გამოთქმული „გამპრავებელი“ აზრების წაკითხვის შემდეგ ასეთი დასკვნა თავისთავად ჩნდება. რა, თუკი ბახტაძის წარსული და მის მიერ ჩადენილი საქციელი ითვლება იმის დამამტკიცებელ არგუმენტებად, როგორი „სუპერთანამედროვე“ (მისი მეხოტბეების ტერმინია!) და ეფექტიანი პრემიერი იქნება იგი, მაშინ ზურაბ ჯაფარიძის სიალალე და გულწრფელობა რატომ უნდა დავკარგოთ და რატომ არ უნდა მივცეთ მას შანსი, ილვაწოს ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ?

აკი, **„გამპრავებელ“-მეხოტბეები (რომლებიც ბახტაძეს ისევე უცებ გამოუჩნდნენ, როგორც კვირიკაშვილს და მანამდე ღარიბაშვილს) ბახტაძის ძირითად „ღირსებად“ სწორედ იმას მიიჩნევენ, რომ იგი არ მალავს თავის წარსულს, არც იმას, რომ დავით ბეჟუაშვილის ერთ-ერთ „კანტორაში“ წამყვან თანამდებობაზე მუშაობდა, ხოლო 2012 წელს „ნაციონალურ მოძრაობას“ 20 ათასი ლარი ჩაურიცხა...**

არ მალავს! აი რა ყოფილა, თურმე მთავარი! სხვათა შორის, ვინც ზურაბ ჯაფარიძის „სქრინები“ გადმომიგზავნა, ისიც მოხიბლული იყო ჯაფარიძის პერსონით, — ნახე, ეს რა კაი ტიპი ყოფილა, არაფერს მალავს და ალალად ამბობსო.

მართლა ვერ ვხვდები, რამ წარმოშვა ქართველ საზოგადოებაში ასე უცნაურად მოაზროვნე ნაწილი, რომლისთვისაც თურმე „სიალალე“ ყოფილა ადამიანის მიერ ჩადენილი უზნეო საქციელების „ჩამოწერის“ მთავარი და საკმარისი კრიტერიუმი? თუმცა აქ ხომ საქმე მხოლოდ „ცოდვების ჩამოწერაზე“ არ არის, მეტიც — ასეთი „ალალი“ ხალხი უნდა დავაწინაუროთ და პრემიერმინისტრად უნდა დავნიშნოთ კიდეც თურმე. აი, ის „ჯაფარიძისტიც“ მაგას მწერდა: მე ამ ალალ კაცს, ჯაფარიძეს, უნდა მივცე ხმა, თუ იყრის კენჭს საპრეზიდენტო არჩევნებზეო!

იყრის! დარწმუნებული ვარ იყრის და გამარჯვებაშიც სრულიად დარწმუნებული იქნება, რადგან **თვითონ „ჯაფარიძეებმაც“ გადასარევად იციან, რომ ჩვენ ისეთ საზოგადოებაში ვცხოვრობთ, რომლისთვისაც მთავარია, „ალალად აღიარო“, ჯოჯოხეთში სატანის მოციქული რომ იყავი და იმწამს შენს გადაყვანას მოითხოვენ „სამოთხის დირექტორად“; შეიძლება ამ მოთხოვნით „მასშტაბური ქუჩის აქციებიც“ კი გამართონ!**

**„მერე რა, რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ 20 ათასი ლარი ჩაურიცხა 2012 წლის არჩევნების დროს?! აბა, რა ექნა?! არ ჩაურიცხავდა და მისი აჯობებდა, დედას უტირებდნენ! აბა, რომელი არ მოიქცეოდით ასე?“ — წერენ სოციალურ ქსელებში ყოფილი „კვირიკოფილები“, რომლებიც ახლა „ბახტაძოფილებად“ გადაქცეულან, ადრე კი „ღარიბოფილები“ იყვნენ.**

აი, ასე „პრავდება“ ბახტაძის მიერ „ნაციონალებისთვის“ გაწეული ფინანსური დახმარება და, როგორც ჩანს, თვითონ ბახტაძეც, „გირჩელი“ ჯაფარიძისა არ იყოს, „ალალად“ და „გულწფელად“ მზად არის, აღიაროს: რომ არ ჩამერიცხა და რომ არ მომეჩვენებინა თავი ნაციონალების მხარდამჭერად, შიმშილით მომკლავდნენო.

ასეთი **„აბა, რა მექნა?“** ტიპები უკვე თამამად გამოჩნდნენ ასპარეზზე. თუ ნაცების წიაღიდან ამოზრდილი და „ოცნების“ წიაღში დაწინაურებული პერსონები აქამდე იმას მაინც ცდილობდნენ, რომ დაემალათ ეს „ნაცებისშნირული“ (როგორც ეს დავით კირკიტაძემ უწოდა არჩილ თალაკვაძეს) წარსული, ახლა ისინი უკვე წელში გამართულად და ერთგვარი სიამაყითაც კი ამბობენ: **„აბა, რა მექნა?“**



**«აბა, რა მექნა?» ფორმულით ისინი მძიმედ შეურაცხყოფენ ყველას, ვინც პრინციპული უარი თქვა ნაცმანიაკებთან თანამშრომლობაზე. ვინც რისკის ქვეშ დააყენა თავისი ოჯახის კეთილდღეობა, სიცოცხლე და ჯანმრთელობა, ვინც დათმო თანამდებობა, დათმო კაი ცხოვრება და დაჩაგრულ თანამემამულეებს შეუერთდა. მჩაგვრელების წინააღმდეგ ხმა ამოიღო**

ყველაზედ დიდი უბედურება ის არის, რომ ქართველი საზოგადოების არცთუ მცირე ნაწილი ასევე რიხით უკრავს კვერს მათ: **„აბა, რა ექნა?“**

ამ **„აბა, რა ექნა?“**- ში, რა თქმა უნდა, იგულისხმება ის, რომ, თუ ეს კონკრეტული პერსონა (რომლის „გაპრავებაც“ არის იმ მომენტში საჭირო) ნაცებს არ გადაურიცხავდა ფულს, არ მოაჩვენებდა თავს მათ მხარდამჭერად, არ შეეტენებოდა, ასეთ შემთხვევაში მას ან დააპატიმრებდნენ, ან ბიზნესს დაუნგრევდნენ, ან სამსახურიდან მოხსნიდნენ და — **„აბა, რა ექნა?“**

საბოლოოდ, ეს ადამიანი **„კარგი და საყვარელი ბიჭია“**, უბრალოდ, სხვა გზა არ ჰქონდა...

კარგი, გასაგებია „გაპრავების“ ეს უნიკალური მეთოდი, მაგრამ ამ „ყოვლისგამპრავებლებმა“ იქნებ მიპასუხონ: **ყველანი ეგეთი „ჭკვიანები“ რომ გამოვმდგარიყავით ნაცების პერიოდში და „აბა, რა გვექნას“ პრინციპით გვეხელმძღვანელა, გავფრთხილებოდით ჩვენს თანამდებობებს, ჩვენს ჯიბეს, გვეფიქრა ჩვენს უსაფრთხოებაზე და ვყოფილიყავით მშვიდად, არ გვებრძოლა, არ გვეომა, ქუჩებში არ გამოვსულიყავით ნაცების მანიაკური რეჟიმის წინააღმდეგ, ვისი მხარდაჭერით მოვიდოდა პატივცემული ბიძინა ივანიშვილი ხელისუფლებაში?**

დიახ! აქ სწორედ ეს არის მთავარი, რომ ასეთი **„აბა, რა მექნა?“** ფორმულით ისინი არა მხოლოდ საკუთარ თავს წარმოაჩენენ „ჭკვიანებად“, არამედ მძიმედ შეურაცხყოფენ ყველას, ვინც პრინციპული უარი თქვა ნაცმანიაკებთან თანამშრომლობაზე. ვინც რისკის ქვეშ დააყენა თავისი ოჯახის კეთილდღეობა, სიცოცხლე და ჯანმრთელობა, ვინც დათმო თანამდებობა, დათმო კაი ცხოვრება და დაჩაგრულ თანამემამულეებს შეუერთდა. მჩაგვრელების წინააღმდეგ ხმა ამოიღო.

**ასეთი ხალხი დღეს, საერთოდ, მივიწყებულია, ხოლო ქართული პოლიტიკისა და საზოგადოებრივი ცხოვრების კორიფეები სწორედ ეს „აბა, რა მექნა“ ტიპები არიან.**

ამის შემდეგ, მე თუ მკითხავთ, ზედმეტია კითხვა: გვეშველება რამე? ამ კითხვის პასუხი მარტივია: არა, არ გვეშველება! და ამას მე ჯერ კიდევ 2013 წელს ვწერდი, როდესაც **ბიძინა ივანიშვილმა** თვითონ წამოიწყო ყოვლად უზნეო კამპანია „სისტემის მსხვერპლის“ შესახებ, რასაც არაერთი „ბობოლა ნაცის“ თანამდებობრივი დაწინაურება მოჰყვა.

რა თქმა უნდა, შორს ვარ იმ აზრისგან, რომ, მიშამ და მისმა მთავრობამ რომელ ბიზნესმენებსაც ფული „აახია“ ან ბიზნესი გაუნადგურა და დააქცია, ყველა ანგელოზი და მამა აბრამის ბატკანი იყო! მაგრამ **ის მცირე და საშუალო ბიზნესის პატრონები ან თუნდაც საშუალო დონის ჩინოსნები, რომლებმაც პრინციპულად თქვეს უარი ნაცმანიაკებთან თანამშრომლობაზე, ძირითადად, მართლაც ღირსეული, ნამუსიანი, კეთილშობილი ადამიანები იყვნენ და გამოდის, რომ ასეთებს ჩვენი სახელმწიფო ფეხებზე იკიდებს. ხოლო ისინი, ვინც „ჭკუა იხმარა“ და ჯერ ნაცებს შეუძვრა, ხოლო შემდეგ „ქოცებს“ აულოკა ერთ ადგილი, ყოფილან ჩვენი სახელმწიფოს მომავლის განმსაზღვრელნი და ჩვენი შვილებისთვის, მომავალი თაობისთვის მაგალითის მიმცემნი.**

***** ასე ხომ ისიც შეგვიძლია ვთქვათ: იმ ცნობილ „კასტილიან კაცს“, აბა, რა ექნა?! არ მივიდოდა მაგიდაზე სკოჩებით დაბმულ საცოდავ კაცთან და მერე ნახავდა, რასაც უზამდნენ ნაცები!

***** ასევე შეგვიძლია „გავაპრავოთ“ ნებისმიერი — **ეს კაცი მიტინგებს არბევდა? მერე რა?! არ იზამდა ამას და მისი აჯობებდა! აბა, რა ექნა?!**

*** რა ექნა იმ მოსამართლეს, რომელსაც უთხრეს, რომ ესა და ეს კაცი უდანაშაულოა, მაგრამ შენ მაინც 30 წელი უნდა მიუსაჯოო? მიუსაჯა! არ მიუსჯიდა და... აბა, რა ექნა?!**

**არა, არავინ მოითხოვს ვინმეს დახვრეტას, პასუხის მკაცრად მოთხოვნას და რამე მსგავსს, მაგრამ ასეთი ადამიანების დაწინაურება უზნეობის დიდი პროპაგანდაა ქვეყანაში და ეს ქვეყანას სიკეთემდე ნამდვილად არ მიიყვანს!**

სასაცილო არგუმენტია ისიც, რომ ამას თურმე „დასავლეთი ითხოვს“! დასავლეთი შეიძლება მოითხოვდეს იმას, რომ ვინმე ციხეში არ ჩავსვათ, მაგრამ გინდა თუ არა, დავით ბეჟუაშვილის კადრები დააწინაურეთო, დავიჯეროთ, ამას ითხოვს დასავლეთი?

**საქართველოში ბოლო პერიოდის ორი ყველაზე სკანდალური თემაა „მინდელის შახტი“, რომელშიც რამდენიმე ადამიანი დაიღუპა, და „ცენტრ პოინტი“, რომელსაც ათასობით უსახლკარო ადამიანი უჩივის და მისი დამფუძნებლები დღეს ციხეში სხედან. ორივე ამ „კანტორის“ დირექტორი სწორედ ჩვენი ახალი პრემიერი მამუკა ბახტაძე გახლდათ...**

აქ კიდევ ერთხელ გავიხსენებ ძველ რომაულ გამოთქმას: **„ის, ვინც წარმატებულია საქმეში, ხოლო ჩამორჩენილი ზნეობაში, უფრო ჩამორჩენილად უნდა მივიჩნიოთ, ვიდრე წარმატებულად“, თუმცა ბახტაძეს, ვერც საქმეში დავაბრალებთ წარმატებულობას.**

სხვათა შორის, ახალი პრემიერის „გამპრავებლები“ და მეხოტბეები ერთ ასეთ უცნაურ ფრაზასაც იმეორებენ ხშირად: „მამუკა ბახტაძე იქნება საქართველოს სუპერთანამედროვე პრემიერმინისტრი!“

იცით რა, ჭკვიანი პრემიერი გამიგია, სულელი პრემიერიც გამიგია, ეფექტიანი პრემიერიც გამიგია, გაბედულიც და მშიშარაც, რეფორმატორიც და კონსერვატორიც... მაგრამ, აი, „სუპერთანამედროვე პრემიერი“ რას ნიშნავს, ვერაფრით გავიგე — ეგ რომელია, კარგად რომ რეპავს თუ ჰიპ-ჰოპს რომ ცეკვავს კარგად? ან იქნებ ჰოვერბორდით რომ დაგორავს და ყურებში თეთრი „ნაუშნიკები“ აქვს გარჭობილი?

მართლა ვერაფერი გავიგე! ჰოკეია ნამდვილი...

**ასეთი ხალხი დღეს, საერთოდ, მივიწყებულია, ხოლო ქართული პოლიტიკისა და საზოგადოებრივი ცხოვრების კორიფეები სწორედ ეს «აბა, რა მექნა» ტიპები არიან**

სიმდიდრე და სიღატაკე

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ქართული ოცნების" მთავარი პოლიტიკური ბურჯი და შემოქმედი ბიძინა ივანიშვილი ხალხს ჯერ კიდევ 2012 წელს ჰპირდებოდა, რომ მისი მმართველობის 3 წლის თავზე ქვეყანას ნამდვილი ეკონომიკური ბუმი ექნებოდა, მეოთხე და მეხუთე წლებში კი ოქროს ხანა დაუდგებოდა. ექვსი წლის თავზე კი რეალობა არის ის, რომ ბავშვების 6,8% (ანუ, დაახლოებით 50 ათასამდე ბავშვი), პენსიონერების 3,7% და მთლიანად მოსახლეობის 5,0% უკიდურესი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს.**

# ეკონომიკურად «გაბრწყინებულ» საქართველოში 48 390 ბავშვი მშიერია, თითოეული დეპუტატის ყოველთვიური შემოსავალი კი 5 ათას ლარს აჭარბებს

**მიმდინარე პოლიტიკური ტაშ-ფანდურასა და „ნაც-ქოცური" ბაქქანალიის ფონზე, რომელსაც, როგორც ჩანს, დასასრული კიდევ კარგა ხანს არ ექნება, წინა კვირას, 12 მაისს, გაეროს ბავშვთა დაცვის ფონდმა (unicef) მორიგი გულის განმგმირავი და, რომ იტყვიან, სისხლის გამყინავი შედეგი გამოგვიქვეყნა — ბოლო პერიოდში ჩატარებული კვლევის თანახმად, საქართველოში ბავშვების 6,8% შიმშილობსო. იმავე კვლევაში აღნიშნულია, რომ უკიდურესი სიღარიბის ზღვრად მიჩნეულია დღეში 1,25 აშშ დოლარი, რაც ნიშნავს, რომ ამ ოდენობის შემოსავლის პირობებში ოჯახში მცხოვრები თითოეული ადამიანის დღიური ხარჯი დაახლოებით 3 ლარია, ანუ ერთ ზრდასრულ მოქალაქეზე თვეში 82,8 ლარი მოდის, რაც არანაირ სტანდარტს, საარსებო მინიმუმის თუნდაც ყველაზე შეზღუდულ და უკიდურეს ზღვრამდე დაყვანილ მაჩვენებლებსაც არ შეესაბამება.**



ახლა — რას ნიშნავს ან შეიძლება ნიშნავდეს ჩვენთვის ეს კვლევა (გარდა უბრალოდ ციფრებისა და სტატისტიკისა): ცხადია, ერთი მხრივ, სიახლე არავისთვისაა ის, რომ საქართველოში ეკონომიკურად უკიდურესად მძიმე, გაუსაძლისი მდგომარეობაა, მაგრამ, მეორე მხრივ, როდესაც კონკრეტული ორგანიზაცია (მით უმეტეს, ჩვენი პროდასავლური პოლიტელიტისთვის უაღრესად ავტორიტეტული გაერო) ციფრებით გეუბნება, მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი შიმშილით გიკვდებაო, არც მეტი, არც ნაკლები, საქმე სოციალურ აპოკალიფსთან გაქვს. რატომ? მოდი, მარტივად გამოვთვალოთ ეს ყველაფერი. **მოსახლეობის ბოლო აღწერის (2014 წლის) თანახმად, საქართველოში 691 329 ბავშვია (საუბარია 14 წლამდე მოზარდზე), ამ რაოდენობის 6,8 პროცენტი კი დაახლოებით 48 390 ბავშვია. ეს ნიშნავს, რომ დღეს ჩვენს ქვეყანაში ყოველი X-XII ბავშვი მშიერი დადის (არათუ საარსებო მინიმუმის პირობებში ცხოვრობს). შესაბამისად, ეს ბავშვები მოკლებულნი არიან ყველანაირ ადამიანურ პერსპექტივას და შესაძლებლობას,** დაწყებული ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობით, დამთავრებული სხვა სიკეთეებით, რომლებიც მოქალაქეს რაიმე მომავალს შეიძლება უქმნიდეს. მარტივად რომ ვთქვათ, ეს ბავშვები ხელისუფლების მხრიდან განწირულნი არიან (და როგორც სახელმწიფო არ არსებობს მათთვის, სახელმწიფოსთვისაც არ არსებობენ ისინი). ყოველ შემთხვევაში მმართველი გუნდი (როგორც წინა, ისე მოქმედი) ამ საკითხზე ყურს არ იბერტყავს და რამდენჯერაც გაერომ მსგავსი საგანგაშო მონაცემი გამოაქვეყნა, პოლიტელიტამ სირაქლემასავით თავი ქვიშაში დურთა, — თითქოს არაფერი მომხდარა. არადა, ამ სიჩუმის მიღმა უმოქმედობის მეტი არაფერი იმალება, თორემ, რამე რომ კეთდებოდეს და, უბრალოდ, პიარში მოიკოჭლებდნენ, ვინ ჩივის. სხვათა შორის, ხელისუფლება ზუსტად ასე გაიტრუნა მაშინაც, როცა იმავე გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ გვითხრა, რომ 2050 წლისთვის, შესაძლოა, ჩვენს ქვეყანაში ეთნიკურ უმცირესობაში აღმოვჩნდეთ, ანუ **სიჩუმე და გასუსვა იმ დროს, როცა კატასტროფა (დემოგრაფიული ან რამე სხვა სახის) აშკარაა, ამ ხელისუფლებისთვის დამახასიათებელი ბუნებრივი პოლიტიკური მდგომარეობაა. მათთვის ეს უკვე კარგად ნაცადი ხერხი და „გამოსავალია" არასასურველ ვითარებაში...**

ახლა ვიღაცამ შეიძლება იფიქროს, რომ საქართველო ღატაკი ქვეყანაა, ბიუჯეტში ფული არ არის და ხელისუფლება უხერხულობის გამო ხმას ვერ იღებს. ამის დაჯერება გულუბრყვილო ადამიანისთვის, ალბათ, ადვილია, მაგრამ საკმარისია, მინისტრების, დეპუტატებისა და სხვადასხვა დეპარტამენტში მომუშავე სახელმწიფო მოხელეების შემოსავლებს გადავხედოთ, გულუბრყვილობა და მიამიტობა სასაცილოდ მოგვეჩვენება. მაშ ასე, დავიწყოთ პარლამენტის დეპუტატებით, ჯერ უმრავლესობის წარმომადგენლების ჯამაგირები ვნახოთ: **ზვიად ძიძიგური** — წლიური შემოსავალი 76 065 ლარი, ყოველთვიური — 6 338,75 ლარი; **გიორგი ვოლსკი** — წლიური შემოსავალი 66 826,43 ლარი, ყოველთვიური — 5 568,86 ლარი; **ზვიად კვაჭანტირაძე** — წლიური შემოსავალი 66 465 ლარი, ყოველთვიური — 5 538,75 ლარი; **ერეკლე ტრიპოლსკი** — წლიური შემოსავალი 65 441,42 ლარი, ყოველთვიური – 5 453 ლარი; **მამუკა მდინარაძე** — წლიური შემოსავალი 65 625 ლარი, ყოველთვიური – 5 468,75 ლარი; **ირაკლი სესიაშვილი** — წლიური შემოსავალი 66 465 ლარი, ყოველთვიური – 5 538,75 ლარი; **კარლო კოპალიანი** — წლიური შემოსავალი 60 285 ლარი, ყოველთვიური – 5 023,75 ლარი; **ალექსანდრე ქანთარია** — წლიური შემოსავალი 57 753 ლარი, ყოველთვიური — 4 812,75 ლარი; **დიმიტრი ხუნდაძე** — წლიური შემოსავალი 56 360 ლარი, ყოველთვიური — 4 696 ლარი; **ლევან კობერიძე** — წლიური შემოსავალი 56 865 ლარი, ყოველთვიური — 4 738,75 ლარი; **გუგული მაღრაძე** — წლიური შემოსავალი 56 102,95 ლარი, ყოველთვიური — 6 675 ლარი; **სალომე ზურაბიშვილი** (მაჟორიტარი) — წლიური შემოსავალი 57 645 ლარი, ყოველთვიური — 4 803,75 ლარი; **ედიშერ თოლორაია** — წლიური შემოსავალი 43 200 ლარი, ყოველთვიური — 3600 ლარი; **ზაზა გაბუნია** — წლიური შემოსავალი 41 620 ლარი, ყოველთვიური — 3468 ლარი; **აკაკი ზოიძე** — პარლამენტის წევრობასთან ერთად, საერთაშორისო ფონდ „კურაციოს" მკვლევარიცაა. ორივეგან მისი ყოველთვიური გასამრჯელო 9 131,25 ლარია.

რაც შეეხება „ქოცელიტასთან" პოლიტიკურ ქორწინებაში, ანუ კოაბიტაციაში მყოფ მოქმედ თუ აწ უკვე ყოფილ ნაციონალებს პარლამენტში (რომლებსაც მოგვწონს თუ არა, დიდი ხანია, ქართველი ხალხის გულის გასახეთქად, მთავარი ოპოზიციური ძალის სტატუსი აქვთ მიკერებული), მათი ხელფასებიც არანაკლებ შთამბეჭდავია. მაგალითად, საააკაშვილის პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე **დავით ბაქრაძე** წელიწადში 83 361 ლარს იღებს, რაც თვეში 6 946,75 ლარს შეადგენს; **ხათუნა გოგორიშვილის**, ამომრჩეველთა ხმების მთავარი ქურდის, შენახვა ბიუჯეტს წელიწადში 71 259,52 ლარი უჯდება (თვეში — 5938 ლარი). ახლა სხვებისას გადავხედოთ: **თინათინ ბოკუჩავა** წელიწადში 60 285 ლარს იღებს, თვეში — 5 023,75 ლარს; **გიორგი კანდელაკი** წელიწადში — 61 659 ლარს, თვეში — 5 138,25 ლარს; **აკაკი ბობოხიძე** წელიწადში — 60 630 ლარს, თვეში — 5 052,5 ლარს; **ირმა ნადირაშვილი** წელიწადში — 59 732,62 ლარს, თვეში — 4 477 ლარს; **სერგო რატიანი** წელიწადში — 62 176 ლარს, თვეში — 5 181 ლარს; **გიორგი წერეთელი** წელიწადში — 61 506 ლარს, თვეში — 5 125,5 ლარს; **გიორგი ღვინიაშვილი** წელიწადში — 65 039,5 ლარს, თვეში — 5 419 ლარს...

ეს ყველაფერი დეპუტატების მიერ ქონებრივ დეკლარაციებში მათივე ხელით მითითებული ციფრებია, მაგრამ ცხადია, ყველა ვხვდებით, რომ სინამდვილეში მათი ქონება გაცილებით მეტია. არაფერს ვამბობ ყოფილი თუ მოქმედი მინისტრებისა და მათი მოადგილეების მიერ საკუთარი თავისთვის გამოწერილ კოლოსალურ პრემიებზე, რომელსაც მოგვიანებით, როცა საზოგადოებაში ხმაური და მითქმა-მოთქმა ატყდა, ჯერ სახელფასო დანამატი დაარქვეს, მერე კი — ჯილდოები.

რაც შეეხება გაეროს ბავშვთა ფონდის მონაცემს, „ქართული ოცნების" მთავარი პოლიტიკური ბურჯი და შემოქმედი **ბიძინა ივანიშვილი** ხალხს ჯერ კიდევ 2012 წელს ჰპირდებოდა, რომ მისი მმართველობის 3 წლის თავზე ქვეყანას ნამდვილი ეკონომიკური ბუმი ექნებოდა, მეოთხე და მეხუთე წლებში კი ოქროს ხანა დაუდგებოდა. **ექვსი წლის თავზე კი რეალობა არის ის, რომ ბავშვების 6,8% (ანუ დაახლოებით 50 ათასამდე ბავშვი), პენსიონერების 3,7% და და მთლიანად მოსახლეობის 5,0% უკიდურესი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს.** ცხადია, ამ ღატაკი და დამშეული მოსახლეობის მიერ არჩეული დეპუტატები, მინისტრებზე რომ არაფერი ვთქვათ, ხელფასებისა თუ პრემია-დანამატების სახით თვეში ათასებს არ უნდა იღებდნენ, მაგრამ დღევანდელ ხელისუფლებაში მოკალათებულ მედროვეებს ამას ვერ მოსთხოვ; ვერ მოსთხოვ იმიტომ, რომ პოლიტიკა და ძალაუფლება მათთვის იმთავითვე ჯიბის გასქელების საშუალება იყო. ამისთვის იბრძოდნენ და აკვდებოდნენ „ნაცრეჟიმსაც" თავის დროზე, თორემ რეალურად რისი გამკეთებლებიც იყვნენ, ხელისუფლების სათავეში მოსვლისთანავე ნათლად გამოჩნდა.

ისე, ღარიბ და ღატაკ ქვეყანაში პოლიტელიტა, წესით, ჩემოდანზე უნდა იჯდეს და დიდი სოციალური აფეთქების მოლოდინში შიშისგან ცახცახებდეს, მაგრამ „ნაც-ქოცურ" დუეტს დღეს საზოგადოების ელემენტარული რიდიც არ აქვს (შიშზე საუბარიც ზედმეტია). პირიქით, ხელისუფლების წარმომადგენლები თვალისდაუხამხამებლად აცხადებენ, რომ ათასობით სამუშაო ადგილი შექმნეს (გაიხსენეთ ყოფილი პრემიერის, გიორგი კვირიკაშვილის, მიერ რამდენიმე თვის წინათ გაკეთებული განცხადება 40 ათასამდე სამუშაო ადგილის შექმნაზე), რომ ეკონომიკა ელვისებურად ვითარდება და ცხოვრების დონე დღითიდღე უმჯობესდება...

საერთოდ, როგორც ჩანს, ამ პოლიტიკურ ცინიზმსა და თავზე ლაფის დასხმას დასასრული მანამ არ ექნება, სანამ საზოგადოება მიამიტობიდან არ გამოვა და მის მიერვე არჩეული „ქოცელიტის" ბოგინს საბოლოო წერტილს არ დაუსვამს. იქამდე კი დღევანდელი ჩვენი მდგომარეობა, უბრალოდ, ძველი ხალხური შეგონებით შეიძლება შეფასდეს: „რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო"...

ერთ პოლიტიკურ თაღლითს ყოველთვის შეცვლის მეორე, მეორეს — მესამე და ა.შ.

**ჯაბა ჟვანია**

**ზოგმა შეიძლება იფიქროს, რომ ხუთი, შვიდი ან თუნდაც ათი ათასი ლარი დეპუტატისთვის თვეში კატასტროფულად მაღალი ხელფასი არ არის. გარკვეულწილად, ალბათ, ასეცაა, კატასტროფას ამას ვერ დავარქმევთ, მაგრამ მედალს, როგორც წესი, ორი მხარე აქვს. დემოგრაფიულად სულთმობრძავ სამმილიონიან ქვეყანაში 50 ათასი ბავშვი რომ შიმშილით კვდება, ნამდვილად ტრაგედიაა, მით უფრო, როცა ხელისუფლება არათუ მდგომარეობის გამოსწორებას ცდილობს, არც აღიარებს, რომ მსგავსი პრობლემა არსებობს...**

**P.S.ზოგმა შეიძლება იფიქროს, რომ ხუთი, შვიდი ან თუნდაც ათი ათასი ლარი დეპუტატისთვის თვეში კატასტროფულად მაღალი ხელფასი არ არის. გარკვეულწილად, ალბათ, ასეცაა, კატასტროფას ამას ვერ დავარქმევთ, მაგრამ მედალს, როგორც წესი, ორი მხარე აქვს. დემოგრაფიულად სულთმობრძავ სამმილიონიან ქვეყანაში 50 ათასი ბავშვი რომ შიმშილით კვდება, ნამდვილად ტრაგედიაა, მით უფრო, როცა ხელისუფლება არათუ მდგომარეობის გამოსწორებას ცდილობს, არც აღიარებს, რომ მსგავსი პრობლემა არსებობს...**

**მიუხედავად დასავლეთის, განსაკუთრებით, აშშ-ბრიტანეთის გაშმაგებული პროპაგანდისა, რომ რუსეთი ველური ქვეყანაა, რუსები კი ველური ხალხი და იქ ჩასვლა სახიფათოაო, მიმდინარე მუნდიალზე ბილეთების რეკორდული რაოდენობა გაიყიდა, ორ მილიონზე მეტი და მათგან ყველაზე მეტი, დაახლოებით 90 ათასი, ამერიკელებმა შეიძინეს და ეს, მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ის ნაკრები 2018 წლის მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატში არ მონაწილეობს.**



ავი მესაიფი

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «დემოკრატიული» დასავლეთი და «ტოტალიტარული» რუსეთი

**ბოლო დროს თბილისში მიმდინარე რამდენიმე საპროტესტო აქცია-მიტინგის გამო, რომელთა ჩამოთვლას არ ვაპირებ, საზოგადოდ, ქართული მედიის ჯეროვანი ყურადღების გარეშე დარჩა მსოფლიოში განვითარებული უმნიშვნელოვანესი გეოპოლიტიკური პროცესები, რომლებსაც შეიძლება დავარქვათ „დემოკრატიული“ დასავლეთი „ტოტალიტარული“ რუსეთის, გნებავთ, პირადად ვლადიმერ პუტინის წინააღმდეგ. დაპირისპირება, რომელიც გადამწყვეტ ფაზაში შევიდა და რომლის შედეგი აუცილებლად აისახება აშშ-ის „სტრატეგიულ მოკავშირე“ (წაიკითხე, მარიონეტი) პატარა საქართველოზე.**



**7 ივნისს ვლადიმერ პუტინი ჩინეთში თანამშრომლობის შანხაის ორგანიზაციის (თშო) მორიგ სამიტს დაესწრო, სადაც რუსეთის პრეზიდენტი განსაკუთრებული პატივით მიიღო ჩინეთის პრეზიდენტმა და ისეთი ორდენით დააჯილდოვა, რომ ყველასთვის ცხადი შეიქნა, ვინ არის ამ უდიდესი პოლიტიკურ-ეკონომიკური გაერთიანების მთავარი პერსონა**

დადებითად თუ უარყოფითად? — საკითხავი აი ეს არის, რაც მხოლოდ საქართველოს ხელისუფლების ქმედება-უმოქმედობაზეა დამოკიდებული. ამ დაპირისპირების მთავარი მიზანი — რუსეთის საერთაშორისო პოლიტიკურ-ეკონომიკური იზოლაცია მიუღწეველი ამოცანა რომ იყო, ამის განჭვრეტას დიდი ექსპერტობა არ სჭირდება. საკმარისია მსოფლიოს რუკაზე ყველაზე დიდი ტერიტორიის მფლობელი რუსეთის ფედერაციის პოვნა და ცხადი გახდება — მართლაც კაციჭამია რომ იყოს პუტინის რუსეთი, ამ უზარმაზარი ტერიტორიის იზოლაცია უტოპიაა.

რაც შეეხება პირადად **ვლადიმერ პუტინს**, იგი არათუ ხელის ჩამორთმევის უღირსი პერსონა გახადეს, არამედ, სადაც კი ჩადის ოფიციალური ვიზიტით, ევროკავშირის ქვეყნები იქნება ეს თუ აშშ-ის სტრატეგიული მოკავშირე იაპონია, ყველგან ისეთი პომპეზურობით, ხაზგასმული პატივით მასპინძლობენ, რომ მსგავსი რამ აშშ-ის პრეზიდენტებს არც კი დაესიზმრებათ.

რა აღარ სცადეს „დასავლელმა დემოკრატებმა“ რუსეთისა და მისი პრეზიდენტის დისკრედიტაციისთვის: ჯერ იყო და, 2014-ში მაინცდამაინც სოჭის ოლიმპიური თამაშების პარალელურად მოაწყვეს კიევის მაიდანი — სახელმწიფო გადატრიალება, რომელმაც ოდნავადაც ვერ დაჩრდილა ზამთრის ოლიმპიადა. აი ოლიმპიადის დამთავრების შემდეგ კი კიევმა არა მხოლოდ ყირიმი, არამედ, პრაქტიკულად, მთელი აღმოსავლეთ უკრაინა დაკარგა... სპორტი პოლიტიკის გარეშეო, — სამწუხაროდ, ასე არ არის. სადაც დიდი სპორტია, იქვე დიდი პოლიტიკაც არის.

უკრაინა-ყირიმის გამო პოლიტიკური შურისძიება — სხვა რა შეიძლება უწოდო დასავლეთის სულგაყიდული მაღალჩინოსნების მიერ რუსეთის წინააღმდეგ აშკარად ხელოვნურად აგორებულ ე.წ. დოპინგსკანდალს, რომელსაც აშშ-ის მარიონეტმა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ანტისადოპინგო სააგენტომაც დაუჭირა მხარი. შედეგად, სამხრეთ კორეაში ასპარეზობის უფლება ჩამოერთვა რუსეთის ოლიმპიური ნაკრების ნახევარზე მეტ პოტენციურ მედალოსანს, ხოლო ვინც წავიდოდა ოლიმპიადაზე, რუსეთის დროშისა და ჰიმნის გარეშე, მხოლოდ ოლიპიური ჰიმნითა და უსახო კოსტიუმებით უნდა ასულიყვნენ გამარჯვების კვარცხლბეკზე.

ეს ყველაფერი არა მხოლოდ რუსი სპორტსმენების დისკრიმინაცია იყო პოლიტიკური ნიშნით, არამედ რუსეთის, როგორც სახელმწიფოს შეურაცხყოფაც, რასაც, ამ პროვოკაციის ავტორთა გეგმით, რუსეთის პრეზიდენტის წყობიდან გამოსვლა და მისი ბრძანებით ოლიმპიური თამაშების ბოიკოტი უნდა მოჰყოლოდა, მაგრამ ასე არ მოხდა. დოპინგის მიღებაში ეჭვმიუტანელი სპორტსმენები გაემგზავრნენ კორეაში, სადაც მედლების ჩვეულ რაოდენობას ვერ აიღებდნენ, მაგრამ რამდენიმე ოქროს მედალს, რომ იტყვიან, ხელი მაინც გამოჰკრეს... **ზამთრის ოლიმპიური თამაშების მთავარი სახეობა არის ჰოკეი, სპორტის ამ სახეობაში შეურაცხყოფების ავტორი ქვეყნის, აშშ-ის, ჰოკეისტთა ნაკრები რუსებმა ნახევარფინალში 4:0 გაანადგურეს, შემდეგ ფინალში შვედებიც მიაყოლეს და ოლიმპიური ჩემპიონობა მოიპოვეს. აი, ამას ჰქვია, ალბათ, სამართალმა პური ჭამაო, — რუსები სპორტის ისეთ სახეობაში გახდნენ ოლიმპიური ოქროს მფლობელები, რომ ეგ ოქრო სრულად გადაწონის ოლიმპიადის სხვა ოქროს მედლებს ერთად აღებულს...**

და აი, წინამდებარე წერილის მთავარ თემას მივადექით — მიუხედავად მსოფლიოს საფეხბურთო ფედერაციის ახალ ხელმძღვანელობაზე ზემოხსენებული პოლიტიკური ძალების არნახული წნეხისა, ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელმა **ჯანი ინფანტინომ** გაუძლო ამ წნეხს, რუსეთისთვის საფეხბურთო მუნდიალის ჩატარების უფლების ჩამორთმევა ლონდონის სასარგებლოდ არ მოხდა და ამ დღეებში სპორტის ყველაზე პოპულარული სახეობის მსოფლიო ჩემპიონატს რუსეთის ფედერაცია მასპინძლობს.

როგორ იზოლაციაშია რუსეთი და მისი პრეზიდენტი, ამას მუნდიალის გახსნის საზეიმო ცერემონიაზე ბრიტანელი როკვარსკვლავის, ჩვენთვის კარგად ნაცნობი **რობი უილიამსის** მონაწილეობაც მოწმობს, რომელმაც ულამაზეს რუს სოპრანოსთან დუეტში მშვენიერი სიმღერით დაასრულა საზეიმო გამოსვლა. ხოლო უშუალოდ მუნდიალის გახსნის მატჩზე რუსეთსა და საუდის არაბეთს შორის, ფიფას პრეზიდენტ ჯანი ინფანტინოს მარცხნივ ვლადიმერ პუტინი, ხოლო მარჯვნიდან საუდის არაბეთის (სხვათა შორის, აშშ-ის ერთგული მოკავშირე რეგიონში) პრინცი უმშვენებდა გვერდს...

მაგრამ მთავარი მაინც სხვა რამ არის — მიუხედავად დასავლეთის, განსაკუთრებით, აშშ-ბრიტანეთის გაშმაგებული პროპაგანდისა, რომ რუსეთი ველური ქვეყანაა, რუსები კი — ველური ხალხი და იქ ჩასვლა სახიფათოაო, მიმდინარე მუნდიალზე ბილეთების რეკორდული რაოდენობა გაიყიდა — ორ მილიონზე მეტი და მათგან ყველაზე მეტი, დაახლოებით 90 ათასი, ამერიკელებმა შეიძინეს და ეს, მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ის ნაკრები 2018 წლის მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატში არ მონაწილეობს და არც ინგლისის ნაკრები განიცდის გულშემატკივართა სიმცირეს...

საზოგადოებას შევახსენებ, რომ 1982 წლის ესპანეთის მუნდიალის წინ დიდი ბრიტანეთის იმჟამინდელი პრემიერის, ცნობილი „რკინის ლედის“ — **მარგარეტ ტეტჩერის** ბრძანებით, არგენტინის სანაპიროსთან მდებარე ფოლკლენდის (მალვინის) კუნძულებზე განხორციელდა სრულმასშტაბიანი სამხედრო ოპერაცია. შედეგად ასეულობით არგენტინელი დაიღუპა, მაგრამ „დემოკრატიულ დასავლეთს“ არ მოუთხოვია ბრიტანეთის დასასჯელად ინგლისის ნაკრების მუნდიალიდან მოკვეთა, ეკონომიკურ სანქციებზე ხომ ლაპარაკიც არ ყოფილა.

ეს აგრესია ლონდონმა ჩაიდინა ბრიტანეთიდან ათასობით მილით დაშორებულ კუნძულებზე, რომლებიც რატომღაც დღემდე ბრიტანეთის საკუთრებაა.

ალბათ, მიმიხვდით მინიშნებას — რუსები, უკრაინელები და ბელარუსები პრაქტიკულად ერთი ნაციაა საერთო კულტურით, რელიგიითა და ისტორიით. აქედან გამომდინარე, რა უფლებით აპროტესტებენ დასავლელი ლიბერასტები უკრაინაში სახელმწიფო გადატრიალების შედეგად ქვეყნის სათავეში ფაშისტი ბანდერელების მოსვლის გამო, რუსეთის მიერ ყირიმის სრულიად უსისხლოდ (ინგლისელების მიერ ფოლკლენდის სისხლით შენარჩუნებისგან განსხვავებით) მიერთებას და აღმოსავლეთ უკრაინაში ეთნიკური რუსების დაცვას უკრაინელი ფაშისტების ხელყოფისაგან?

თუმცა რომელ მორალზეა საუბარი, ნეოლიბერასტების მორალს ხომ ორმაგი, სამმაგი და, რამდენიც დასჭირდებათ, იმდენი სტანდარტი აქვს.

ზემოთ ვლადიმერ პუტინის მიმართ განსაკუთრებულ პატივისცემაზე გვქონდა საუბარი პოლიტიკურ ლიდერების მხრიდან. იმ ლიდერების, რომლებიც აშშ-ის ზეწოლის გამო მიერთებულნი არიან რუსეთისთვის დაწესებულ ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ სანქციებზე, თორემ ევროკავშირის სახელმწიფოთა ლიდერების უმრავლესობას კარგად ესმის ამ სანქციების მავნებლობა საკუთარი ქვეყნებისთვის.

ახლახან, ინაუგურაციის შემდეგ, პირველი ოფიციალური ვიზიტი რუსეთის პრეზიდენტს ავსტრიაში ჰქონდა, სადაც ხაზგასმული, თვალში საცემი პატივისცემით მიიღეს და იქვე ექსკლიუზიურ ინტერვიუში ავსტრიის უპირველეს ტელეწამყვანს (შეთავსებით გაქნილ პროვოკატორადაც რომ წარმოაჩინა თავი) ისეთი მასტერკლასი ჩაუტარა გერმანულ ენაზე, რომ... ტელეწამყვანის კითხვაზე, თუ არსებობს ისეთი პოლიტიკური კონფიგურაცია, რომლის დროსაც შეიძლება მოსკოვმა იფიქროს კიევისთვის ყირიმის დაბრუნებაზეო, მყისიერი უარის შემდეგ ავსტრიელმა რუსი დაამუნათა — ეს პირველი შემთხვევაა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ევროპაში, როდესაც ერთმა სახელმწიფომ მეორეს ტერიტორიის ანექსია მოახდინაო?!

**ვლადიმერ პუტინი ასეთ შემთხვევებში ადეკვატური, ხისტი პასუხისათვის ჯიბეში ხელს რომ არ ჩაიყოფს, არაერთხელ გვინახავს და ახლაც, — რატომ იმავეს არ ამბობთ კოსოვოზე და, საერთოდ, ნატოს მიერ (წაიკითხე, აშშ) დანგრეულ-დაშლილ იუგოსლავიაზეო? ამ პასუხით ხმა ჩააწყვეტინა აბეზარ ჟურნალისტს!**

7 ივნისს კი ვლადიმერ პუტინი ჩინეთში გამართულ თანამშრომლობის შანხაის ორგანიზაციის (თშო) მორიგ სამიტს დაესწრო, სადაც რუსეთის პრეზიდენტი განსაკუთრებული პატივით მიიღო ჩინეთის პრეზიდენტმა და ისეთი ორდენით დააჯილდოვა, რომ ყველასთვის ცხადი შეიქნა, ვინ არის ამ უდიდესი პოლიტიკურ-ეკონომიკური გაერთიანების მთავარი პერსონა.

თშო-ს ექვსეულს (ჩინეთი, რუსეთი, ტაჯიკეთი, ყაზახეთი, უზბეკეთი, ყირგიზეთი) ჩინეთის ბოლო სამიტზე ოფიციალურად შეუერთდნენ პაკისტანი და ინდოეთი, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ გაერთიანების ტერიტორიამ 34 მილიონ კვ.კმ-ს გადააჭარბა, რაც ევრაზიული სივრცის 60%-ია. ამ ქვეყნების მოსახლეობის ჯამი კი პლანეტის მოსახლეობის 40%-ზე მეტია, ხოლო მთლიანი შიგა პროდუქტის ასევე ჯამური მაჩვენებელი 30 ტრილიონი დოლარის ტოლია, რაც მსოფლიო ეკონომიკის დაახლოებით 22%-ია.

ამ სამიტის პარალელურად კანადაში ე.წ. G7-ის, დიდი შვიდეულის, სამიტი მიმდინარეობდა და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა კითხვაზე, ხომ არ აპირებს რუსეთი კვლავ შეუერთდეს ამ გაერთიანებას, რათა დიდი შვიდეული ისევ დიდი რვიანი გახდესო, ირონიულად უპასუხა: მგონი, თშო უკვე დიდი რვიანიაო.

ამას დავუმატოთ დამკვირვებლის სტატუსის მქონე ბელარუსი, ავღანეთი, მონღოლეთი და ირანი; დამკვირვებლის სტატუსის მომლოდინე ბანგლადეში, სირია, ეგვიპტე, ისრაელი, უკრაინა(!), ერაყი, ვიეტნამი, ბაჰრეინი და ყატარი; აგრეთვე, პარტნიორები: სომხეთი, აზერბაიჯანი, კამბოჯა, ნეპალი, თურქეთი, შრი-ლანკა და მერე იოცნებონ დასავლეთის „დემოკრატებმა“ რუსეთის იზოლაციაზე.

**დავით მხეიძე**

**P.S. ამას წინათ „პატრიოტთა ალიანსის“ ერთ-ერთმა ლიდერმა ირმა ინაშვილმა, როგორც იქნა, თითქმის ყველაფერს თავისი სახელი დაარქვა ინგა გრიგოლიასთან პირდაპირ ეთერში; თითქმის ყველაფერს, რადგან ბიძინა ივანიშვილის მხილება კარგია და აშშ-ის ელჩის — კიდევ უკეთესი, რუსეთში ვიზიტები ხომ კარგია და კარგი, მაგრამ, ჩემო ირმა, თუ გინდათ, რომ მომავალ არჩევნებზე მოსახლეობამ მასობრივად დაგიჭიროთ მხარი, ის „თითქმის ყველაფერიც“ უნდა თქვათ... ანუ ის, რომ მოსკოვში არა მხოლოდ იმიტომ დადიხართ, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის გასაღები კრემლშია, არამედ იმიტომაც, რომ დასავლეთიდან უშურველად მხოლოდ სოდომური გარყვნილება შემოედინება საქართველოში და რომ რუსეთია ერთადერთი ზესახელმწიფო, რომელშიც კანონითაა აკრძალული ლგბტ პროპაგანდა არასრულწლოვნებს შორის, რაც იმთავითვე გამორიცხავს გეიაღლუმებსა და ერთი და იმავე სქესის მქონე პირთა შორის ქორწინების დაკანონებას. სწორედ იმიტომ ებრძვის დასავლეთი რუსეთს, პირადად პუტინს, რომ მართლმადიდებელი რუსეთი და მისი ეკლესიაა ერთადერთი გადაულახავი წინაღობა მსოფლიოს ლგბტ-ზაციის გზაზე და, ამ ყველაფრიდან გამომდინარე, რუსეთთან ერთმორწმუნეობაზე დაფუძნებული სტრატეგიული კავშირი დღეს არანაკლებ აქტუალურია, ვიდრე ერეკლე მეფის დროს იყო.**

ხმა ბერისა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ის, რაც დღეს უკრაინაში ხდება — გნებავთ, გეიაღლუმის ჩატარება; გნებავთ, სხვა რამ, არის ერთგვარი სურათი იმისა, რაც ხვალ აუცილებლად მოხდება საქართველოში. ეს გარდაუვალია და ამას ვერ ავიცილებთ, სანამ ქვეყანა უცხოეთიდან მართულ ფსევდოლიბერალ მეძროვეებს აბარია. ამას ვერ ავიცილებთ იმ ფასადური ცვლილებით, რომელსაც ერთი უნამუსო და უზნეო ხელისუფალის თუ მმართველის მეორეთი ჩანაცვლება ჰქვია“

# წინსვლა ევროპისკენ: უკრაინამ გეიაღლუმი «წარმატებით» ჩაატარა. იქნება თუ არა შემდეგი საქართველო?

17 ივნისს უკრაინის დედაქალაქ კიევში ლგბტ პირებმა და მათი მოძრაობის მხარდამჭერმა აქტივისტებმა გრანდიოზული გეიაღლუმი ჩაატარეს. მართალია, უკრაინის მოსახლეობის უმრავლესობა ამ ფაქტს გულგახეთქილი შეხვდა, მაგრამ პოროშენკოს ხუნტამ ხალხის ნებას ისევ დასავლეთის პოლიტიკური დივიდენდები ამჯობინა და ევროპარლამენტის დარიგება ზედმიწევნით შეასრულა.



## მამა გიორგი (რაზმაძე):

## სიახლე არავისთვისაა, რომ უკრაინაცა და საქართველოც, უკვე დიდი ხანია, ევრო-ამერიკელი აგრესიული ლიბერალებისთვის საცდელი ლაბორატორიაა. ხან აქ ატარებენ რაღაც ექსპერიმენტს და მერე იქ მიაქვთ, ზოგჯერ კი იქ ცდიან და მერე — ჩვენთან

მოგეხსენებათ, ევროპარლამენტმა, თავისი 35 დეპუტატის პირით, პოროშენკოს ჯერ კიდევ 11 ივნისს (ანუ გეიაღლუმამდე ექვსი დღით ადრე) ღია წერილით მიმართა, რომ, რადაც უნდა დასჯდომოდა, ლგბტ-ებს დედაქალაქის ქუჩებში გეიაღლუმის ჩატარების საშუალება ჰქონოდათ. მეტიც, ევროპარლამენტარები აღლუმში მონაწილეობისკენ თვითონ პოროშენკოს და მთლიანად მის გუნდსაც მოუწოდებდნენ: „ჩვენ მოვუწოდებთ უკრაინელ ლიდერებსა და ხელისუფლების წევრებს, შეუერთდნენ საკუთარ მოქალაქეებს 17 ივნისს სიამაყის აღლუმზე. შედით ისტორიაში და დადექით პირველ რიგებში, როდესაც უკრაინელები მარშით წავლენ ძლიერი, მრავალფეროვანი და დემოკრატიული ევროპული ოჯახისკენ“...

შეგახსენებთ, რომ უკრაინაში გეიაღლუმების ჩატარებისა და ერთი და იმავე სქესის პირებს შორის ქორწინების დაკანონების საკითხი დღის წესრიგში მას შემდეგ დადგა, რაც ხელისუფლების სათავეში დასავლეთიდან მართული პეტრე პოროშენკო მოვიდა. პირველ ეტაპზე მან, ევროკავშირის მითითებით, რიგი საკანონმდებლო ცვლილებები განახორციელა, შემდეგ ამ ცვლილებების სისრულეში მოყვანა კონკრეტული ქმედებებით დაიწყო (ამის ერთ-ერთი გამოხატულება ზემოაღნიშნული გეიაღლუმია).

რას ნიშნავს საქართველოსთვის უკრაინის მაგალითი და არის თუ არა ახლო მომავალში მსგავსი რამ ჩვენთან მოსალოდნელი?

გვესაუბრება ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ტაძრის წინამძღვარი **მამა გიორგი (რაზმაძე).**

**— მამაო, მიუხედავად იმისა, რომ უკრაინელი ხალხის უმრავლესობა სოდომიის პროპაგანდას უარყოფითად აღიქვამს და მსგავს გამოვლინებებს უკომპრომისოდ ებრძვის, წინა კვირას კიევში ლგბტ-ებმა გეიაღლუმის ჩაატარება მაინც შეძლეს. როგორ ფიქრობთ, ის, რაც ევროკავშირს 40-მილიონიან უკრაინასთან გაუვიდა, ჩვენთან, თუნდაც გრძელვადიან პერსპექტივაში, არ გაუვა?**

— ეს პროცესები გლობალურ ჭრილში უნდა განვიხილოთ, აქ მხოლოდ უკრაინასა და საქართველოზე არ არის საუბარი. მაგალითად, რამდენიმე დღის წინათ საბერძნეთში მამათმავლებმა პერფორმანსი მოაწყვეს და სხვადასხვა წმინდანის ხატები სასქესო ორგანოებზე დაიხატეს. მერე გამოვიდნენ სასულიერო პირები და ყოველგვარი ძალადობისა და შეურაცხყოფის გარეშე გააპროტესტეს ეს ყველაფერი, მაგრამ პოლიციამ, რომელსაც მამათმავლების ამორალურ საქციელზე რეაქცია არ ჰქონია, ისინი მაშინვე დააკავა. **რაც შეეხება უკრაინასა და საქართველოს, სიახლე არავისთვისაა ის, რომ ერთიცა და მეორეც, უკვე დიდი ხანია, ევრო-ამერიკელი აგრესიული ლიბერალებისთვის საცდელი ლაბორატორიაა. ხან აქ ატარებენ რაღაც ექსპერიმენტს და მერე იქ მიაქვთ, ზოგჯერ კი იქ ცდიან და მერე — ჩვენთან.** ამჯერად უკრაინა აღმოჩნდა ის ქვეყანა, რომელშიც ასე ღიად და პომპეზურად იზეიმეს მამათმავლებმა. ხვალ-ზეგ, დარწმუნებული ვარ, იმავეს აქაც გააკეთებენ.

**— რატომ შეარჩიეს უკრაინა?**

— ალბათ, იმიტომ, რომ დღეს იქ უფრო რთული მდგომარეობაა; მეორეც — ჩემი აზრით, დღეს წყდება საკითხი, შეძლებენ თუ არა უკრაინის ეკლესიის ჩამოშორებას რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის გახლეჩას და მის მსოფლიოს საპატრიარქოსადმი დაქვემდებარებას. ის ვიზიტიც, რომელიც ახლახან შედგა საქართველოში (მოგეხსენებათ, მსოფლიო საპატრიარქოდან ორი მიტროპოლიტი ჩამოვიდა) ამ გეგმის ნაწილი მგონია. მეტსაც გეტყვით, მსოფლიო პატრიარქ **ბართლომეს** მითითებით, რომელიც ჩემთვის ცოცხალი მაგალითია იმისა, თუ როგორი არ უნდა იყოს პატრიარქი, **ისინი პირდაპირი მუქარით ჩამოვიდნენ, რომ, თუ საქართველოს ეკლესია მხარს არ დაუჭერს უკრაინის ეკლესიის გამოყოფას რუსეთის საპატრიარქოსგან, აფხაზეთსა და სამაჩაბლოს თავიანთ საეკლესიო იურისდიქციას დაუქვემდებარებენ.** არადა, მეორე მხრივ, არის რუსეთი, რომელიც დაახლოებით იმავეს გეუბნება, — თუ დაუჭერ მხარს უკრაინის ეკლესიის დამოუკიდებლობას, ანუ რუსეთის საპატრიარქოდან გამოყოფას, აფხაზეთსა და სამაჩაბლოს შენი ეკლესიის ნაწილად აღარ განვიხილავო. ურთულესი მდგომარეობაა. არ ვიცი, აქედან გამოსავლის რა გზა შეიძლება არსებობდეს, მაგ- ▶



## პაატა კოღუაშვილი:

# ბიძინა ივანიშვილმა ბოლო ჟამი დაინახა და ამიტომ დაბრუნდა

„თანამშრომლობის პროგრამა, რომელიც საქართველოს საერთაშორისო სავალუტო ფონდთან აქვს, მთავრობის რეფორმების 4-პუნქტიან პროგრამას ეფუძნება და მას ფონდი დადებითად აფასებს. კერძო სექტორში 2017 წელს ბრუნვები 19%-ით გაიზარდა და შეიქმნა 40 000-მდე ახალი სამუშაო ადგილი. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ამ დინამიკაში კერძო სექტორს აქვს უმნიშვნელოვანესი როლი“, — ამბობდა აწ უკვე ყოფილი პრემიერმინისტრი გიორგი კვირიკაშვილი. ის, აგრეთვე, ამბობდა, რომ საქართველოს 7,5 მილიონი ტურისტი ეწვია რამდენიმე თვეში. სპეციალისტები კი სკეპტიკურად იყვნენ განწყობილნი კვირიკაშვილის მიმართ, აღმოჩნდა, რომ მისი არც ბიძინა ივანიშვილს სჯეროდა. რას შეეწირა პრემიერი კვირიკაშვილი — ტყუილს, კორუფციას თუ გარემოცვას?
ამ და სხვა საკითხებზე ეკონომიკის ექსპერტი **პაატა კოღუაშვილი** გვესაუბრება.

**— ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში რომ დაბრუნდა, განაცხადა, რომ დაბრუნების მიზეზი, სამთავრობო კრიზისთან ერთად, ქვეყანაში შექმნილი სოციალურ-ეკონომიკური სიდუხჭირეც იყო. რა მდომარეობაშია ქვეყნის ეკონომიკა?**

— ბიძინა ივანიშვილმა ბოლო ჟამი დაინახა და ამიტომ დაბრუნდა, ბოლო ჟამი მეორედ მოსვლას უსწრებს წინ. ივანიშვილმა დაინახა კვირიკაშვილისა და მისი გარემოცვის კორუფციული გარიგებები...

**— მართალია, რომ თი-ბი-სი ბანკის პრეზიდენტმა ანაკლიის პორტის მშენებლობისთვის მთავრობას ასი მილიონი მოსთხოვა და პრემიერმაც ეს ფული მისცა?**

— ამის შესახებ არაფერი ვიცი, მაგრამ თვითონ განსაჯეთ: ამ ხნის განმავლობაში აშკარად ჩანდა **კვირიკაშვილის** კეთილგანწყობა ბანკებისადმი. როდესაც დაიწყო საფინანსო კრიზისი, საბანკო სისტემა ამ კრიზისიდან წელში გამართული გამოვიდა. ადამიანები, რომლებსაც კრედიტები ჰქონდათ აღებული, განადგურდნენ. ჩვენთვის ცნობილი შეიქნა, რომ მომზადებული იყო კანონპროექტი, რომლითაც ბანკები თავისუფლდებოდნენ მოგების გადასახადიდან, მაშინ, როდესაც მათ განვითარების ხელშემწყობი პირობები ისედაც ჰქონდათ. ბანკები ძლიერდებოდნენ...

კვირკაშვილმა დაივიწყა ხალხი, დაივიწყა, რომ ადამიანი არის უმთავრესი, ის არის მიზანი და არა საშუალება. მან, პრაქტიკულად, შეწყვიტა ხალხთან ურთიერთობა, არ ხვდებოდა რეგიონულ მმართველებს და ყველაფერი გადააბარა რეგიონული განვითარების მინისტრს. ქვეყანაში ეკონომიკური ვითარება გაუარესდა, რაც გახდა ივანიშვილის დაბრუნებისა და კვირიკაშვილის გაშვების მიზეზი.

**— ყოფილი პრემიერი გამუდმებით საუბრობდა ტურისტების რაოდენობის მატებაზე, ის ამბობდა, რომ 7 მილიონზე მეტი ტურისტი სტუმრობს ქვეყანას. ასევე, განაცხადა, რომ 40 ათასი სამუშაო ადგილი შექმნა...**

— ის ტერმინ „ტურისტს“ გამოიყენებდა ისე, როგორც ხელს აძლევდა. სინამდვილეში ეს იყო ვიზიტორი, ადამიანი შემოვიდა და გავიდა, ზოგი პირდაპირ გავიდა, ზოგი რამდენიმე საათს დარჩა. ტურისტების იმ რაოდენობას, რომელსაც კვირიკაშვილი ასახელებდა, მილიონობით მომსახურე პერსონალი არ ეყოფოდა.

რაც შეეხება 40 ათასი სამუშაო ადგილის შექმნას, მის ამ გამოსვლაზე, **ზურაბ ჟვანიას** მილიონი სამუშაო ადგილი გამახსენდა, როდესაც სოფლად მცხოვრები თვითდასაქმებული ადამიანები გამოცხადდნენ დასაქმებულად.

**2012 წლის შემდეგ, რაც ეს ხელისუფლება მოვიდა, ვერ გადახედეს საარსებო კალათას, ვერ გადახედეს სასურსათო და სამომხმარებლო კალათებს. არსად ხდება, რომ კალათაში 70 პროცენტი უკავია საკვებს და 30 პროცენტი — სხვა დანარჩენს. 180 ლარად ადამიანი ვერ იცხოვრებს. თუ აინტერესებთ, რამდენია მინიმალური საარსებო კალათა ჩვენს ქვეყანაში, ვეტყვი — 390 ლარი.** დათვლის მეთოდიკით სასურსათო პროდუქტს სჭირდება იმდენივე, რაც სხვა დანარჩენს. ადამიანს, საკვების გარდა, სხვა მოთხოვნებიც აქვს. მსოფლიო არ იცნობს ისეთ მეთოდს, როგორსაც ესენი იყენებენ. **ჩვენი ხალხი უხორცოზით იხოცება, ცილოვანი შიმშილია, ჩვენი ბავშვები მალე აფრიკის ყველაზე ჩამორჩენილი ქვეყნების ბავშვებს დაემსგასებიან, გონებრივად და ფიზიკურად ჩამორჩენილ ბავშვთა რიგებში იქნებიან.**

**— დავუბრუნდეთ კვლავ პრემიერს. რას შეეწირა იგი — ტყუილს, კორუფციას, გარემოცვას?**

— გიორგი კვირიკაშვილი შეეწირა კორუფციულ სქემებს, მისი გუნდი მთლიანად უნდა წავიდეს. მას ჰყავდა ორი მრჩეველი, ერთს არაფერს ვერჩი, მაგრამ მეორე, სოფლის მეურნეობის ყოფილი მინისტრი **კირველიძე**, რომელმაც 2013 წლიდან დაიწყო კორუფციული სისტემის დანერგვა სოფლის მეურნეობაში, ის უნდა მოშორდეს. შესაცვლელია სოფლის მეურნეობის სამინისტროს ყველა თანამშრომელი. იქ დღესაც მძვინვარებს კორუფცია, კორუფციას ეწირება სამეგრელო და ფაროსანასთან ბრძოლის პროგრამა, ასევე სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა. **ტრაქტორები სჭირდებათ კოოპერატივებს, ტენდერების გამოცხადებაა საჭირო, მაგრამ ტენდერში იმარჯვებენ მხოლოდ კირველიძესთან დაკავშირებული ადამიანები. სოციალურ და ეკონომიკურ სიდუხჭირეზე პასუხისმგებელი სოფლის მეურნეობის სამინისტროცაა.**

**— რა ვითარებაა ანაკლიის პორტში?**

— ამ საქმეზე მეც იმდენი ვიცი, რამდენიც თქვენ. ვიცი, რომ იქ მხოლოდ სახელმწიფო ინვესტიციაა ჩადებული, რაც ტენდერში გამარჯვებულ კონსორციუმს თანხა უნდა შემოეტანა, არ ჩანს. ვნახოთ, რა მოხდება უახლოეს მომავალში. ისე, ამბობენ, რომ ანაკლიის პორტის მშენებლობა არ შეჩერდება.

**— მამუკა ბახტაძე ფინანსთა მინისტრის პოსტზე ყოფნისას ინიციატივე-** ▶

## არ უყუროთ ქართულ ტელევიზიებს! განსაკუთრებით ეს ეხება ისეთ ტოქსიკურ ტელევიზიას, როგორიცაა „რუსთავი 2“, თუმცა სხვებიც არანაკლებ ელვისებურად ავრცელებენ საზოგადოებაში ფსიქოვირუსს სახელწოდებით „დასავლური გლობალიზმი და ლიბერალიზმი“...

კვირის ამბები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ის მცოცავი ლიბერალური პროცესი, რომელიც, უკვე ათწლეულებია, მიდის, გაგრძელდება. ადრე თუ გვიან, მაინც მიიყვანენ ქვეყანას იქამდე, რომ საზოგადოების გარკვეულ ნაწილს აღარ ექნება ლიბერალების უზნეობებზე რეაქცია, ამიტომ ვამბობ, რომ ერთადერთი გზა ხსნისა მათი და ყველა მსგავსი იდეოლოგიის ძალების მოშორებაა. ლიბერალური შხამით მოწამლული პოლიტიკოსები ვერ შეიცვლებიან

◀ რამ იმედია, უწმინდესი ისეთ ფრთხილ და ზუსტ ნაბიჯს გადადგამს, რომ კიდევ ერთხელ არ დაზიანდება ჩვენი ეკლესია.

**— გაუძლებს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია მსოფლიოს საპატრიარქოს შანტაჟს?**

— ერთადერთი, კიდევ ვიმეორებ, იმის იმედი მაქვს, რომ მისი უწმინდესობა მიიღებს სწორ გადაწყვეტილებას. სხვა ყველაფერი, რაც დღეს ხდება, მიუთითებს იმაზე, რომ ბოლო ჟამი ახლოვდება.

**— დავუბრუნდეთ ისევ უკრაინაში ჩატარებულ აღლუმს. თქვენ თქვით, რომ ახლო მომავალში საქართველოშიც შეეცდებიან მსგავსი აღლუმის ჩატარებას. კიევში მათ ეს გაუვიდათ. ჩვენ შემთხვევაში, გაქვთ ხალხის პრინციპულობის იმედი? შეძლებს ხელისუფლება, საზოგადოებას გადააბიჯოს?**

— ხელისუფლებამ, რა თქმა უნდა, ძალიან კარგად იცის, რომ გეიაღლუმის ჩატარების მცდელობასაც კი საქართველოში მისთვის პოლიტიკური წარღვნა მოჰყვება, ამიტომ ვერ ბედავენ ამ ეტაპზე ამას ასე ღიად, მაგრამ ეს მდგომარეობა არის დღეს. როგორც კი იგრძნობენ, რომ ხალხი ცოტა მოეშვა, მაშინვე ასი პროცენტით შეასრულებენ ყველა ევრო-ამერიკულ „რეკომენდაციას“. საერთოდ, ჩვენ **რაც უნდა ვიძახოთ, რომ ამას არ დავუშვებთ, იმას არ დავუშვებთო, სანამ ეს ხელისუფლება და ნებისმიერი სხვა მსგავსი ძალა გვეყოლება სათავეში, სანამ საქართველო ორიენტირებული იქნება ევროლიბერალების რჩევა-დარიგებებზე და ისინი დაგვიდგენენ დღის წესრიგს, რამე სიკეთეს არ უნდა ველოდოთ.** კი, რაღაც ეტაპზე, როცა საზოგადოების უკმაყოფილების მუხტი მოიმატებს, შეიძლება უკან დაიხიონ, მაგრამ საბოლოოდ ის მცოცავი ლიბერალური პროცესი, რომელიც, უკვე ათწლეულებია, მიდის, გაგრძელდება. ადრე თუ გვიან, მაინც მიიყვანენ ქვეყანას იქამდე, რომ საზოგადოების გარკვეულ ნაწილს აღარ ექნება ლიბერალების უზნეობებზე რეაქცია, ამიტომ ვამბობ, რომ ერთადერთი გზა ხსნისა მათი და ყველა მსგავსი იდეოლოგიის ძალების მოშორებაა. რადგან ვისაც უნდა, ამას რადიკალიზმი დაარქვას, მაგრამ მიმაჩნია, რომ მართებულად ვფიქრობ — ლიბერალური შხამით მოწამლული პოლიტიკოსები ვერ შეიცვლებიან.

რაც შეეხება შეკითხვას, რამდენად მაქვს საზოგადოების იმედი, სიმართლე გითხრათ, მე დღეს მხოლოდ ღმერთის იმედი მაქვს, იმიტომ, რომ, რასაც ვუყურებ და ვისმენ, ამ პირობებში ხალხს სასწაულები არ უნდა მოსთხოვო.

აქვე მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და თქვენი გაზეთის საშუალებით უკვე მერამდენედ მოვუწოდო საზოგადოებას, რომ არ უყურონ ქართულ ტელევიზიებს. განსაკუთრებით ეს ეხება ისეთ ტოქსიკურ ტელევიზიას, როგორიცაა „რუსთავი 2“, თუმცა სხვებიც არანაკლებ ელვისებურად ავრცელებენ საზოგადოებაში ფსიქოვირუსს სახელწოდებით „დასავლური გლობალიზმი და ლიბერალიზმი“...

კიდევ ვიმეორებ: **ის, რაც დღეს უკრაინაში ხდება — გნებავთ, გეიაღლუმის ჩატარება; გნებავთ, სხვა რამ, არის ერთგვარი სურათი იმისა, რაც ხვალ აუცილებლად მოხდება საქართველოში. ეს გარდაუვალია და ამას ვერ ავიცილებთ, სანამ ქვეყანა უცხოეთიდან მართულ ფსევდოლიბერალ მედროვეებს აბარია. ამას ვერ ავიცილებთ იმ ფასადური ცვლილებებით, რომელსაც ერთი უნამუსო და უზნეო ხელისუფალის თუ მმართველის მეორეთი ჩანაცვლება ჰქვია...**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

## სანამ საქართველო ორიენტირებული იქნება ევროლიბერალების რჩევა-დარიგებებზე და ისინი დაგვიდგენენ დღის წესრიგს, რამე სიკეთეს არ უნდა ველოდოთ

## ყველაზე მეტი ფულადი გზავნილი საქართველოში რუსეთიდან შემოდის



**საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ფულადი გზავნილების 2018 წლის მაისის მაჩვენებლები გამოაქვეყნა, რომლის მიხედვით ქვეყანაში 130,4 მლნ აშშ დოლარი შემოვიდა, რაც 2017 წლის მაისის მაჩვენებელზე 1,7%-ით ნაკლებია.**

ფულადი გზავნილების რეიტინგში ის ქვეყნები ლიდერობენ, რომლებშიც მეტი ემიგრანტი ცხოვრობს. ქვეყნების მიხედვით, გზავნილებში **რუსეთი** ლიდერობს, საიდანაც 2018 წლის ხუთ თვეში დაახლოებით 175 მილიონი დოლარი გადმოირიცხა, მხოლოდ მაისში კი — 37,84 მილიონი დოლარი. მეორე ადგილზეა **იტალია,** საიდანაც 11.68 მილიონი დოლარი გადმოირიცხა; ხოლო მესამე ადგილს **საბერძნეთი** იკავებს, საიდანაც მაისში 11,71 მილიონი დოლარი შემოვიდა. საქართველოდან უცხოეთში მაისში 19,6 მილიონ დოლარზე მეტი გადარიცხეს, რაც 8,2%-ით მეტია გასული წლის მაისის მონაცემზე. საერთო ჯამში, საქართველოდან პირველ ხუთ თვეში გადარიცხულია 92 მილიონ დოლარზე მეტი, რაც, 2017 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 17,3%-ით მეტია.



## 14 სამინისტრო 11-მდე შემცირდება

**სამინისტროების რაოდენობა შეიძლება შემცირდეს, განაცხადა პრემიერმინისტრობის კანდიდატმა მამუკა ბახტაძემ: „ჩვენ გვჭირდება მცირე ზომის მთავრობა, რომელიც, რა თქმა უნდა, გულისხმობს გარკვეული უწყებების გაერთიანებას. მცირე მთავრობის კონცეფცია ითვალისწინებს სამინისტროების შერწყმის ხარჯზე მთავრობის წევრთა რაოდენობის შემცირებასაც“.**

საუბარია, რომ სასჯელაღსრულების სამინისტრო დეპარტამენტის სახით, შესაძლოა, შეუერთდეს იუსტიციის სამინისტროს, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო კი, შესაძლოა, ორად გაიყოს და ერთი ნაწილი — სოციალური დაცვის, შრომისა და ჯანდაცვის სამინისტროს, მეორე კი ინფრასტრუქტურის სამინისტროს შეუერთდეს. ასევე, ლაპარაკია კულტურისა და სპორტის გაერთიანებული სამინისტროს განათლების სამინისტროსთან შეერთებაზე. სამინისტროები 2017 წელსაც შემცირდა — 18 სამინისტროდან 14 დარჩა.

◀ ბით გამოვიდა საბანკო განუკითხაობის, მისი ყოველი ინიციატივა, ერთი შეხედვით, ბანკებისგან ადამიანების თავის დაღწევაზე იყო გათვლილი. **შეძლებს, რომ ამ კუთხით რეფორმები გაატაროს?**

— როდესაც ბახტაძე ამ ინიციატივებით გამოვიდა, მაშინვე გამოვეხმაურე, ვთქვი, რომ ის მართალი იყო, მაგრამ მისი განცხადება საკმარისი არ იყო. ფინანსთა მინისტრს არ ჰქონდა რეფორმების გატარების საშუალება, რეფორმები უნდა გატარდეს ეროვნული ბანკის მიერ. **ვიცნობ რა ეროვნული ბანკის პრეზიდენტს იმ პერიოდიდან, როდესაც ის სახელმწიფო მინისტრის მოადგილე იყო, გეტყვით, რომ მსგავსი უინიციატივო ადამიანი არ მინახავს, ის არც წყალია და არც ღვინო.**

**ის, ვისაც ეროვნულ ბანკზე ზეგავლენა შეუძლია, არის პრემიერმინისტრი და ამ გავლენას ახდენდა კიდეც კვირიკაშვილი. ახლა ბახტაძეა პრემიერი და მან ბანკების განადგურება არ უნდა დაისახოს მიზნად, რადგან ბანკი უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტია სახელმწიფოში, მაგრამ ისინი უნდა მუშაობდნენ კანონის ფარგლებში. ბანკებს არ უნდა ჰქონდეთ არაპროფილური საქმიანობები. ფინანსური კრიზისების დროს პასუხისმგებლობა მხოლოდ მეანაბრეს კი არ ეკისრება, არამედ ბანკსაც. ჩვენთან კი ბანკი წამქეზებელია, სტიმულატორია კრიზისის და ყველაზე სუფთადაც თვითონ გამოდის კრიზისიდან.**

ძალიან ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა მიდის ბანკში მოლარე-ოპერატორად სამუშაოდ, რადგან იქ დიდი ხელფასებია, რაც კიდევ ერთი დიდი უბედურებაა, ამიტომ ყველაფერს კარგად უნდა მოფიქრება, გააზრება. იაპონიამ 1885 წელს ბანკი რომ გახსნა, მასზე ააგო სახელმწიფოებრივი პოლიტიკა. **ილია ჭავჭავაძემაც** ასე გააკეთა. ბანკი უზარმაზარი ძალაა, მაგრამ სწორად უნდა იყოს გამოყენებული ეროვნული ეკონომიკის განვითარებისთვის.

**— რა კონკრეტული ნაბიჯები უნდა გადადგას ახალმა პრემიერმა, რათა ოდნავ მაინც გამოსწორდეს ეკონომიკური მდგომარეობა. რა არის, პირველ რიგში, გასაკეთებელი?**

— ქვეყნის ეკონომიკური განვითარება პრიორიტეტების განსაზღვრით იწყება. აი მერე უნდა დაიწყო მოქმედება. პრიორიტეტების განსაზღვრის შემდეგ მთავრობის დაკომპლექტებაა აუცილებელი. უნდა ვიცოდეთ, როგორი მთავრობაა გვჭირდება.

რიგი სამინისტროების გაუქმებაა საჭირო. მაგალითად, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო ქვეყანას არ სჭირდება, ის უნდა შეუერთდეს შინაგან საქმეთა სამინისტროს, ჯანდაცვის სამინისტროსა და ეკონომიკის სამინისტროს. ე.წ. პენიტენციური სისტემა უნდა შეუერთდეს შინაგან საქმეთა სამინისტროს და იუსტიციის სამინისტროს. არ არის საჭირო სახელმწიფო მინისტრის აპარატი, არასწორია ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროების გაერთიანება, ამაზე საუბარიც კი არ შეიძლება. უკეთესი იქნება, თუ რეგიონული მართვისა და ეკონომიკის სამინისტროები გაერთიანდება. რეგიონული სამინისტროს რიგი ფუნქციები სოფლის მეურნების სამინისტროში უნდა გადავიდეს. უნდა განვითარდეს სოფლის მეურნეობა, ეკონომიკის სამინისტროს უნდა გადაეცეს მიწის საკითხი. მნიშვნელოვანია გარემოს დაცვის სამინისტრო, რომელიც თითქმის არ ფუნქციონირებს, აუცილებელია, ვიცოდეთ, ვინ გასცემს ლიცენზიებს და ა.შ.

სამინისტრო მოსაპარავი ადგილი არ არის, ის ქვეყნის მსახურების, ერთგულების, ზრუნვის ადგილია. ეს უნდა შეიგნონ. ახლა ბახტაძემ ტაიმაუტი მოითხოვა და ვფიქრობ, სწორედ იმიტომ, რომ განსაზღვროს პრიორიტეტები.

ბიძინა ივანიშვილმა უნდა იცოდეს, რომ მინისტრის შეცვლა არ ნიშნავს თავზე ცის დამხობას და ფეხქვეშ მიწის გამოცლას. საზოგადოება შესანიშნავი ბარომეტრია და მან კარგად იცის, რომელი მინისტრია შესაცვლელი. ვინმეს შეცვლა არ უნდა იყოს დამოკიდებული ერთი და ორი ადამიანის თვალსაზრისზე. ვეთანხმები, რომ ეკონომიკის მინისტრი მოსახსნელია, საგარეო საქმეთა მინისტრიც მოსახსნელია...

განსაზღვრონ პრიორიტეტები, იზრუნონ ხალხზე და ყველაფერი კარგად იქნება. იფიქრონ სოფლის მეურნეობის განვითარებაზე, ეს ფეხზე დაგვაყენებს.

ესაუბრა **ეკა ნასყიდაშვილი**

## ჩვენთან კი ბანკი წამქეზებელია, სტიმულატორია კრიზისის და ყველაზე სუფთადაც თვითონ გამოდის კრიზისიდან

## «დათა თუთაშხია» გერმანულ ენაზე ხელახლა გამოიცემა

**ჭაბუა ამირეჯიბის ცნობილი რომანი „დათა თუთაშხია“ გერმანულ ენაზე კიდევ ერთხელ გამოიცემა. ქართული წიგნის ეროვნული ცენტრის ცნობით, წიგნს ალფრედ კრიონერის გამოცემა დაბეჭდავს, თარგმანზე ცნობილი მთარგმნელი კრისტიანე ლიხტენფელდი იმუშავებს.**




ქართული რომანი „დათა თუთაშხია“ XX საუკუნის დასასრულს შეიქმნა — სიუჟეტი აგებულია მწვავე სიტუაციებზე და ეხება მრავალ ეთიკურ პრობლემას. „დათა თუთაშხია“ 1970-იან წლებში ბულგარულ ენაზე გამოიცა, რომელიც მარია ხაჯიევამ თარგმნა, თუმცა, ბულგარეთის ბიბლიოთეკებში წიგნის სიმცირს გამო, 2017 წელს ხელმეორედ გამოიცა. ახალი გამოცემა კი ბულგარეთისა და საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობების 25 წლისთავს მიეძღვნა.

დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ღარიბაშვილის ფონზე ის უფრო მშვიდი, გაწონასწორებული ხელმძღვანელის შთაბეჭდილებას ტოვებდა, შესაბამისი მეტყველების მანერითა და ქცევის სტილით, თუმცა გარკვეული პერიოდის შემდეგ საზოგადოებამ დაიწყო კვირიკაშვილის სისუსტეების აღმოჩენა — გაუბედაობა, ცუდი საკადრო პოლიტიკა (მარტო ჯეჯელავას დანიშვნა რად ღირდა), არაადეკვატურად ნელი მოქმედება კრიზისების დროს (2017 წლის ხანძრები და ა.შ.) და დაგროვილ პრობლემებთან გამკლავების უუნარობა.**

# რატომ მოუწყვეს კვირიკაშვილს საჯაროდ გაროზგვის სეანსი?

## სავარაუდოდ, კვირიკაშვილმა გააკეთა რაღაც ისეთი, რაც ივანიშვილის ღირებულებათა სისტემაში შეფასდა, როგორც მძიმე შეცდომა

**13 ივნისს საქართველოს პრემიერმინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა განაცხადა თანამდებობის დატოვების შესახებ; მისი ადგილი მამუკა ბახტაძემ დაიკავა. გასულ კვირას ყველა ცდილობდა, გაერკვია, რატომ მოხდა საკადრო ცვლილებები სწორედ ახლა და ამ ფორმით.**



**დავით სარალიძის მკვლელობის გამოძიების კრიზისი იქცა დადასტურებად იმისა, რომ მმართველმა პარტიამ სისტემური რეფორმები, კეთილი ნებიდან თუ არა, თვითგადარჩენის ინსტინქტიდან გამომდინარე უნდა გაატაროს. ამ მისიას კი ივანიშვილი კვირიკაშვილს ვერ დააკისრებდა, როგორც მისი შეცდომებიდან, ისე პოლიტიკური უნარების უკმარისობიდან გამომდინარე**

კვირიკაშვილმა თანამდებობაზე ირაკლი ღარიბაშვილზე ნახევარი წლით მეტი (სულ 2-ნახევარი წელი) დაჰყო. საინტერესოა, რომ სწორედ ბოლო ექვსი თვის განმავლობაში ბევრი კომენტატორი მის გადადგომაზე ისე საუბრობდა, თითქოს ეს, გადაწყვეტილი თუ არა, დიდად სავარაუდო იყო. ზოგიერთი მათგანი ამ თემას პირველად ადგილობრივი არჩევნების შემდეგ შეეხო, თუმცა უმრავლესობა — გასული წლის ნოემბერში, როდესაც შინაგან საქმეთა მინისტრად **გიორგი გახარია**, ხოლო ფინანსთა მინისტრად **მამუკა ბახტაძე** დაინიშნა. სახელისუფლო პროპაგანდამ მათი დაჩქარებული „რასკრუტკა“ დაიწყო და მალე მოსაზრება იმის თაობაზე, რომ კვირიკაშვილს სწორედ ერთ-ერთი მათგანი შეცვლის, ფართოდ გავრცელდა.

2017 წლის დეკემბერში კვირიკაშვილის ძველმა მეგობარმა **გიორგი გაჩეჩილაძემ** განაცხადა, რომ მისი სიძის ფირმას ერთ-ერთი ტენდერის დროს უსამართლოდ მოექცნენ და მთავრობის მუშაობა მწვავედ გააკრიტიკა. ეს, ერთი შეხედვით, ლოკალური ინციდენტი იყო, თუმცა მას საინტერესო ქვეტექსტი ჰქონდა — გაჩეჩილაძე, სავარაუდოდ, არ დაუპირისპირდებოდა **კვირიკაშვილს** ამ ფორმით, თუ ეცოდინებოდა, რომ ამით ივანიშვილს აწყენინებდა.

წლის პირველ კვარტალში მსჯელობამ კვირიკაშვილის გადადგომაზე ლამის საყოველთაო ხასიათი მიიღო და 30 მარტს პრემიერმა შემდეგი განცხადება გააკეთა: **„ორიოდე სიტყვით მინდა ვთქვა იმ ადამიანების საყურადღებოდ, რომლებიც ყვავ-ყორნებივით დასტრიალებენ მთავრობის ადმინისტრაციის მე-11 სართულს და დაყენებული აქვთ ტაიმერები პრემიერ კვირიკაშვილის გადადგომაზე. მინდა დავარწმუნო ისინი, რომ ეს ტაიმერი რამდენიმე წელს არ დარეკავს, ამიტომ დაისვენონ“. მის გადადგომამდე თვე-ნახევარი რჩებოდა.**

თუ რატომ გაიწელა პაუზა, სხვადასხვა ვერსია არსებობს. შესაძლოა, ბიძინა ივანიშვილს არ სურდა, საკადრო კარუსელი პოლიტიკაში მის დაბრუნებამდე დატრიალებულიყო. შემდეგ დაიწყო „ბასიანის“ კლუბთან დაკავშირებული ხმაურიანი მოვლენები; შემდეგ (21-23 მაისს) კვირიკაშვილი შეერთებულ შტატებში გაემგზავრა, იმ კვირის ბოლოს კი პირველი რესპუბლიკის საიუბილეო ღონისძიებები გაიმართა. პრემიერმინისტრის შეცვლა ასეთ მომენტში გარკვეულწილად უხერხული იყო. 31 მაისს დაიწყო 51-ე სკოლის მოსწავლეების მკვლელობის გამოძიების გამო გამოწვეული კრიზისი. მის პირველ დღეებში მთავარი პროკურორის შემდეგ პრემიერის გადადგომა ხელისუფლების ჩამოშლის შთაბეჭდილებას შექმნიდა და, აქედან გამომდინარე, პრაქტიკულად გამორიცხული იყო. შემდეგ „ნაცმოძრაობა“ პროცესებში ღიად ჩაერთო და ამის გამო მომიტინგეთა რაოდენობამ მკვეთრად იკლო, ხოლო 10-11 ივნისის აქციები ისეთი მცირერიცხოვანი იყო, რომ ორგანიზატორებს, ტაიმ-აუტის აღების გარდა, სხვა გამოსავალი არ დარჩათ. 12 ივნისს გაიმართა „ქართული ოცნების“ ლიდერების შეკრება, 13-ში კი კვირიკაშვილი გადადგა.

მედიის და სოციალური ქსელების პროსახელისუფლო სეგმენტში ბოლო პერიოდში ტრიალებდა **სამი, მეტ-ნაკლებად კონსპიროლოგიური ვერსია** იმ „შეთქმულებებზე“, რომლებშიც თითქოს მონაწილეობდა ყოფილი პრემიერი.

**პირველი — ანონიმური წყაროები ბრალს სდებდნენ, რომ აპრილის შუა რიცხვებში ის აქტიურად ცდილობდა, გაეღვივებინა უმრავლესობის დეპუტატების ნაწილის „ბუნტი“ ირაკლი კობახიძისა და მის გარშემო გაერთიანებული ჯგუფის წინააღმდეგ;**

**მეორე ბრალდება** ეხებოდა მსხვილ ბანკირებთან ალიანსის შექმნის მცდელობას — ისინი თითქოს შეშფოთებულნი იყვნენ **მამუკა ბახტაძის** ახალი ინიციატივით, რომელიც ბანკების მადის მოთოკვას ითვალისწინებდა; საუბრობდნენ იმაზეც, რომ **ის ცდილობდა, ბახტაძისა და გახარიას წინააღმდეგ ტაქტიკურ ალიანსში ჩაერთო დიმიტრი ქუმსიშვილი,** მიუხედავად იმისა, რომ პრემიერსა და ეკონომიკის მინისტრს შორის სერიოზული უთანხმოება უნდა არსებულიყო მას შემდეგ, რაც ამ უკანასკნელმა გავლენის სფეროს აგრესიული გაფართოება დაიწყო.

ეს ორი ვერსია გამყარებულია მხოლოდ ვარაუდებით და არა ფაქტებით. რაც შეეხება **მესამეს — იმის თაობაზე, რომ კვირიკაშვილი და ქუმსიშვილი ცდილობდნენ, ეპოვათ შეხების წერტილები ოპოზიციასთან „ივნისის კრიზისის“ დროს, აქ რამდენიმე გარემოება შეიძლება საეჭვოდ მოგვეჩვენოს.** 31 მაისს კვირიკაშვილი მომიტინგეებთან მივიდა, მას ბოთლები ესროლეს და სიტყვა გააწყვეტინეს, იმავე დღეს აქციაზე მისი გადადგომაც მოითხოვეს. ამან, ერთი შეხედვით, გამორიცხა კავშირი პრემიერსა და აქციების ორგანიზატორებს შორის, მაგრამ მომდევნო დღეებში კვირიკაშვილის გადადგომის მოთხოვნა სადღაც დაიკარგა, ხოლო წინა პლანზე გამოვიდა **გახარიასა** და **წულუკიანის** გადადგომის მოთხოვნა. მას შემდეგ, რაც კვირიკაშვილმა პოსტი დატოვა, აქციების ერთ-ერთმა მთავარმა ორგანიზატორმა **ზაზა სარალიძემ** განაცხადა, რომ მას პრემიერის გადადგომა არ მოუთხოვია. არადა, მაგალითად, 1 ივნისს სარალიძემ თქვა: „დაუყონებლივ გამოვიდეს კვირიკაშვილი და გააკეთოს განაცხადი გადადგომაზე“.

ალბათ, აჯობებს შემდგომი მსჯელობა ამ ვერსიებზე კონსპიროლოგებს დავუთმოთ და გადადგომის იმ მიზეზებზე გადავიდეთ, რომლებიც საკამათო არ არის.

ერთ-ერთი იმ საიმიჯო რესურსის ამოწურვაა, რომლის ხარჯვა კვირიკაშვილმა 2015 წლის ბოლოდან დაიწყო. თავდაპირველად, ღარიბაშვილის ფონზე, ის უფრო მშვიდი, გაწონასწორებული ხელმძღვანელის შთაბეჭდილებას ტოვებდა, შესაბამისი მეტყველების მანერითა და ქცევის სტილით, თუმცა **გარკვეული პერიოდის შემდეგ საზოგადოებამ დაიწყო კვირიკაშვილის სისუსტეების აღმოჩენა — გაუბედაობა, ცუდი საკადრო პოლიტიკა (მარტო ჯეჯელავას დანიშვნა რად ღირდა), არაადეკვატურად ნელი მოქმედება კრიზისების დროს (2017 წლის ხანძრები და ა.შ.) და დაგროვილ პრობლემებთან გამკლავების უუნარობა.**

საქართველო უმძიმეს ეკონომიკურ პირობებში ცხოვრობს და ნებისმიერი მთავრობა, ადრე თუ გვიან, მწვავე კრიტიკის ობიექტი ხდება. ეს კადრების სწრაფი როტაციის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია, რადგან ის განახლების ილუზიას ქმნის. ამასთანავე, **კვირიკაშვილის მთავრობის შემთხვევაში, შეცდომებისა და გადაცდომების ავგიას თავლა საკმაოდ სწრაფად აივსო და ფიგურანტს მის გასაწმენდად აუცილებელი უნარ-ჩვევები არ აღმოაჩნდა.**

შეიძლება ითქვას, რომ კვირიკაშვილი არასოდეს აკონტროლებდა მინისტრთა კაბინეტს 100%-ით. დასაწყისში იქ არსებობდა ერთგვარი ავტონომიური ანკლავი, რომელსაც კახი კალაძე ხელმძღვანელობდა და ახალ პრემიერს მასზე ზემოქმედების ბერკეტები თითქმის არ ჰქონდა. სწორედ კვირიკაშვილის პრემიერობის წლებში აღმოცენდა და გაძლიერდა მეორე — „ქუმსიშვილის ანკლავი“ ეკონომიკურ ბლოკში, განსაკუთრებით სტრუქტურული ცვლილებების შემდეგ, რომლის შემდეგ ეკონომიკის სუპერსამინისტრო შეიქმნა. **სერგეენკო, წულუკიანი, სუბარი**, შემდგომ კი **გახარია** და **ბახტაძე** უშუალოდ ბიძინა ივანიშვილზე დამოკიდებულ ფიგურებად ითვლებოდნენ, კვირიკაშვილი მათ მუშაობას მხოლოდ კოორდინაციას თუ გაუწევდა. **რეალურად ის იყო სუსტი პრემიერი პასუხისმგებლობის შეზღუდული ზონით.**

კვირიკაშვილის გადადგომის შემდეგ, როგორც თავად ფიგურანტი, ისე „ქართული ოცნების“ სხვა ლიდერები, ცდილობდნენ, სიტუაცია ისე წარმოეჩინათ, თითქოს გადადგომის მთავარი მიზეზი გახდა უთანხმოება ივანიშვილსა და კვირიკაშვილს შორის ეკონომიკურ პოლიტიკაზე. სახელისუფლო პროპაგანდა განსაკუთრებულ აქცენტს „იუნისეფის“ მიერ ახლახან გამოქვეყნებულ კვლევაზე აკეთებდა, რომელიც ქვეყანაში შექმნილ მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ სიტუაციას ასახავს, მაგრამ საქმე ის არის, რომ შესაბამისი სტატისტიკა ხელმისაწვდომი ადრეც იყო და ხელისუფლების პირველ პირებს არ გაუგიათ არაფერი ისეთი, რაც, ასე ვთქვათ, „იუნისეფამდე“ არ იცოდნენ. **რაც შეეხება ჰიპოთეზურ წინააღმდეგობას კვირიკაშვილის „მემარჯვენე კურსსა“ და ივანიშვილის „მემარცხენე მოთხოვნებს“ შორის, რომელიც მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას ითვალისწინებს, არსებობის შემთხვევაში ის, სავარაუდოდ, გაცილებით ადრე გამოიკვეთებოდა და არა 2,5 წლის შემდეგ.**

ალბათ, ყურადღება უნდა მივაქციოთ **ზაქარია ქუცნაშვილის** რეპლიკას, რომელიც 12 ივნისის სხდომას ესწრებოდა: „ასეთი გაბრაზებული ბიძინა ივანიშვილი, დიდი ხანია, არ მინახავს“. ამ ინფორმაციას კერძო საუბრებში ადასტურებენ სხვა წყაროებიც. **სავარაუდოდ, კვირიკაშვილს უნდა გაეკეთებინა რაღაც ისეთი, რაც ივანიშვილის ღირებულებათა სისტემაში შეფასდა, როგორც მძიმე შეცდომა, წინააღმდეგ შემთხვევაში საჯარო გაროზგვის სეანსს, ალბათ, არ მოუწყობდა.**

„ნაცმოძრაობა“ ცდილობს, სიტუაცია ისე წარმოაჩინოს, რომ სწორედ მისმა ზეწოლამ „ქუჩიდან“ აიძულა კვირიკაშვილი, გადამდგარიყო. 3,10 და 11 ივნისი მიტინგების მცირე მასშტაბის გათვალისწინებით (იმ დღეებში „ნაცმოძრაობა“ აქციებს ღიად შეუერთდა) ეს ერთობ სასაცილოდ გამოიყურება, თუმცა გარკვეული კავშირი შეიძლება მართლაც არსებობდეს. პრობლემა არის ის, რომ აღმასრულებელმა ხელისუფლებამ ვერ აღიქვა და „გაატარა“ არაერთი სიგნალი, რომლებიც ნათლად მიუთითებდა, რომ ამ მიმართულებიდან „ქართულ ოცნებას“ კრიზისი უახლოვდება. ამაზე პასუხისმგებელია კვირიკაშვილი, მიუხედავად იმისა, რომ, როგორც უკვე ვთქვით, „სხვისი ეპარქიების“ საქმეებში რეალურად ვერ ერეოდა. მთლიანობაში კი, **დავით სარალიძის მკვლელობის გამოძიების გამო დაწყებული კრიზისი იქცა დადასტურებად იმისა, რომ მმართველმა პარტიამ სისტემური რეფორმები, კეთილი ნებიდან თუ არა, თვითგადარჩენის ინსტინქტიდან გამომდინარე უნდა გაატაროს. ამ მისიას კი ივანიშვილი კვირიკაშვილს ვერ დააკისრებდა, როგორც მისი შეცდომებიდან, ისე პოლიტიკური უნარების უკმარისობიდან გამომდინარე.**

**„ბახტაძეზე ამბობენ, 20 ათასი გადაურიცხა „ნაცმოძრაოზასო“. სასაცილოა ამაზე ლაპარაკი, რადგან ბიძინა ივანიშვილი წლების განმავლობაში აფინანსებდა ნაციონალებს, მათ შორის, ხელისუფლების წარმომადგენლებს. საუბრობენ ასევე ბახტაძის განათლებაზე, ნაკლად უთვლიან, რომ მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაამთავრა, მაგრამ არაფერს ამბობენ საკუთარ თავზე, უდიპლომოები რომ დადიან. გიგი თევზაძე „ილიაუნის“ რექტორად რომ ეჯდათ, რეფერატის დონეზე ჰქონდა მინიჭებული დოქტორის წოდება“.**

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «შენ ხარ უთავმოყვარეო კაცი... გაანადგურეთ და გააჩანაგეთ ქვეყანა. მიზანმიმართულად მავნებლობდი»

## «კვირიკაშვილის პრემიერად დანიშვნა შეცდომა იყო»

**2018 წლის 13 ივნისს გადადგა ქვეყნის რიგით მე-12 პრემიერმინისტრი გიორგი კვირიკაშვილი. ქართველ საზოგადოებას პრემიერმინისტრების მოხსნა-გადაყენება არ უკვირს, მაგრამ კვირიკაშვილის გადადგომას სკანდალი მოჰყვა. მან თავის განცხადებაში დაპირისპირებებზე გაკვრით, მაგრამ მაინც ილაპარაკა, რასაც უმალ მოჰყვა „ოცნების“ ხსდომაზე გაკეთებული ფარული აუდიოჩანაწერი, რომლის ავთენტურობაში ეჭვი არავის ეპარება...**



**გთავაზობთ ამონარიდს ამ აუდიოჩანაწერიდან:**

**„ბიძინა ივანიშვილი: — სამი წლის განმავლობაში, მიპასუხე, რაში ჩაგერიეთ? რომ იძახიან კულუარული მმართველობაო, რა გაიძულე? რამდენჯერ დამირეკავს ამ ხნის განმავლობაში? მხოლოდ რამდენჯერმე, როცა კანში ვერ დაეტიეთ, და ისიც რატომ, ამასაც ვერ მიხვდით.**

**ხომ ხედავთ, რას დაამსგავსეთ ქვეყანა.**

**მიპასუხე, გიორგი!**

**შენ ხარ უთავმოყვარეო კაცი. სამი თვეა, იტყუები: დღეს გადავდგები, ხვალ გადავდგები; ამ აქციებისა და არეულობების უკან იდექით შენ და მამუკა ხაზარაძე; გაანადგურეთ და გააჩანაგეთ ქვეყანა.**

**გგონია, არ ვიცი, რომ მიზანმიმართულად მავნებლობდი?**

**პროექტები კი არ განალვლებს შენ, მხოლოდ საკუთარი ჯიბე. მანახვე ერთი ადამიანი, ვისთვისაც რაიმე გაგიკეთებია.**

**ახლა გინდა გადადექი, გინდა — არა. ხალხი გამოგიტანს განაჩენს“.**

**ვინ არის გიორგი კვირიკაშვილი, ვის თამაშს თამაშობდა და რა საფრთხეების წინაშე დადგა საქართველო, ბიძინა ივანიშვილმა „მეორედ მოსვლა“ რომ გადაწყვიტა? — ამ და სხვა საინტერესო თემებზე „ჯიპას“ ყოფილი ლექტორი ზაზა სიამაშვილი გვესაუბრება.**

**— ბატონო ზაზა, რატომ დაბრუნდა ივანიშვილი, იმიტომ ხომ არა, რომ მის გავლენას ხელისუფლებაზე საფრთხე შეექმნა?**

— საფრთხე მის გავლენასაც დაემუქრა და ქვეყანაც დადგა საფრთხის წინაშე. გახსოვთ, ალბათ, ბიძინა ივანიშვილმა თავის დროზე თქვა: თუ რამე განსაკუთრებული არ მოხდა, არ დავბრუნდებიო. მოკლედ, მართლაც მეორედ მოსვლას შეადარა თავისი დაბრუნება და ასეც არის. **საინტერესოა, ჩვენმა მთავრობამ თუ იცის, რა ხდება რეგიონებში. ის, რაც იქ ხდება, მართლაც არის მეორედ მოსვლა. რას ჰგავს მთა? რას ჰგავს სოფლები?** კანონებს ამტკიცებენ და კანონის აღმასრულებელი არ ჰყავთ. შეუძლებელია, ინგოროყვას ქუჩიდან ქვეყნის მაჯისცემა შეიტყო.

სოციალურ ქსელში ძალიან ვაქტიურობ და, ვინც კითხულობს ჩემს ნაწერებს, ეცოდინება, რომ კვირიკაშვილის მიმართ მოსვლისთანავე უარყოფითი დამოკიდებულება მქონდა, რადგან ვიცოდი, ვინ იდგა მის გვერდით და მის უკან.

**კარგი კაცი იქნებოდა გიორგი, უხმოდ რომ წასულიყო თანამდებობიდან, ყოველ შემთხვევაში, ის მაინც არ ეთქვა: ხალხის პრემიერი ვიყავიო, რადგან ყველამ იცის, რომ ის მხოლოდ რამდენიმე ბანკირის პრემიერი გახლდათ. კვირიკაშვილის დანიშვნა პრემიერად დიდი შეცდომა იყო.**

**— არ გამორიცხავთ, რომ სწორედ კვირიკაშვილი იდგა „სარალიძის აქციების“ უკან?**

— არაფერს გამოვრიცხავ. ანდაზასაც გაგახსენებთ: „ორი კაცი რომ გეტყვის, ღორი ხარო, უნდა იღრუტუნო“.

პატარა ბავშვმაც კი იცოდა **ხაზარაძე-კვირიკაშვილის** ტანდემის შესახებ, მაგრამ ამას თავი დავანებოთ, ის უკვე წასულია. მაინტერესებს, სად გაქრა 60 მილიონი საპარტნიორო ფონდიდან. მგონი, დროა, მოიკითხონ...

**— საპარტნიორო ფონდის ხელმძღვანელი საგანელიძე თავისი სურვილის წინააღმდეგ დატოვეს „ქართული ოცნების“ მთავარ საბჭოში. ასე რომ, არა მგონია, მას ვინმემ რაიმე მოჰკითხოს...**

— 60 მილიონი უკვე ახსენა ბიძინა ივანიშვილმა და ეს საგანელიძისკენ გადაკრული სახრეა. პოლიტსაბჭოში მისი დატოვება კი ანაკონდასთან შეგდებულ ბაჭიას მაგონებს — ეფერება, ესიყვარულება და ბოლოს გუდავს. ასე რომ, მოვლენებს ნუ გავუსწრებთ, მინდა დავიჯერო, რომ სამართალი აღსრულდება.

**— რატომ მიუტევებს ივანიშვილი ბოლო წუთამდე ყველას ყველაფერს? ამ შემთხვევაში კვირიკაშვილს ვგულისხმობ. „ოცნების“ შეხვედრაზე გაკეთებულ ჩანაწერში ჩანს, რომ მან ყველაფერი იცოდა და ხმას არ იღებდა...**

— განხეთქილება, ძირითადად, ანაკლიის პორტის მშენებლობიდან მოდის. ერთ-ერთი მთავარი პირი, რომელმაც იქაურ გარიგებებზე ისაუბრა, არის **მამუკა ბახტაძე**, მანამდე ისაუბრა **გიორგი გახარიამაც**, მაგრამ კვირიკაშვილს კბილებით გაჰქონდა ანაკლიის საქმე.

ამ ქვეყანაში ყველაფერი არანორმალურია. კვირიკაშვილს კი ივანიშვილი ენდო და საქვეყნო საქმე ჩააბარა, მან კი ღალატით უპასუხა. არ შეიძლება ქვეყანაში მხოლოდ ორი ბანკი იყოს დომინანტი, რაც კვირიკაშვილის სახელს მიეწერება. არადა, კვირიკაშვილი თავის დროზე „ქართუ“ ბანკის კარგი თანამშრომელი იყო.

ყოფილი პრემიერი არა მხოლოდ ხაზარაძის, „ნაციონალური მოძრაობის“ ბობოლა წარმომადგენლების ლობიც იყო. რადგან ის ჩანაწერი გამოაქვეყნეს „ოცნების“ შეხვედრიდან, მაშინ გამოაქვეყნონ კვირიკაშვილის საუბრების ჩანაწერები ნაციონალებთან, ასეთი ჩანაწერებიც ხომ არსებობს?

**— კვირიკაშვილის გადადგომამდე ერთი დღით ადრე „ქართულ ოცნებაში“ შეიკრიბნენ, მაშინ ყველა ელოდა, რომ იქიდან გამოსულები მთავრობის ცვლილებაზე ისაუბრებდნენ, მაგრამ განაცხადეს, იუნისეფის კვლევაზე ვიმსჯელეთო; მოგვიანებით გაირკვა, რომ ტყუილი თქვეს. რატომ არ გადადგა კვირიკაშვილი იმავე დღეს?**

> **«კვირიკაშვილს ივანიშვილი ენდო და საქვეყნო საქმე ჩააბარა, მან კი ღალატით უპასუხა. არ შეიძლება ქვეყანაში მხოლოდ ორი ბანკი იყოს დომინანტი, რაც კვირიკაშვილის სახელს მიეწერება»**

— სარწმუნო წყაროდან ვიცი, რომ დიდი სჯა-ბაასი მიმდინარეობდა იმაზე, ვინ უნდა ყოფილიყო პრემიერი. არჩევანი ბახტაძესა და გახარიას შორის უნდა გაეკეთებინათ, ამ ორიდან არც ერთს არ უნდოდა ეს თანამდებობა, ამიტომაც არ გაცხადდა სიმართლე. მეორე დღეს კი ყველაფერი მოაგვარეს, სააშკარაოზე დადეს ფაქტები პრემიერის წინააღმდეგ და კვირიკაშვილიც აიძულეს, გადამდგარიყო.

მამუკა ბახტაძე კარგი კანდიდატია, მაგრამ კიდევ ერთხელ ვიტყვი იმასაც, რომ მხოლოდ ინგოროყვას ქუჩით ნუ შემოიფარგლებიან.

**— ჩანს, მამუკა ბახტაძე მოგწონთ, მაგრამ შეძლებს ის რაიმე სასიკეთოს გაკეთებას „ჩრდილოვანი მმართველობის“ პირობებში? საზოგადოებას მოსწონდა ღარიბაშვილიც, მაგრამ მასაც მოუწია გადადგომა...**

— თუ ხელი არ შეუშალეს, მამუკა ყველაფერს გააკეთებს, რასაც მანამდე ამბობდა.

**— კვირიკაშვილისა და ღარიბაშვილისთვისაც რომ არ შეეშალათ ხელი, ისინიც გააკეთებდნენ...**

— არა... კვირიკაშვილს ხელს არავინ უშლიდა, ის დამოკიდებული იყო ხაზარაძეზე და ამან დაღუპა. მამუკა ბახტაძე კი, თუ დაინახავს, რომ ხელს უშლიან, კვირიკაშვილისგან განსხვავებით, მაშინვე დატოვებს თანამდებობას.

რადგან სიტყვამ მოიტანა, ვიტყვი: **ბახტაძეზე ამბობენ, 20 ათასი გადაურიცხა „ნაცმოძრაოზასო“. სასაცილოა ამაზე ლაპარაკი, რადგან ბიძინა ივანიშვილი წლების განმავლობაში აფინანსებდა ნაციონალებს, მათ შორის, ხელისუფლების წარმომადგენლებს.** საუბრობენ ასევე ბახტაძის განათლებაზე, ნაკლად უთვლიან იმას, რომ მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაამთავრა, მაგრამ არაფერს ამბობენ საკუთარ თავზე, უდიპლომოები რომ დადიან. **გიგი თევზაძე** „ილიაუნის“ რექტორად რომ ეჯდათ, რეფერატის დონეზე ჰქონდა მინიჭებული დოქტორის წოდება.

**— ვინ შეიძლება შეუშალოს ხელი მამუკა ბახტაძეს?**

— თუკი ახალ პრემიერს ხელს ვინმე შეუშლის, ეს ბიძინა ივანიშვილი იქნება და ამის წარმოდგენა არ მინდა, რადგან ის დაბრუნდა იმისთვის, რომ დიდი კატასტროფა დაინახა და გამოსწორება გადაწყვიტა, ამიტომ ხელი უნდა შეუწყოს ახალგაზრდა კაცს და არა — შეუშალოს.

**— შეეცდება თუ არა კვირიკაშვილი, თავისი პარტია შექმნას. თუ მართლა მამუკა ხაზარაძე უჭერს მხარს, ეს არ გაუჭირდება...**

— ვინ დაუშლის პარტიის შექმნას?! ეს ყველას შეუძლია, მაგრამ პარტიაში ვინ ეყოლება? 15-20 ადამიანი და გადაბარგდება „ევროპელ ნაციონალებთან“? მისი საქციელი არც გამიკვირდება, რადგან დღეს „ქართულ ოცნებაში“ იმაზე მეტი ნაციონალია, ვიდრე თვითონ „ნაციონალურ მოძრაობაში“.

კვირიკაშვილს კი ღმერთმა შეარგოს თავისი 15-კაციანი პარტია, თუკი რაიმეს გაკეთებას გადაწყვეტს. ფულის იმედი კი ნურავის ექნება, რადგან იმ შვილმკვდარ მამას კარგად აფინანსებდნენ, მხოლოდ აპარატურის ფასი იკითხეთ, რაც იქ იდგა, მაგრამ ხალხი ვერ გამოიყვანეს. საბედნიეროდ, ქართველი ამომრჩეველი აღარ იყიდება. ნაციონალებმა და მათმა მხარდამჭერებმა, ფარულმა თუ აშკარამ, დროა, შილაფლავის ხარშვა დაიწყონ.

ბახტაძის გასაგონად ვიტყვი: ქვეყანაში კატასტროფულ ზღვარზეა განათლება, სკოლადამთავრებული ბავშვების უმრავლესობა მშობლიურ ენაში გამოცდას ვერ აბარებს. თუკი ამას არ მიხედავენ, ტურიზმიც უკან დარჩებათ და ქვეყანაც.

> **«ბახტაძის გასაგონად ვიტყვი: ქვეყანაში კატასტროფულ ზღვარზეა განათლება, სკოლადამთავრებული ბავშვების უმრავლესობა მშობლიურ ენაში გამოცდას ვერ აბარებს. თუკი ამას არ მიხედავენ, ტურიზმიც უკან დარჩებათ და ქვეყანაც»**

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**




# დღევანდელი საარსებო გარემო და ცხოვრების წესი კაცობრიობას ინტელექტს აკარგვინებს

**ნორვეგიელი სპეციალისტების აზრით, ამის მიზეზია ადამიანების საარსებო გარემოსა და ცხოვრების წესში მომხდარი ცვლილებები. სტატია მეცნიერთა დაკვირვებით მიღებულ შედეგებზე გამოქვეყნდა Medical-Xpress-ში.**

მატების ეფექტი შეიმჩნეოდა მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში, მაგრამ შემდეგ დაჭკვიანებითი პროცესი დამუხრუჭდა და თანდათან დაბლა დაეშვა. გაირკვა, რომ ყოველი თაობის სიცოცხლეში ინტელექტის დონე საშუალოდ 7 პუნქტით მცირდებოდა.



## ჩაფლავებული ბოიკოტი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ვლადიმერ პუტინის რეაქცია რუსეთის ნაკრების მიერ საუდის არაბეთის კარში გატანილ მე-5 ბურთზე. შუაში ფიფას პრეზიდენტი ჯანი ინფანტინიო მარცხნივ: საუდის არაბეთის პრინცი მუჰამედ ბენ სალმან ალ საუდი.



# «იზოლაციაში» მოქცეული რუსეთი და «პუტინის მონები» — პელე, მარადონა და მოურინიო

**1980 წელს მოსკოვში გამართული ოლიმპიადის შემდეგ რუსეთმა მსოფლიოს XXI საფეხბურთო ჩემპიონატის მასპინძლობით მიიღო შანსი, მსოფლიოს დაანახვოს თანამედროვე ევროპული დედაქალაქის იმიჯი — ბოლო წლებში მოსკოვი ხომ გაცილებით შეიცვალა, ვიდრე ნებისმიერი ევროპული ქალაქი.**

მიუხედავად სანქციებისა, მიუხედავად დასავლეთის გააფთრებული მცდელობებისა, 2018 წლის მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის ბოიკოტი ჩაფლავდა. რუსეთმა დაამარცხა დასავლეთი, რომელმაც 2018 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ჩაშლის კამპანია 8 წლის წინათ დაიწყო. როცა რუსეთმა პლანეტაზე ყველაზე პოპულარული შეჯიბრების ჩატარების უფლება მოიპოვა. ამ მხრივ ყველაზე გააფთრებით მოქმედებდა დიდი ბრიტანეთი, რომელმაც საინფორმაციო ომის „ნაჯახი“ გამოძებნა და რუსეთს თავს ესხმოდა სხვადასხვა პროვოკაციით — ხან სადოპინგო სკანდალით, ხანაც სკრიპალების მოწამვლის საქმით. იქამდეც კი მივიდნენ, რომ ბრიტანეთის სამეფო ოჯახმა, მთავრობამ და პარლამენტარებმა უარი განაცხადეს რუსეთში ჩასვლაზე. საგარეო საქმეთა მინისტრმა **ბორის ჯონსონმა** კი შეურაცხყო რუსეთის პრეზიდენტი, — როგორც ჰიტლერს სჭირდებოდა 1936 წლის ოლიმპიადის გამართვა ბერლინში, ისე სჭირდებაო პუტინს მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის ჩატარებაო... თუმცა ჯონსონს „დაავიწყდა“ თავისი თანამემამულეების (ინგლისის საფეხბურთო ნაკრების წევრების) საქციელი, რომლებიც 1936 წელს გერმანიასთან საფეხბურთო მატჩის წინ ტრიბუნაზე მსხდომ ნაცისტ ხელმძღვანელებს — **ჰერმან გერინგს, იოზეფ გებელსსა** და **რუდოლფ ჰესს** ფაშისტური ჟესტით — ხელის აწევით — მიესალმნენ.

თუმცა არც რუსებმა და არც რიგითმა ბრიტანელებმა ყურადღება არ მიაქციეს ბრიტანელთა დაუვარცხნელი მინისტრის გამოხდომებს. რადგან ბრიტანელთა უმრავლესობას ფეხბურთი აინტერესებს და არა პოლიტიკა. ლონდონის კარში ბურთის გატანით, რუსეთმა ბურთი გაუტანა ვარშავასაც, რიგასაც, ვილნიუსსაც, ტალინსაც და კიევსაც. ცნობილმა ინგლისელმა ფეხბურთელმა, ინგლისის ნაკრების ყოფილმა წევრმა **გარი ლინეკერმა** გამოცემა Daily Stars-ს განუცხადა, რომ დიდ ბრიტანეთს უფლება არ აქვს, ეჭვი შეიტანოს რუსეთის ტერიტორიაზე ჩემპიონატის ჩატარების კანონიერებაში. **„ვინ ვართ ჩვენ, რომ განვსაჯოთ, ვინ უნდა ჩაატაროს მსოფლიოს ჩემპიონატი? ჩვენ ვიცით, როგორ არის კორუფციაში ჩაფლული ჩვენი ქვეყანა. ხალხი კი რუსეთში მართლაც ძალიან სტუმართმოყვარეა“.**

სხვათა შორის, ჯერ კიდევ 2014 წელს ფიფამ განაცხადა, რომ ეთიკის კომიტეტმა ვერანაირი დარღვევა ვერ იპოვა რუსეთისთვის მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობის უფლების მიცემაში. ასე ჩაფლავდა მსოფლიოს 2018 წლის მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის ბოიკოტისა და რუსეთის იზოლაციის მცდელობა. თუ როგორ იზოლაციაში მოაქცია დასავლეთმა რუსეთი, კარგად გამოჩნდა ჩემპიონატის გახსნის ცერემონიაზე.



პუტინი „საერთაშორისო იზოლაციაში“

14 ივლისს მსოფლიოს XXI საფეხბურთო ჩემპიონატის გახსნის ცერემონიაზე, რუსეთ-საუდის არაბეთის მატჩამდე 1 საათისა და 22 წუთით ადრე 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონმა, ესპანელმა **იკერ კასილასმა** და რუსმა ტოპ-მოდელმა **ნატალია ვოდიანოვამ** სტადიონ „ლუჟნიკების“ მინდორზე გამოიტანეს მსოფლიოს თასი. ჩემპიონატის ოფიციალური სიმღერა შეასრულეს ამერიკელმა მომღერლებმა **უილ სმიტმა** და **ნიკი ჯემმა**, აგრეთვე, ალბანელმა შემსრულებლებმა **ერა ისტრეფიმ** და ამერიკელმა მუსიკოსმა **დიპლომ.**

**«დღეიდან ერთი თვის განმავლობაში ფეხბურთი დაიპყრობს რუსეთს, რუსეთიდან კი ფეხბურთი დაიპყრობს სრულიად მსოფლიოს!»**



იკერ კასილიასი და ნატალია ვოდიანოვა

რუსმა საოპერო მომღერალმა **აიდა გარიფულინამ** და ბრიტანელმა მომღერალმა **რობი უილიამსმა** შეასრულეს სიმღერა Angels-ი.



აიდა გარიფულინა და რობი უილიამსი

ტურნირის ოფიციალური ბურთზე პირველი სიმბოლური დარტყმა შეასრულა 1994 და 2002 წლების მსოფლიოს ჩემპიონმა ბრაზილიელმა **რონალდომ.** შემდეგ სიტყვით გამოვიდა რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი:

**„ამ ერთობაში, რომელზეც ვერ იბატონებს ვერც ენობრივი და ვერც იდეოლოგიური განსხვავებები, ვერც განსხვავება რწმენაში, არის ფეხბურთის უდიდესი ძალა, საერთოდ, სპორტის, ძალა მისი ჰუმანიტარული საწყისებისა. ჩვენი ამოცანაა, გავუფრთხილდეთ ამ ძალას, ამ ერთობას მომავალი თაობებისთვის, სპორტის განვითარებით მშვიდობას და ხალხებს შორის ურთიერთობის განსამტკიცებლად. ჩვენ, ფეხბურთის ერთგული გულშემატკივრები, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, პლანეტაზე მილიარდობით ვართ. და, სადაც უნდა ვცხოვრობდეთ, როგორ ტრადიციებსაც უნდა ვიცავდეთ, ყველას გვაერთიანებს ფეხბურთის სიყვარული“.**

შემდეგ კი სტადიონზე შეკრებილთ ფიფას პრეზიდენტმა **ჯანი ინფანტინომ** რუსულ ენაზე მიმართა: **„დღეიდან ერთი თვის განმავლობაში ფეხბურთი დაიპყრობს რუსეთს, რუსეთიდან კი ფეხბურთი დაიპყრობს სრულიად მსოფლიოს!“**

**რა შედეგი გამოიღო დასავლური ე.წ. ელიტის ბოიკოტმა მსოფლიოს 2018 წლის ჩემპიონატის მიმართ და როგორ მოაქციეს „იზოლაციაში“ რუსეთი და პუტინი, კარგად ჩანს ფოტოებიდან.**



მოურინიო და პუტინი



2018 წლის ჩემპიონატის სიმბოლო ზაბივაკა და ბრაზილიელი რონალდო

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**

**ქართველმა კომენტატორებმა 90 წუთის განმავლობაში მიწასთან გაასწორეს რუსეთის ნაკრები, რუსეთის სახელმწიფო, მისი ეკონომიკა, საგარეო კურსი, ახალი სანქციებიც კი მოიფიქრეს და რუსების მიერ გატანილ ყოველ გოლს მწუხარებით ხვდებოდნენ, ხოლო საუდის არაბეთის შეტევებს მხურვალედ გულშემატკივრობდნენ.**

ტენდენციურები და არაპროფესიონალები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**14 ივნისს რუსეთში მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატი დაიწყო. როგორც წესი, ამ მასშტაბის ტურნირები არამხოლოდ იმ ქვეყანაში იქცევა ხოლმე სახალხო ზეიმად, რომელშიც ტარდება, არამედ სხვა ქვეყნებშიც ნამდვილი დღესასწაულია. თანაც ფეხბურთი სპორტის ის ერთადერთი სახეობაა, რომელშიც მსოფლიოს ჩემპიონის მედალი ოლიმპიურ ოქროს სჯობს. მართალია, ჩოგბურთშიც ნაკლებად ფასობს ოლიმპიური ოქრო და ძირითადი ყურადღება Grand Slam-ის ტურნირებს ეთმობა, მაგრამ იქ მედლები არ არის. სწორედ ამიტომ მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატს იმაზე არანაკლები გულშემატკივარი და მაყურებელი ჰყავს, ვიდრე სპორტის ყველაზე მასშტაბურ ფორუმად აღიარებულ ოლიმპიადას და იმის გათვალისწინებით, როგორ უყვართ საქართველოში სპორტის ეს სახეობა, ადვილი მისახვედრია, რა დღეშია ქართველი გულშემატკივარი.**

# როცა რუსეთის ჯიბრზე საუდის არაბეთს ქომაგობთ, ისტორიას ცალი თვალი მაინც გადაავლეთ!

ბოლო წლებია, მსოფლიოს ჩემპიონატის გახსნის მატჩში ყოველთვის მასპინძელი გუნდი თამაშობს და ასე იყო ამჯერადაც. პირველი შეხვედრა რუსეთსა და საუდის არაბეთს შორის გაიმართა. ქართველ გულშემატკივარს შესაძლებლობა აქვს, ყველა შეხვედრის პირდაპირი რეპორტაჟი საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში იხილოს და ეს ლოგიკურიცაა — ჩვენი ფულით დაფინანსებულმა ტელევიზიამ, კეთილი უნდა ინებოს და, ასეთი ტურნირების ტრანსლირების უფლება შეიძინოს. ამის მიუხედავად, **ქართველი კომენტატორების ცოდნა-გამოცდილების გათვალისწინებით, ქართველ გულშემატკივართა უმრავლესობა ტრანსლაციას რუსულ არხებზე უყურებს. რატომ? იმიტომ, რომ რუსი კომენტატორების შედარება ქართველებთან არ შეიძლება.** ისინი მომზადებულები არიან, ზუსტად იციან, როდის რა თქვან, საქმეს პასუხისმგებლობით ეკიდებიან და ისე საინტერესოდ მიჰყავთ რეპორტაჟი, ისეთ დინამიკაში, უკეთესს რომ ვერ ინატრებ. რუსი კომენტატორები არასდროს საუბრობენ საფეხბურთო მატჩის დროს პოლიტიკაზე და არ განიხილავენ არც კონფლიქტებს, არც საგარეო ურთიერთობებსა და ქვეყნის პოლიტიკურ მიმართულებას. მათ მიჰყავთ საფეხბურთო მატჩი, რადგან ზუსტად იციან, რომ იმ მომენტში ტელეეკრანთან გულშემატკივარი ზის, ადამიანი, რომელსაც არც პოლიტიკა ახსოვს და არც საკუთარი თავი — მსოფლიოს ჩემპიონატს უყურებს.

სწორედ ამიტომ რუსეთი-საუდის არაბეთის, ანუ მუნდიალის გახსნის შეხვედრას რუსულ არხზე ვუყურე. ვნახე ხუთი უპასუხო გოლი არაბების კარში; ვნახე არცთუ გამართული ფეხბურთი და ვნახე, როგორ უყვართ რუს გულშემატკივრებს თავისი გუნდი. ჰო, ისიც ვნახე, რუსეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი, წარსულში მოსკოვის „სპარტაკის" მეკარე **სტანისლავ ჩერჩესოვი** ყოველი გოლის შემდეგ თავის თანაშემწეებს კი არ ეხვეოდა, არამედ ტრიბუნებისკენ შებრუნდებოდა ხოლმე და გულშემატკივარს თავს უკრავდა — მხარდაჭერისთვის მადლობას უხდიდა. ეს ისე, ქართველების გასაგონად, გოლის (იშვიათად გაგვაქვს, მაგრამ მაინც) შემდეგ ერთმანეთს რომ ეხვევიან, გულშემატკივარს მიუბრუნდით, ბატონებო, იმ გულშემატკივარს, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ ამ მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევში ერთი თამაშიც ვერ მოიგეთ, სტადიონზე მაინც მოდის.

მოკლედ, მორჩა შეხვედრა და ჯერ სიმამრმა დამირეკა, მერე — მამამ, მერე — ბიძამ, მერე... მერე... მერე... ყველას ერთი და იგივე ტექსტი ჰქონდა: **„ეგა ხართ ჟურნალისტები, რა იყო ეს, მთვრალებს მიჰყავდათ რეპორტაჟი? ან როდიდან გახდა არაბეთი ჩვენი მოძმე, ისტორია მაინც წაიკითხეთ!"**

როგორც გაირკვა, უფროსი თაობის ხალხმა რეპორტაჟს ქართულ არხზე უყურა და მწარედაც ინანა. ქართველმა კომენტატორებმა მთელი 90 წუთის განმავლობაში მიწასთან გაასწორეს რუსეთის ნაკრები, რუსეთის სახელმწიფო, მათი ეკონომიკა, საგარეო კურსი, ახალი სანქციებიც კი მოიფიქრეს და რუსების მიერ გატანილ ყოველ გოლს მწუხარებით ხვდებოდნენ, მაშინ, როცა საუდის არაბეთის შეტევებს მხურვალედ გულშემატკივრობდნენ. ჯერ ერთი, ვინ მოგცათ უფლება, რომ მატჩის წაყვანისას ტელემაყურებელი აიძულოთ, რომელიმე გუნდს უგულშემატკივროს? როცა საქართველოს ნაკრები თამაშობს, გასაგებია, მაგრამ როცა ორი უცხო ნაკრები ხვდება ერთმანეთს, რატომ ხართ ასე აშკარად ერთ-ერთის მხარეს? თუ გულშემატკივრობა და ტელევიზორთან ღრიალი გინდათ, დასხედით შინ და იქ უყურეთ ფეხბურთს. საქმე ისეთ ქვეყნებთან რომ გვქონდეს, როგორებიცაა ბრაზილია, არგენტინა, იტალია ან სხვა გრანდები, შეიძლება თავი ვერ შეიკავო და ერთი-ორი ფრაზა გაგეპაროს კონკრეტული გუნდის მისამართით, მაგრამ, როცა საუდის არაბეთს გულშემატკივრობ და მაყურებელს აიძულებ, იგივე გააკეთოს, ეს კომენტატორობა აღარაა, ეს პროპაგანდაა! მით უმეტეს, როცა საზოგადოებრივი მაუწყებელი გქვია, ხელფასს სწორედ მაყურებელი გიხდის, **რატომ აძლევთ თავს უფლებას, სპორტული სანახაობა პოლიტიკურ შოუდ გადააქციოთ?! ისტორია თუ არ წაგიკითხავთ, ერთხელ მაინც გაიარეთ აღმაშენებელზე, ნახეთ არაბული ბარები და სცადეთ შესვლა, თუნდაც ფეხბურთის საყურებლად. არ შეგიშვებენ, ბატონებო!**



**საზოგადოებრივი მაუწყებელი, ბოლო რამდენიმე თვეა, აშკარა აგრესიაზე გადავიდა და გამალებული ეწევა ანტირუსულ პროპაგანდას. რაც მთავარია, ტყუილებით გაჯერებულ გადაცემებს აკეთებს, ანგაჟირებული წამყვანები იმის მტკიცებას იწყებენ, რომ დაბალი პენსია, უმუშევრობა, კრიმინალი, საზოგადოდ, ყველაფერი ცუდი რაც ხდება, სწორედ რუსეთის ბრალია**

საუბარი მხოლოდ ფეხბურთზე არ არის. **საზოგადოებრივი მაუწყებელი, ბოლო რამდენიმე თვეა, აშკარა აგრესიაზე გადავიდა და გამალებული ეწევა ანტირუსულ პროპაგანდას. რაც მთავარია, ტყუილებით გაჯერებულ გადაცემებს აკეთებს, ანგაჟირებული წამყვანები იმის მტკიცებას იწყებენ, რომ დაბალი პენსია, უმუშევრობა, კრიმინალი, საზოგადოდ, ყველაფერი ცუდი რაც ხდება, სწორედ რუსეთის ბრალია, თუმცა ვერ ხსნიან, რატომ არის რუსეთის ბრალი თუნდაც დაბალი პენსია, იმიტომ, რომ ამას ახსნა არ აქვს;** უბრალოდ, მოდურია რუსეთის გინება და ესენიც აგინებენ. ზუსტად ისევეა მოდური, როგორც 90-იან წლებში ნარკომანობა იყო პრესტიჟული. ჰო, ნარკომანობა და ამით უნიკალური ქვეყანა ვართ მსოფლიოში — მხოლოდ ჩვენ მოვახერხეთ ის, რომ წამლის კეთება „კაი ტიპობად" ითვლებოდა და მხოლოდ ჩვენ მოვახერხეთ ის, რომ ნარკოტიკების ლეგალიზაციის მოთხოვნით მრავალათასიანი აქცია მოვაწყვეთ და, რაც მთავარია, **ამ აქციაზე მისულ შს მინისტრს ბოდიშიც მოვახდევინეთ.** ეს მაშინ, როცა არათუ ნარკომანია, არამედ ლგბტ თემისა და სექტების არსებობა აკრძალეს რუსეთში, იმიტომ, რომ მომავალს უფრთხილდებიან და სულ არ აინტერესებთ, რას იტყვიან ამერიკისა და ევროპის მიერ დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციები. იქ მთავარი ქვეყნის მომავალია, ბავშვების სწორად აღზრდა. **იქ თავიდანვე უნერგავენ მომავალ თაობას, რომ ნარკოტიკი ცუდია, რომ არატრადიციული ორიენტაცია ცუდია, რომ მართლმადიდებლურ ქვეყანაში სექტები არ უნდა იყოს. ჩვენ კი ტოლერანტები ვართ, ყველას ვუღიმით, ყველას ყველაფრის უფლებას ვაძლევთ, ოღონდ არა რუსეთს, იმიტომ, რომ რუსეთის გინება ევროპულ-ამერიკული დღის წესრიგია და ჩვენი მედიის უმეტესობა ხომ ამ დღის წესრიგით ცხოვრობს.**

თავიდან ბოლომდე მეორედ ვუყურე თამაშს და მხოლოდ იმიტომ, რომ ქართველი კომენტატორების მარგალიტები მომესმინა. თუ არ იცოდით, გეტყვით, რომ **თურმე საუდის არაბეთი სპეციალურად შეახვედრეს რუსეთს, იმიტომ, რომ სუსტი გუნდია და მოუგებდა. დიახ, სწორედ ასე ახსნეს ქართველმა კომენტატორებმა ეს ფაქტი და ის კი აღარ გახსენებიათ, რომ საუდის არაბეთი მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშობს, საქართველოს ნაკრებისგან განსხვავებით, იმ ნაკრებისგან, რომელსაც ორიოდე კვირის წინათ არანაკლებ სუსტმა ლუქსემბურგმა ბურთი თავზე გადაახია.** აი, იმ შეხვედრაში იმავე კომენტატორებმა დადებითი ძვრები დაინახეს, თურმე ნაკრების თამაშს მწვრთნელის ხელი ეტყობა და მერე რა, რომ ლუქსემბურგთან წავაგეთ, მეთევზეებთან და „ტაქსის" მძღოლებთან, არაპროფესიონალ ფეხბურთელებთან, ჩვენ მაინც მაგრები ვართ... თუნდაც რუსეთზე მაგრები და ისიც არა უშავს, ყველა ქართული საფეხბურთო კლუბის ბიუჯეტი იმაზე ნაკლები რომ არის, ვიდრე „ზენიტი", „ცსკა" და „სპარტაკი" იხდიან თითო ფეხბურთელში.

**სპორტი ადამიანებს აერთიანებს. და რომ თქვენ საზოგადოებრივ მაუწყებელში მუშაობთ, ხელფასს სწორედ გულშემატკივარი გიხდით, კეთილი ინებეთ და სპორტულ სანახაობას უადგილო პოლიტიკური სანელებლებით გემოს ნუ დაუკარგავთ.** თავადაც ნახავდით, თქვენს წაყვანილ მატჩს რა კომენტარები მოჰყვა და ზოგმა ივარაუდა, მთვრალები იყვნენო, ზოგმა — ეძინებოდათ და ბოდავდნენო, ზოგი კი ნარკომანობას გაბრალებთ (ან არ გაბრალებთ). შეეგუეთ იმ აზრს, რომ რუსეთის გინება მოდური ევროპა-ამერიკისთვის არის, მათი გრანტებით დაფინანსებული არასამთავრობოებისთვის, თორემ საზოგადოებრივი აზრი რადიკალურად არის შეცვლილი. თუ არ გჯერათ, რეფერენდუმი ჩაატარეთ საპრეზიდენტო არჩევნების პარალელურად და შეიტყობთ, მაგრამ არა, ვერ გარისკავთ, მერე ხომ ძია სემი დაფინანსებას შეწყვეტს, მერე ხომ ევროპა მიღებულ რეზოლუციაში საქართველოს აღარ ახსენებს...

ისე, როცა რუსეთის ჯიბრზე საუდის არაბეთს ქომაგობთ, ისტორიას ცალი თვალი მაინც გადაავლეთ!

**ბესო ბარბაქაძე**

**სპორტი ადამიანებს აერთიანებს. თქვენ რომ საზოგადოებრივ მაუწყებელში მუშაობთ, ხელფასს სწორედ გულშემატკივარი გიხდით, კეთილი ინებეთ და სპორტულ სანახაობას უადგილო პოლიტიკური სანელებლებით გემოს ნუ დაუკარგავთ**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**1940 წლის ნოემბერში ბერლინში საბჭოთა კავშირ-გერმანიის მოლაპარაკებისას მოლოტოვი სტალინის მითითებით მოითხოვდა, რომ ბულგარეთი, თურქეთის სრუტეები და მთელი შავიზღვისპირა რეგიონი ყოფილიყო საბჭოთა გავლენის სფეროში. შემდეგ — ანტიჰიტლერული კოალიციის პარტნიორებთან მოლაპარაკებისას სტალინი დაბეჯითებით მოითხოვდა სრუტეებზე კონტროლს, იგი ასევე მოითხოვდა, გადაეხედათ 1936 წ. მონტრეში დადებული კონვენციისთვის სრუტეების სტატუსის თაობაზე, რომლის მიხედვით თურქეთს უფლება ეძლეოდა, სრუტეებზე შეექმნა თავდაცვითი ნაგებობები და ომის დროს ჩაეკეტა უცხო სახელმწიფოების გემებისთვის.**

**1947 წელს სტალინი შავიზღვისპირა აგარაკზე ისვენებდა. როგორც წესი, პარტიული ნომენკლატურა ღამის საათებშიც ჩვეულებრივი რიტმით მუშაობდა, მაგრამ წარმოიდგინეთ, როგორ იმუშავებდა სტალინური წრთობის ისეთი კომუნისტი, როგორიც იმხანად აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი აკაკი მგელაძე გახლდათ.**

# სტალინი და საქართველო

როგორ აპირებდა სტალინი თურქეთის მიერ მიტაცებული მიწების დაბრუნებას



**1949 წელს სტალინის დაბადების დღისთვის ატომური ბომბი უკვე შექმნილი იყო, და მან იმედის თვალით შეხედა მსოფლიოს პოლიტიკურ რუკას. ძლევამოსილმა წითელმა არმიამ კი აქტიურად დაიწყო შავი ზღვის ნაპირებზე სამხედრო წრთვნები**

— გვიან ღამით ჩემს სამუშაო ოთახში მაღალი სიხშირის ტელეფონმა დარეკა, — იგონებს აკაკი მგელაძე, — როგორც კი ყურმილი ავიღე, შემომესმა ნაცნობი ხმა:

— გამარჯობა!

— გაგიმარჯოს, ამხანაგო სტალინ!

— როგორ არის საქმე?

— ყველაფერი რიგზეა, ამხანაგო სტალინ, სამეურნეო წელს წარმატებით ვამთავრებთ.

— ეს ძალიან კარგია. თუ დრო გაქვთ, გამოიარეთ ჩემთან, წამოიყვანეთ თქვენი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.

სტალინი სოხუმთან ახლოს თავის აგარაკზე ისვენებდა, გამოვიძახე **მიხეილ კონსტანტინეს ძე დელბა** და სტალინთან გავემგზავრეთ.

სტალინი მხიარულად შეგვხვდა და სახლში მიგვიპატიჟა. გამოგვკითხა ოლქში მიმდინარე საქმეები და კმაყოფილი დარჩა არსებული მდგომარეობით. საუბარში ვიყავით გართული, რომ უცბად შემოგვთავაზა, გავსულიყავით მეორე სათათბირო ოთახში, სადაც მოზრდილი მაგიდა იდგა. **პოსკრებიშევს** სთხოვა, შემოეტანა რუკა, რომელიც, როგორც ჩანს, ახალი მიღებული ჰქონდა მოსკოვიდან. პოსკრებიშევმა სწრაფად მოიტანა რუკა და დავიწყეთ მისი მაგიდაზე გაშლა, მაგრამ რუკა მაგიდაზე ვერ დაეტია. მაშინ სტალინმა ბრძანა, კედელზე ჩამოეკიდათ. სკამზე შემდგარმა პოსკრებიშევმა, ჩვენი მიხმარებით, ჩაქუჩითა და ლურსმნით რუკა კედელზე ჩამოკიდა. ეს იყო ახალი შედგენილი მსოფლიოს პოლიტიკური რუკა. სტალინმა ჩიბუხი გააწყო, გააბოლა და ჯოხი ხელში მოიმარჯვა:

— ერთად ვნახოთ, რა გამოგვივიდა ამ საშინელი სისხლისმღვრელი ომის შემდეგ, — თქვა და სიამაყოთ გადახედა რუკას.

**„ჩრდილოეთით ყველაფერი რიგზეა, ფინეთმა ძალიან დააშავა ჩვენ წინაშე და საზღვარი გადმოვწიეთ. ბალტიისპირეთი — რუსული ტერიტორია — ისევ ჩვენია, ბელორუსებთან ერთად ვცხოვრობთ, უკრაინელებთან — ერთად, მოლდაველებთან — ერთად; დასავლეთით ყველაფერი რიგზეა. ახლა ვნახოთ, რა ხდება აღმოსავლეთით? კურილის კუნძულები ახლა ჩვენია, სახალინი მთლიანად ჩვენია, ნახეთ რა კარგია! პორტ-არტურიც ჩვენია, შორეულიც, — სტალინმა ჩიბუხი შემოავლო ჩინეთს, — აღმოსავლეთ ჩინეთის რკინიგზა ჩვენია. ჩინეთი, მონღოლეთი, ყველაფერი რიგზეა... აი აქ კი ჩვენი საზღვარი არ მომწონს!” — თქვა სტალინმა და კავკასიის სამხრეთზე მიუთითა“.**

ასწლეულების განმავლობაში რუსეთის მმართველები ოცნებობდნენ, გაეკონტროლებინათ თურქული სრუტეები (ბოსფორი და დარდანელი), რომლებიც აერთებენ შავსა და ხმელთაშუა ზღვებს. 1915 წელს, პირველი მსოფლიო ომის პერიოდში, როცა თურქეთი იბრძოდა გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის მხარეს, დიდმა ბრიტანეთმა და საფრანგეთმა მხარი დაუჭირეს რუსეთის მისწრაფებას, დაეწესებინა კონტროლი სრუტეებსა და თურქეთის სანაპირო ზოლზე, რომლებიც შედიოდნენ მისი გავლენის სფეროში, მაგრამ 1917 წლის ნოემბერში ანტანტის დახმარებით განხორციელდა თებერვლის გაატრიალება და ამ საიდუმლო შეთანხმებამ ძალა დაკარგა.

**1940 წლის ნოემბერში ბერლინში საბჭოთა კავშირ-გერმანიის მოლაპარაკებისას მოლოტოვი სტალინის მითითებით მოითხოვდა, რომ ბულგარეთი, თურქეთის სრუტეები და მთელი შავიზღვისპირა რეგიონი ყოფილიყო საბჭოთა გავლენის სფეროში. შემდეგ — ანტიჰიტლერული კოალიციის პარტნიორებთან მოლაპარაკებისას სტალინი დაბეჯითებით მოითხოვდა სრუტეებზე კონტროლს, იგი ასევე მოითხოვდა, გადაეხედათ 1936 წ. მონტრეში დადებული კონვენციისთვის სრუტეების სტატუსის თაობაზე, რომლის მიხედვით თურქეთს უფლება ეძლეოდა, სრუტეებზე შეექმნა თავდაცვითი ნაგებობები და ომის დროს ჩაეკეტა უცხო სახელმწიფოების გემებისთვის.**

1943 წელს **უინსტონ ჩერჩილი** და **ფრანკლინ რუზველტი** თეირანის კონფერენციაზე დათანხმდნენ, გადაეხედათ მონტრეს კონვენციის დებულებებისთვის, ხოლო 1944 წლის ოქტომბერში მოსკოვში სტალინთან საიდუმლო მოლაპარაკებისას სიტყვიერად დათანხმდნენ, მხარი დაეჭირათ საბჭოთა კავშირის მოთხოვნებისთვის.

საბჭოთა სპეციალისტები, რომლებიც 1944-1945 წლებში თანამშრომლობდნენ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატთან, შეთანხმდნენ, რომ დადგა უნიკალური მომენტი, როცა შეიძლება დადგეს „საკითხი სრუტეების შესახებ“ და გადაიჭრას იგი საბჭოთა კავშირის სასარგებლოდ ერთხელ და სამუდამოდ. 1944 წლის ნოემბერში ლიტვინოვი ატყობინებდა სტალინსა და მოლოტოვს, რომ საჭირო იყო დიდი ბრიტანეთის დაყოლიება საბჭოთა კავშირის „პასუხისმგებლობის“ სფეროში სრუტეების ყოფნის აუცილებლობაზე. კრემლში ფიქრობდნენ, რომ საბჭოთა არმიის შთამბეჭდავი გამარჯვების ფონზე, დიდი ბრიტანეთი და აშშ აღიარებდნენ სსრკ-ის დიდ გავლენას თურქეთზე, თუნდაც „გეოგრაფიული ახლობლობის“ გამო.

შემდეგ გავრცელდა ხმა, რომ ზოგიერთი საბჭოთა მხედართმთავარი ცდილობდა, დაეყოლიებინა სტალინი თურქეთში შეჭრაზე, მაგრამ პირველი მსოფლიო ომის მწარე გაკვეთილის გათვალისწინებით თურქეთი მკაცრად იცავდა ნეიტრალიტეტს და ოკუპაციის საბაბი არ იყო. მიუხედავად ამისა, სტალინმა გადაწყვიტა, დასავლელ მოკავშირეებთან შეუთანხმებლად ემოქმედა. 1945 წლის 7 ივნისს **მოლოტოვი** სტალინის მითითებით შეხვდა მოსკოვში თურქეთის ელჩ **სელიმ სარფერს** და უარყო თურქეთის წინადადება, ხელი მოეწერა საბჭოთა კავშირთან მეგობრობის ახალ ხელშეკრულებაზე. ამის მაგივრად, მოლოტოვმა თურქეთს მოსთხოვა, შეთანხმებულიყვნენ მშვიდობიან პერიოდში სრუტეებზე ორმხრივი კონტროლის დაწესებაზე. საბჭოთა კავშირი მოითხოვდა თურქეთთან ერთად სრუტეებზე სამხედრო ბაზების მშენებლობის უფლებას, გარდა ამისა, მოლოტოვმა მოითხოვა, თურქეთს საბჭოთა კავშირისთვის დაებრუნებინა „სადავო“, რომლებიც საბჭოთა რუსეთმა დაუთმო თურქეთს 1921 წლის ხელშეკრულებით.

**ახლახან აღმოჩენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ სტალინს იმედი ჰქონდა, მოულოდნელი შეტევით აეძულებინა თურქები, დათანხმებულიყვნენ საბჭოთა კავშირის მოთხოვნებს. შავი ზღვის სრუტეებზე კონტროლის დაწესება პირველი რიგის გეოპოლიტიკური ამოცანა იყო საბჭოთა კავშირისთვის, რომელიც ამ შემთხვევაში ხმელთაშუა ზღვის მთავარ სახელმწიფოდ გადაიქცეოდა. ტერიტორიული პრეტენზიები კი იყო მეორე რიგის ამოცანა, რომელიც პირველ ამოცანას ექვემდებარებოდა.**

საბჭოთა კავშირისთვის ართვინის, ყარსისა და ვანის ტბის მიდამოების შემოერთების საქმეში სტალინს „სომხური კარტის“ გათამაშების იმედი ჰქონდა — ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიაზე ცხოვრობდა მილიონზე მეტი სომეხი, რომლებიც 1915 წელს გაანადგურეს, გადარჩენილნი კი გადაასახლეს. 1920 წელს შედგენილი სევრის მშვიდობიანი ხელშეკრულების თანახმად ეს ტერიტორიები უნდა შესულიყვნენ სუვერენული „სომხური სახელმწიფოს“ შემადგენლობაში, მაგრამ სომხებმა, რომლებიც იბრძოდნენ ბერძნებთან ერთად, ვერ გაუძლეს თურქების არმიის შემოტევას, რომელსაც ხელმძღვანელობდა **მუსტაფა ქემალი (ათათურქი)**. ბოლშევიკურმა მთავრობამ ლენინის ხელმძღვანელობით დაამყარა კავშირი ქემალის თურქეთთან და, 1921 წელს დადებული საბჭოთა კავშირ-თურქეთის ხელშეკრულების თანახმად, უარი თქვა „სომხურ“ ოლქებზე.

1945 წლის გაზაფხულზე მსოფლიოს სომხებს იმედი გაუჩნდათ ისტორიული სამართლიანობის აღდგენისა. სომხური დიასპორის ორგანიზაციები, მათ შორის უმდიდრესი ამერიკელი სომხები, მიმართავდნენ სტალინს თხოვნით, დაებრუნებინა სომხები საბჭოთა სომხეთში იმ იმედით, რომ რამდენიმე ხნის შემდეგ ისინი საბჭოთა კავშირის დახმარებით დაბრუნდებოდნენ ისტორიულ მიწებზე, რომლებიც თურქეთმა მიიტაცა. მაისში სტალინმა დაავალა საბჭოთა სომხეთის ხელმძღვანელობას, განეხილა სომხების მასობრივი რეპატრიაციის საკითხი, რაც, მისი გათვლებით, შეარყევდა დასავლეთის სახელმწიფოების სურვილს, დაეცვათ თურქეთი — საბჭოთა მოთხოვნები ილებდა ისტორიულ „ჰუმანიტარულ“ საფარველს.

**თურქეთის მთავრობამ მოსკოვს განუცხადა, რომ მზადაა, დადოს ორმხრივი ხელშეკრულება, მაგრამ უარყო საბჭოთა კავშირის ტერიტორიული პრეტენზიები და შავი ზღვის სრუტეების „ერთობლივი“ დაცვის მოთხოვნა; მიუხედავად ამისა, სტალინმა, როგორც იგონებდა შემდეგ მოლოტოვი, ბრძანა, განეგრძოთ თურქებზე ზეწოლა.** პოტსდამის კონფერანციაზე დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ის წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ თანახმა არიან, შეიცვალონ კონვენცია სრუტეებზე კონტროლისა, მაგრამ **ტრუმენმა** მოულოდნელად წამოაყენა კონტრწინადადება საერთაშორისო და საშინაო წყლებზე თავისუფალი და განუსაზღვრელი ნავიგაციისა (დუნაის ჩათვლით), და არ დაეთანხმა გამაგრებითი სამუშაოების წარმოებას სრუტეებზე. მიუხედავად ამისა, საბჭოთა მთავრობამ პოტსდამის კონფერენციის შედეგები დადებითად შეაფასა, მათ შორის სრუტეებზე საბჭოთა შანსების მხრივაც. 30 აგვისტოს, ლონდონში საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრის წინ, სტალინმა ბულგარელ კომუნისტებს უთხრა, რომ თურქული ბაზების საკითხი „აუცილებლად გადაწყდება ამ კონფერენციაზე“. წინააღმდეგ შემთხვევაში, საბჭოთა კავშირი დააყენებს ხმელთაშუა ზღვაში ბაზების შეძენის საკითხს.

ლონდონში მოლოტოვმა წარუდგინა მოკავშირეებს აფრიკაში ყოფილი იტალიური კოლონიის ტრიპოლიტანიის (ლიბიის) მართვის მანდატის საბჭოთა კავშირისთვის გადაცემის პროექტი, რომელიც არ იყო უბრალო ტაქტიკური ფანდი, როგორც დიდხანს ფიქრობდნენ ისტორიკოსები დასავლეთში. ამ პროექტში აისახა სტალინის ინტერესი, გადაექცია საბჭოთა კავშირი ხმელთაშუა ზღვის მთავარ სახელმწიფოდ. სტალინსა და მოლოტოვს შორის საიდუმლო მიმოწერიდან დგინდება, რომ საბჭოთა მთავრობა 1945 წლის აპრილში სან-ფრანცისკოს კონფერენციაზე რუზველტის ადმინისტრაციის გენმდივანმა **ედვარდ სტეტინიუსმა** დააიმედა, რომ ამერიკელები მხარს დაუჭერდნენ ჩრდილოეთ აფრიკაში იტალიის ერთ-ერთ კოლონიაზე საბჭოთა კავშირის მანდატს.

მაგრამ დრო შეიცვალა და ამერიკელებმა მხარი დაუჭირეს დიდ ბრიტანეთს, რომელიც წინააღმდეგი იყო ხმელთაშუა ზღვაში საბჭოთა სამხედრო საზღვაო ყოფნისა. როგორც კი ეს ამბავი შეიტყო, სტალინმა მიუთითა მოლოტოვს, მოეთხოვა სავაჭრო ფლოტისთვის ბაზა, მაგრამ ამ საკითხზეც უარი მიიღო და საბოლოოდ ამერიკულ-ბრიტანულმა წინააღმდეგობამ ხელი შეუშალა საბჭოთა კავშირს, გამაგრებულიყო ხმელთაშუა ზღვაზე. თურქეთის მთავრობამ, იგრძნო რა დასავლეთის სახელმწიფოების მხარდაჭერა, მტკიცედ დაიცვა თავისი პოზიციები. ვინ იცის, 1945 წლის ივნისში სტალინს რომ დაედო თურქეთთან ორმხრივი ხელშეკრულება, რომელიც უზრუნველყოფდა უსაფრთხოებას და განსაკუთრებულ პრივილეგიებს სრუტეებში სამხედრო ბაზების მშენებლობის გარეშე, შეიძლება თურქეთი დათანხმებულიყო ასეთ პირობებს, მაგრამ ტერიტორიული პრეტენზიები საბჭოთა კავშირის მხრიდან თურქებისთვის მიუღებელი აღმოჩნდა.

ახალი დოკუმენტები, რომლებიც მოიპოვა აზერბაიჯანელმა ისტორიკოსმა **ჯამალ ჰასანლიმ**, ნათლად აჩვენებს სტალინის ტაქტიკას. თურქეთზე პოლიტიკური ზემოქმედებისთვის 1945-1946 წლებში კრემლი იყენებდა ნაციონალურ განწყობილებებს საქართველოსა და სომხეთში. საარქივო დოკუმენტები აჩვენებს, რომ უკვე 1945 წელს ქართველ და სომეხ კომუნისტებს შორის დაიწყო ფარული ბრძოლა, თუ ვის უნდა დარჩენოდა თურქეთისთვის ჩამოჭრილი ტერიტორიები.

მსოფლიოში სომხური დიასპორის გააქტიურებამ და სომხეთის როლმა სტალინის გეგმებში, შეაშფოთა საქართველოს ხელისუფლება, რომელსაც თავისი „ნაციონალური პროექტი“ ჰქონდა აღმოსავლეთ თურქეთის ვილაიეთებში. 1955 წელს **ნიკიტა ხრუშჩოვი** ამტკიცებდა, რომ **ლავრენტი ბერია**, საქართველოს ხელმძღვანელებთან ერთად, ცდილობდა, დაეთანხმებინა სტალინი, თურქეთისთვის წაერთმია შავი ზღვის სანაპიროს სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი. ამაზე ▶

გრიგოლ ოniანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## 1946 წლის ივლისში ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ მოამზადა საიდუმლო მოხსენება: „სსრკ საგარეო და სამხედრო პოლიტიკა“, სადაც გამოტანილია დასკვნა, რომ შუა აღმოსავლეთის რეგიონი საბჭოთა კავშირისთვის უფრო მნიშვნელოვანია საზღვრების გაფართოების თვალსაზრისით, ვიდრე აღმოსავლეთი ევროპა, რადგან აქ არის მისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ბაქოს ნავთობი — საჰაერო თავდასხმის ობიექტი პოტენციურ ომში“.

**«ჩრდილოეთით ყველაფერი რიგზეა, ფინეთმა ძალიან დააშავა ჩვენს წინაშე და საზღვარი გადავწიეთ. ბალტიისპირეთი — რუსული ტერიტორია — ისევ ჩვენია, ბელორუსებთან ერთად ვცხოვრობთ, უკრაინელებთან — ერთად, მოლდაველებთან — ერთად; დასავლეთით ყველაფერი რიგზეა. ახლა ვნახოთ, რა ხდება აღმოსავლეთით. კურილის კუნძულები ახლა ჩვენია, სახალინი მთლიანად ჩვენია, ნახეთ რა კარგია! პორტ-არტურიც ჩვენია, შორეულიც, — სტალინმა ჩიბუხი შემოავლო ჩინეთს, — აღმოსავლეთ ჩინეთის რკინიგზა ჩვენია. ჩინეთი, მონღოლეთი, ყველაფერი რიგზეა... აი აქ კი ჩვენი საზღვარი არ მომწონს!» — თქვა სტალინმა და კავკასიის სამხრეთზე მიუთითა»**

◀ წერს თავის მოგონებებში ლავრენტი ბერიას შვილიც. 1945 წლის მაის-ივნისში ქართველმა დიპლომატებმა და ისტორიკოსებმა მოსკოვში მიიღეს დავალება, „შეესწავლათ საკითხი“ თურქეთში, ტრაპზონის რაიონში, საქართველოს ისტორიული უფლების შესახებ, ეს ტერიტორია დასახლებულია ქართველთა ეთნიკურად მონათესავე ხალხით — ლაზებით.

**დევი სტურუა,** საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის შვილი, მრავალი წლის შემდეგ იგონებდა, როგორ მოუთმენლად ელოდა მისი ოჯახი და სხვა ქართველებიც ამ ტერიტორიის გათავისუფლებას და, სტალინს რომ ეს გაეკეთებინა, იგი გახდებოდა, დევი სტურუას აზრით, „ღმერთი საქართველოში“. 1945 წლის 2 დეკემბერს პრესაში გამოქვეყნდა საბჭოთა კავშირის სახალხო კომისარიატის დადგენილება საზღვარგარეთ მყოფი სომხების რეპატრიაციის შესახებ საბჭოთა სამხრეთში. 20 დეკემბერს პრესაში გამოქვეყნდა ორი ქართველი ავტორიტეტული აკადემიკოს-ისტორიკოსის წერილი სათაურით: **„თურქეთისადმი ჩვენი კანონიერი პრეტენზიების შესახებ“.** ეს წერილი შეიცავდა მოწოდებას „მსოფლიო საზოგადოებრიობისადმი“, დახმარებოდნენ ქართველ ხალხს, წინაპართა იმ მიწების დაბრუნებაში, რომელიც თურქებმა მიიტაცეს მრავალი წლის წინათ. ამასთანავე, სამხრეთ კავკასიაში ვრცელდებოდა ხმა, რომ საბჭოთა კავშირი ემზადებოდა თურქეთთან ომისთვის. ბულგარეთსა და საქართველოში შეიმჩნეოდა საბჭოთა ჯარების სამხედრო სამზადისი.

საბჭოთა კავშირის მხრიდან თავდასხმის შესაძლებლობამ გამოიწვია მძლავრი ანტისაბჭოთა დემონსტრაციები სტამბოლში 1945 წლის დეკემბრის დასაწყისში. ამ მოვლენების შესახებ მოსკოვში გაგზავნილ მოხსენებით ბარათში ელჩი ს. ა. ვინოგრადოვი გამოთქვამდა აზრს, რომ წარმოეჩინათ ყველაფერი, როგორც თურქეთში „ფაშიზმის საფრთხე“. იგი, აგრეთვე, მიუთითებდა, რომ „ანტისაბჭოთა ფაშისტური დემონსტრაცია თურქეთში“ შეიძლება გამხდარიყო კარგი მიზეზი თურქეთთან ურთიერთობის გაწყვეტისა და, აგრეთვე, იმის მიზეზიც, რომ „მიეღოთ უსაფრთხოების ზომები“, სხვა სიტყვებით — დაწყებულიყო სამზადისი ომისთვის.

7 დეკემბერს სტალინმა თავისი მრისხანება დაატეხა თავს ვინოგრადოვს: **„ელჩს არავინ ეკითხება საბჭოთა საგარეო პოლიტიკის დაგეგმვას: უნდა გესმოდეთ, რომ ჩვენ არ შეგვიძლია მივუთითოთ თურქეთის მთავრობას ფაშიზმის დონის ამაღლებაზე მათ ქვეყანაში, რადგან ეს არის თურქების საშინაო საქმე“.** სტალინი, აგრეთვე, წერდა: **„იარაღის ჟღარუნმა შეიძლება მიიღოს პროვოკაციული ხასიათი... საჭიროა თავშეკავება გაუაზრებელი წინადადებებისგან, რამაც შეიძლება გამოიწვიოს პოლიტიკური გართულებები ჩვენი ქვეყნისთვის. იფიქრეთ ამაზე და მომავალში იყავით უფრო ფრთხილი, რასაც გავალებთ დაკავებული თანამდებობა“.**

სტალინს იმედი ჰქონდა, რომ დაძლევდა დასავლეთის ქვეყნების წინააღმდეგობას და განახორციელებდა საბჭოთა გეგმებს თურქეთის მიმართ.

1945 წლის აგვისტოში საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატმა ქვეყნის უმაღლესი ხელმძღვანელობისთვის მოამზადა ანალიტიკური ცნობა „საბჭოთა კავშირ-თურქეთის ურთიერთობის“ შესახებ, რომლის მეორე ნაწილი ასე იყო დასათაურებული: „იმ ტერიტორიის საკითხი, რომელიც თურქეთმა წაართვა ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებს“. დოკუმენტში, გარდა იმისა, რომ საზღვარგარეთელი სომხები გამოთქვამდნენ ისტორიულ სამშობლოში დაბრუნების სურვილს, აღნიშნული იყო, რომ „საბჭოთა სომხეთში არ არის იმის შესაძლებლობა, რომ დაეტიოს ამ რაოდენობის დაბრუნებული სომხები“. გაკეთდა არაორაზროვანი დასკვნა: **„არ არსებობს იმაზე გონივრული დასკვნა, გარდა იმისა, რომ თურქეთმა უნდა დაუბრუნოს მიტაცებული ტერიტორია მათ კანონიერ მფლობელებს — ქართველ და სომეხ ხალხებს“.** საბჭოთა გათვლებით, თურქეთს უნდა დაებრუნებინა 26 ათასი კვადრატული კილომეტრი, რომელთაგან 20,5 ათასი კვ. კილომეტრი გადაეცემოდა სომხეთს, ხოლო 5,5 ათასი კვ. კილომეტრი — საქართველოს. „ამას მოითხოვს, — ნათქვამია დოკუმენტში, — კანონიერი უფლებები ამიერკავკასიის ხალხთა, რომლებსაც საბჭოთა კავშირის სხვა ხალხებთან ერთად შეიტანეს დიდი წვლილი ევროპული ცივილიზაციის გადარჩენის საქმეში ფაშიზმისაგან“.

1946 წლის 22 თებერვალს აშშ სრულუფლებიანმა ელჩმა საბჭოთა კავშირში — **ჯ. კენანმა** თავის ცნობილ „გრძელ დეპეშაში“ მოუწოდა ამერიკის მთავრობას, გაეწია წინააღმდეგობა საბჭოთა კავშირის მზარდი ექსპანსიისთვის და განეხილა იგი, არა, როგორც მოკავშირე, არამედ, როგორც მოწინააღმდეგე, ხოლო ჩერჩილმა ცნობილ ფულტონის სიტყვაში 1946 წლის 5 მარტს პირდაპირ განაცხადა, რომ საბჭოთა რუსეთს „სურს, ბოლომდე გამოიყენოს გამარჯვება და ძალის გამოყენებით გაავრცელოს თავისი თეორიები“.

1946 წლის მარტში აშშ-ის ელჩმა თურქეთში — **ე. ვილსონმა** მოსკოვსა და ანკარას შორის არსებული კრიზისის მიზეზების განმარტებისას აღნიშნა: „საბჭოთა კავშირის მიერ შექმნილ უსაფრთხოების ზონაში ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე თურქეთი ქმნის დიდ სიცარიელეს, რადგან აქვს დამოუკიდებელი პოლიტიკა და დახმარებისა და განმარტებისთვის მიმართავს დასავლეთის სახელმწიფოებს. საბჭოთა კავშირს არ სურს ამაზე თვალის დახუჭვა, ამიტომაც დაისახა მიზანი — დაიშალოს დღევანდელი დამოუკიდებელი თურქული მთავრობა და შეიქმნას ვასალური ან „მეგობრული“ მთავრობა, რითაც დამთავრდება დამოუკიდებელ ქვეყანათა ჯაჭვი სსრკ დასავლეთ და სამხრეთ საზღვრებთან, აგრეთვე, დამთავრდება დასავლეთის გავლენა თურქეთზე“.

1946 წლის ივლისში ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ მოამზადა საიდუმლო მოხსენება: „სსრკ საგარეო და სამხედრო პოლიტიკა“, სადაც გამოტანილია დასკვნა, რომ შუა აღმოსავლეთის რეგიონი საბჭოთა კავშირისთვის უფრო მნიშვნელოვანია საზღვრების გაფართოების თვალსაზრისით, ვიდრე აღმოსავლეთი ევროპა, რადგან აქ არის მისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ბაქოს ნავთობი — საჰაერო თავდასხმის ობიექტი პოტენციურ ომში“.

1946 წლის აგვისტოში აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილე **დ. აჩესონი** თავის ერთ-ერთ დეპეშაში აფრთხილებდა მთავრობას, რომ, **„თუ საბჭოთა კავშირი დაუწესებს კონტროლს თურქეთს, მაშინ ძნელი გახდება საბერძნეთის, მთელი ახლო და შუა აღმოსავლეთის გადარჩენა მისი გავლენისგან.** გამოცდილებით ვიცით, რომ, თუ საბჭოთა კავშირი აიღებს ზედამხედველობას რომელიმე ტერიტორიაზე, იქ მაშინვე გაქრება ამერიკისა და, საერთოდ, დასავლეთის გავლენა. ამერიკისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია, გააუვნებელყოს თურქეთისა და დარდანელის მიმართულებით ყოველგვარი მუქარა და შანტაჟი საბჭოთა კავშირის მხრიდან“.

1946 წლის ოქტომბერში აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ახლო აღმოსავლეთისა და აფრიკის სამმართველოს უფროსი — **ჰენდერსონი** თავის საიდუმლო მემორანდუმში, აგრეთვე, მიუთითებდა, რომ საბჭოთა კავშირი დაამყარებდა პოლიტიკურ კონტროლს თურქეთზე. ამას ექნებოდა ძალიან მძიმე შედეგები ამერიკისთვის ხმელთაშუა ზღვაზე, ახლო და შუა აღმოსავლეთის რეგიონებში, ამიტომაც აუცილებლად მიაჩნდა თურქეთისთვის დახმარების გაწევა დიპლომატიური, მორალური, ეკონომიკური და სამხედრო მიმართულებით. ასე გადაიქცა თურქეთი, შეიძლება სწორედ სტალინისა და მოლოტოვის მცდელობების „დახმარებით“, მნიშვნელოვან ელემენტად, ომში გამარჯვებული საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის მიღწევების შემაფერხებელ რგოლში.

თავის მხრივ, **საბჭოთა კავშირმაც ანკარისთვის მიუღებელი ტერიტორიული პრეტენზიების წაყენებით საპირისპირო შედეგი მიიღო — თურქეთის მთავრობამ უფრო ენერგიულად დაიწყო დახმარების ძებნა დასავლეთში, რამაც განაპირობა კიდეც თურქეთის საგარეო პოლიტიკის ვექტორის ევოლუცია და მნიშვნელოვნად დააჩქარა მისი მოძრაობა ნატოსკენ.** 1951 წლის მაისში აშშ-მა ნატოს სამხრეთ-აღმოსავლეთის ფლანგის გამაგრებისა და ახლო და შუა აღმოსავლეთში საკუთარი პოზიციების გაძლიერების მიზნით, თანხმობა განაცხადა ნატოში თურქეთის მიღებაზე, რაც განხორციელდა კიდეც 1952 წელს.

1945-1946 წლებში სტალინის მიერ ძალის გამოუყენებლობა ზემოაღნიშნული ტერიტორიების დასაბრუნებლად განპირობებული იყო იმით, რომ მსოფლიოსთვის მეორედ აეცილებინა კატასტროფა, რომელიც უფრო დიდ მსხვერპლს მოითხოვდა, ვიდრე მეორე მსოფლიო ომი.

1949 წელს სტალინის დაბადების დღისთვის ატომური ბომბი უკვე შექმნილი იყო და მან იმედის თვალით შეხედა მსოფლიოს პოლიტიკურ რუკას. ძლევამოსილმა წითელმა არმიამ კი აქტიურად დაიწყო შავი ზღვის ნაპირებზე სამხედრო წრთვნები.

აღარავის ახსოვდა ამერიკის პრეზიდენტ **ტრუმენის** მუქარა 1945-1946 წლებში საბჭოეთის 20 დიდი ქალაქის ატომური იარაღით დაბომბვის თაობაზე, პირიქით, ამერიკის შეერთებული შტატების უდიდეს ქალაქებში — ვაშინგტონსა და ნიუ-იორკში პრესტიჟული უბნებიდან მილიონობით დოლარს იხდიდნენ საბჭოთა საელჩოს მიმდებარე ტერიტორიებზე აშენებულ საცხოვრებელ ბინებში, რადგან ფიქრობდნენ, რომ სტალინი საბჭოთა საელჩოს ატომურ ბომბებს არ დაუშენდა.

მოსკოვში სათანადო კონსულტაციებსა და მითითებებს იღებდა ცნობილი თურქი პოეტი და კომუნისტი **ნაზიმ ჰიქმეთი.** მას უნდა ეხელმძღვანელა ქვეყნის იმ ნაწილისთვის, რომელიც თურქეთს მალე ჩამოეჭრებოდა და საქართველოს იურისდიქციაში გადმოვიდოდა.




საქართველოს ისტორიულად კუთვნილი მიწა, რომელიც სამართლიანობის აღდგენის მიზნით მიუერთდებოდა საქართველოს, დაყოფილი იყო ხუთ ადმინისტრაციულ რაიონად. თითოეულ რაიონში დანიშნული იყვნენ რაიკომის პირველი მდივნები, აღმასკომის თავმჯდომარეები, მილიციის უფროსები, პროკურორები და მოსამართლეები.

ნატოში თურქეთის შესვლამ კიდევ უფრო გაამძაფრა და დააჩქარა სტალინში შურისძიების აღსრულება. სასწრაფოდ დაიწყო კონფლიქტისპირა ტერიტორიების განწმენდა არაქართველი მოსახლეობისა და საბჭოთა წყობილებაზე განაწყენებული ადამიანებისგან.

მსოფლიომ იცოდა, რომ, თუ სტალინის ნიჭსა და აზროვნების სისხარტეს ზემძლავრი იარაღის ძალაც დაემატებოდა, სტალინს უკვე ვეღარაფერი შეაჩერებდა. კაპიტალისტური მსოფლიო ერთი კაცის წინააღმდეგ აღდგა, სადაც ჩართული აღმოჩნდა უძლეველი საბჭოეთის ხელისუფლების ზოგიერთი ნაძირალა კომუნისტი, რომელთა ხელის შეწყობითაც კიდევ ერთხელ გაახანგრძლივეს თავიანთი ბინძური საქმიანობა და ხალხის მასების აბუჩად აგდება.

მხოლოდ სტალინის გარდაცვალების შემდეგ დაიწყო საბჭოთა კავშირმა თურქეთის მიმართ გაწონასწორებული პოლიტიკის წარმოება და უარი თქვა ტერიტორიულ პრეტენზიებზე იმ ქვეყნის მიმართ, რომელიც უკვე ნატოს სრულუფლებიანი წევრი იყო. 1953 წლის 30 მაისს საბჭოთა მთავრობამ თავის ნოტაში თურქეთის მთავრობის მიმართ საბოლოოდ განაცხადა უარი თურქეთთან საზღვრების გადახედვაზე. დოკუმენტში ნათქვამი იყო: **„კეთილმეზობლური დამოკიდებულების, მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნების მიზნით საქართველოსა და სომხეთის მთავრობები უარს ამბობენ თურქეთთან სასაზღვრო პრეტენზიებზე.**

რაც შეეხება სრუტეების საკითხს, საბჭოთა მთავრობამ გადახედა პოზიციას ამ საკითხზე და შესაძლებლად მიაჩნდა საზღვრის დაცვა სრუტეების მხრიდან ისეთი პირობებით, რომლებიც თანაბრად მისაღები იქნება, როგორც საბჭოთა კავშირისთვის, ისე თურქეთისთვის. ამგვარად, საბჭოთა მთავრობა აცხადებს, რომ საბჭოთა კავშირს არ აქვს არავითარი ტერიტორიული პრეტენზიები თურქეთის მიმართ“.

გახმაურებული საქმეები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„აფრასიძეების ოჯახს თავს დაესხა 1200 სპეცრაზმელი და 8 ვერტმფრენი, ეს იყო ბარბაროსობა. ცოცხლად დაწვეს ოჯახის ერთი წევრი, დაკავებული კი ადგილზე დახვრიტეს. სპეცოპერაციას, რომელშიც მონაწილეობდნენ ადეიშვილი და მერაბიშვილი, ხელმძღვანელობდა გიორგი ბარამიძე. ეს ყველამ იცის, მაგრამ გამოცხადებული კოაბიტაციის შედეგია, რომ ბარამიძე სასჯელს არ იხდის“.**

# «ნაციონალები ციხეში უნდა იყვნენ გამომწყვდეულნი, მაგრამ უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში სხედან და შეურაცხყოფენ საზოგადოებას»

**2017 წლის 1 დეკემბერს ხორავას ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის საქმის გამოსაძიებლად უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში დროებითი საგამოძიებო კომისია შეიქმნა. იდეა პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძეს ეკუთვნის, მაგრამ კომისიას სათავეში გიგა ბოკერიას გუნდი ჩაუდგა, კომისიის უმრავლესობაც „ევროპული საქართველოს“ წევრებით დაკომპლექტდა. ამან საზოგადოების აღშფოთება გამოიწვია. ხალხი თვლის, რომ გიგა ბოკერიასა და მის გუნდს უფლება არ აქვთ, ვინმეს დანაშაული გამოიძიონ.**
**შევეცადეთ, ჩვენი ქვეყნის უახლესი წარსულისთვის გადაგვეხედა და წინა ხელისუფლების მიერ ჩადენილი დანაშაულებიდან ყველაზე სკანდალური საქმეები გაგვეხსენებინა. მათ შორის ერთ-ერთია „ციხის ბუნტის“ გახმაურებული საქმე.**

## «გიგა ბოკერია, ზურაბ ადეიშვილი და «ნაციონალური მოძრაობის» სხვა მაღალჩინოსნები უშუალოდ მონაწილეობდნენ სულხან მოლაშვილის წამებაში»

2006 წლის 27 მარტს პატიმრების ადვოკატებმა ერთმანეთს დაურეკეს და სასწრაფოდ ორთაჭალის ციხესთან მივიდნენ. ადგილზე ისეთი სურათი დახვდათ, „რაიხსტაგის აღების“ სცენას ადარებდნენ. ციხეს სამმაგი ალყა ჰქონდა შემორტყმული. პირველ წრეზე იყო სასჯელაღსრულების სპეცრაზმი, მეორე წრეზე — პოლიციის სპეცრაზმი და მესამე წრეზე — თავდაცვის სამინისტროს ესკადრონი. სპეცრაზმები ნაკადებად შედიოდნენ ციხეში, საიდანაც ისმოდა ყვირილი, წივილი, ახლა ამბობენ, იქ მაშინ იარაღი არ იყოო... არადა, ბევრმა საკუთარი თვალით ნახა იარაღიც და ბევრი სხვა რამეც.

სასჯელაღსრულების მე-5 დაწესებულებაში, სპეცრაზმთან ერთად, ავტომატით ხელში შევარდნენ ძმები ახალაიები და გიგა ბოკერია. ჩაფხუტიანი ბოკერია პატიმრებს ესროდა. ერთ-ერთმა პატიმარმა ხელჩართულ ბრძოლაში წაჰგლიჯა ეს ჩაფხუტი და ხელში შერჩა ბოკერია. ეს 2013 წელს „საქართველო და მსოფლიოსთან“ ინტერვიუში ადამიანის უფლებათა დამცველმა **ელენე თევდორაძემაც** დაადასტურა.

ოფიციალური მონაცემებით, ბუნტის ჩახშობისას დაიღუპა 7, დაიჭრა ათეულობით ადამიანი.



### „ბოკერიას პრინციპი იყო ძალისმიერი მეთოდების გამოყენება, შიშზე დამყარებული ბატონობა“

**გელა ნიკოლაიშვილი, „ციხის ბუნტის“ საქმის ადვოკატი:**

— „ციხის ბუნტის“ საქმეში გიგა ბოკერიას მონაწილეობაზე, ძირითადად, ელენე თევდორაძე საუბრობდა, ის იყო პირველწყარო. ამბობდა, რომ ბოკერია კარნახობდა **ბაჩო ახალაიასაც** და ვანო მერაბიშვილსაც, როგორ მოქცეოდნენ. ბოკერიას პრინციპი იყო ძალისმიერი მეთოდების გამოყენება, შიშზე დამყარებული ბატონობა. **ბოკერიას სურდა, ძალადობა კანონის ფარგლებში მოექცია.** ეს ყველამ იცოდა, ამიტომ გამორიცხული არ იყო, ციხის ბუნტის დროს ბოკერიას გაეცა სროლის ბრძანებაც და იარაღით ხელში დარეოდა პატიმრებს.

თქვენ გახსოვთ, ალბათ, მისი გამოსვლა 2007 წლის ნოემბრის აქციების დროსაც: **„ღმერთი არ გაგიწყრეთ, თორემ, რაც მოგივათ, ნახავთ“...**

გიგა ბოკერია განსაზღვრავდა სისასტიკეს.

**— აქვს თუ არა ბოკერიას მორალური უფლება, გამოიძიოს მკვლელობის საქმე და ვინმე რამეში დაადანაშაულოს?**

— საზოგადოების ნაწილმა ის პარლამენტარად აქცია. კანონით აქვს უფლება, მაგრამ მორალზე თვითონ იფიქროს. თუ ისევ იმ აზრზეა, რომელზეც ზემოთ ვილაპარაკეთ, მაშინ მას უფლება არ აქვს.

ბოკერიამ დაიწყო ხელისუფლებაში ყოფნისას დაშვებულ შეცდომებზე საუბარი. სააკაშვილისგან განსხვავებით, ის თავზე ნაცარს არ იყრის და ხშირად ამბობს, რომ შეცდომებს უშვებდნენ. ის აღიარებს, რომ მასაც მიუძღვის წვლილი გადაცდომებში, რომლებიც „ნაციონალურ მოძრაობას“ ჰქონდა...

**— ამით უფრო საშიში არ ხდება ბოკერია?**

— რა თქმა უნდა, ბოკერია საშიში ხდება, მაგრამ მისი პოლიტიკაში ყოფნა მაინც ხალხის გადასაწყვეტია.

**— „ციხის ბუნტის“ საქმეზე ბოკერიას პასუხისმგებლობის საკითხი არ დამდგარა?**

— არა, რადგან მის მონაწილეობაზე მხოლოდ ელენე თევდორაძე საუბრობდა, პატიმრებსა და მათ ახლობლებს ფაქტები არ ჰქონდათ, თუმცა ელენე თევდორაძე ტყუილს არ იტყოდა, რადგან ამის მოტივაცია არ ჰქონია.

### „აფრასიძეების ოჯახს თავს დაესხა 1200 სპეცრაზმელი და 8 ვერტმფრენი. ეს იყო ბარბაროსობა“

2004 წლის 24 მარტს მესტიის რაიონის სოფელ ეცერში ჩატარებულ სპეცოპერაციას აფრასიძეების ოჯახის ორი წევრის სიცოცხლე შეეწირა. ბევრი ფიქრობს, რომ სპეცოპერაცია განსაკუთრებული სისასტიკითა და უსამართლობით გამოირჩეოდა.

„აფრასიძეებს მსხვერპლად ნათლავს ის, ვისაც ამ ქვეყანაში სიმშვიდე, სიწყნარე და კრიმინალის დამარცხება არ სურს...“ — განმარტავდა იმხანად ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი **გიორგი ბარამიძე**, მინისტრი, რომელიც „აფრასიძეების საქმის“ შემოქმედია, ამჟამად ის საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს წევრია.

თუკი რაიმე შეიძლება დაეშავებინა სახელმწიფოს ერთი ოჯახისთვის, ყველაფერი დაუშავა. **2004 წლის 24 მარტის სპეცოპერაციისას გოჩა და შმაგი აფრასიძეების ძმასთან, ვამეხ აფრასიძესთან, ერთად, სამართალდამცველებმა მოკლეს ოჯახის მამა — ევგენი აფრასიძე, რომლის გვამიც დაბომბილ სახლთან ერთად დაიწვა. ფსიქიკურად დაავადდა ოჯახის რძალი, რომელსაც მუდმივი მკურნალობა ესაჭიროება. გოჩა და შმაგი აფრასიძეებს 2012 წლის 28 დეკემბრით დათარიღებულმა ამნისტიამ სასჯელი გაუნახევრა, ხოლო შემდეგ — ვადაზე ადრე გათავისუფლების კომისიის გადაწყვეტილებით, მათ რამდენიმე თვით ადრე დატოვეს საპატიმრო.**

გიორგი ბარამიძე ამბობს, რომ არ ყოფილა ძალის გადამეტება პოლიციის მხრიდან და სპეცოპერაციის მასშტაბი ექვმიტანილებისგან მოსალოდნელი საფრთხის შესაბამისი იყო.

ბარამიძე დღეს იმ გუნდის წევრია, რომელმაც ხორავას ქუჩაზე მომხდარი გახმაურებული მკვლელობის საქმის დეტალებზე უნდა იმუშავოს და „ქართული ოცნების“ ძალოვანი სტრუქტურის დამნაშავე წევრები დაჰკითხოს.

### „სამწუხაროა, რომ აფრასიძეების საქმეს ხანდაზმულობის 15-წლიანი ვადა ეწურება და მთავარი პროკურატურა არაფერს აკეთებს — ბარამიძეს ბრალი არ წაუყენა“

**ირმა ჭკადუა, „აფრასიძეების საქმის“ ადვოკატი:**

— სამწუხაროა, რომ ამ ხელისუფლებამ გიორგი ბარამიძეს ჩადენილი დანაშაულისთვის პასუხი არ მოსთხოვა და არა მხოლოდ მას. აფრასიძეების წინაშე სახელმწიფომ ჩაიდინა დანაშაული, რომელიც განსაკუთრებული შემთხვევა იყო. **აფრასიძეების ოჯახს თავს დაესხა 1200 სპეცრაზმელი და 8 ვერტმფრენი. ეს იყო ბარბაროსობა. ცოცხლად დაწვეს ოჯახის ერთი წევრი, დაკავებული კი ადგილზე დახვრიტეს.** სპეცოპერაციას, რომელშიც მონაწილეობდნენ **ადეიშვილი** და **მერაბიშვილი,** ხელმძღვანელობდა გიორგი ბარამიძე. ეს ყველამ იცის, მაგრამ გამოცხადებული კოაბიტაციის შედეგია, რომ ბარამიძე სასჯელს არ იხდის.



სამწუხაროა, რომ აფრასიძეების საქმეს ხანდაზმულობის 15-წლიანი ვადა ეწურება და მთავარი პროკურატურა არაფერს აკეთებს — ბარამიძეს ბრალი არ წაუყენეს. აფრასიძეების ოჯახი ცნობილია დაზარალებულად და, როდესაც არსებობს დაზარალებული, უნდა არსებობდეს ბრალდებულიც, მაგრამ ვფიქრობ, **მიზანმიმართულად ხდება ვადის გასვლამდე საქმის გაჭიანურება, რათა ბარამიძემ პასუხი არ აგოს და არ დაისაჯოს უსასტიკესი დანაშაულისთვის.**

### „დღეს ხალხი ქუჩაში უნდა იდგეს და „ქართულ ოცნებას“ პასუხს უნდა სთხოვდეს იმისთვის, რომ დამნაშავეები არ დასაჯა“

აი რას ამბობდა ციხიდან გამოსული და სტრასბურგის სასამართლოს მიერ გამართლებული კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარე, აწ გარდაცვლილი **სულხან მოლაშვილი:**

„ბოკერიამ, ჩემ დაჭერამდე, ერთ-ერთ ჩემს თანამშრომელს აჩვენა სია, რომელშიც ჩემი გვარიც იყო. მოგეხსენებათ, რევოლუციის მეორე დღესვე გადავდექი... ჩემი ეს თანამშრომელიც ბოკერია იყო, გიგას შორეული ნათესავი. ის ჩემგან დამოუკიდებლად მისულა და უთქვამს: არ არის სულხანი იმის გამკეთებელი კაცი, რასაც თქვენ აბრალებთო. მე არ ვიცი, ვინ არის, მაგრამ ამ სიაში არის და არ მაინტერესებსო, უთქვამს ბოკერიას. ამით დასტურდება, რომ გიგა ბოკერიას მართლაც ჰქონდა დასაჭერი ადამიანების სია. იგი **ლევან რამიშვილსა** და ზურაბ ადეიშვილთან ერთად იყო პირველი იდეოლოგი ხალხის დაშინების, დაჭერის. **ის იყო სისხლიანი სამართლებრივი პოლიტიკის წარმმართველი. ის განსაზღვრავდა ამ დანაშაულებრივი პარტიის საქმიანობის ძირითად პრინციპებს, ამიტომ მათი სამართლებრივი გაუვნებელყოფა ამ სახელმწიფოს ერთ-ერთი გადაუდებელი ამოცანაა.** ვინც უნდა გთხოვდეს, გეაჯებოდეს, გაიძულებდეს მათ გათავისუფლებას, კეთილი უნდა ინებონ და ქართველი ხალხის აზრი გაითვალისწინონ“.



**ნანა კაკაბაძე, სულხან მოლაშვილის ადვოკატი:**

— საზოგადოებამ კარგად იცის, ვინ არის გიგა ბოკერია. მთავარია, ხელისუფლებამ გაიხსენოს. მათ არ ჰქონდათ უფლება, ეს დაევიწყებინათ. „ქართული ოცნების“ კოაბიტაციამ მიგვიყვანა იქამდე, რომ კინაღამ გადატრიალების მომსწრენი გავხდით.

იმის შეხსენება, ვინ არის ბოკერია, მთავრობას, ხელისუფლებას სჭირდება, თორემ ხალხს იმაზე მეტი რა უნდა ექნა, რაც 2012 წელს გააკეთა?! 2012 წელს ქართველი ხალხი აჯანყდა და გააგდო წინა ხელისუფლება. ხალხის მოყვანილმა მთავრობამ კი კოაბიტაცია გამოაცხადა და, ციხეში რომ უნდა ისხდნენ, იმ ადამიანებთან ერთად მშვენივრად გრძნობს თავს.

თქვენ ახლა ჩემთვის ძალიან მძიმე საქმე გამახსენეთ — სულხან მოლაშვილის საქმე. გიგა ბოკერია, ზურაბ ადეიშვილი და „ნაციონალური მოძრაობის“ სხვა მაღალჩინოსნები უშუალოდ მონაწილეობდნენ სულხანის წამებაში. სიმართლე გითხრათ, მაშინ გამიჭირდა დაჯერება და ვფიქრობდი, მოლაშვილს მოეჩვენა-მეთქი. მერე ყველაფერს ფარდა აეხადა, როდესაც ამაზე საუბარი ელენე თევდორაძემ დაიწყო.

საზოგადოებამ ყველაფერი გააკეთა „ნაცების“ წინააღმდეგ, მაგრამ ახალმა ხელისუფლებამ არაფერი გაითვალისწინა. **დღეს ხალხი ქუჩაში უნდა იდგეს და „ქართულ ოცნებას“ პასუხს უნდა სთხოვდეს იმისთვის, რომ დამნაშავეები არ დასაჯა და მათთან ურთიერთობა ააწყო.** თუ ასე მოხდებოდა, წინასაარჩევნოდ რატომ იძახდნენ, რომ სისხლიანი რეჟიმი იყო?

ნაციონალები, იმის მაგივრად, რომ იმალებოდნენ, ღიად უპირისპირდებიან იმ ადამიანებს, რომლებსაც მათთვის დღემდე ვერ მიუტევებიათ სისხლიანი 9 წელიწადი. მაგალითად, ებრძვიან **თეა წულუკიანს**, ის ერთადერთია, ვინც წარსული ვერ დაივიწყა.

ნაციონალები ციხეში უნდა იყვნენ გამომწყვდეულნი, მაგრამ უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში სხედან და ტალახს ესვრიან მთავრობას, შეურაცხყოფენ საზოგადოებას.

გერმანელები ამდენი წლის შემდეგაც ვერ ივიწყებენ ფაშიზმს, ასე უნდა იყოს აქაც, არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ ის 9 წელიწადი, რომელიც გამოვიარეთ.

თავაშვებული კრიმინალები ქვეყანას არ უნდა მართავდნენ, მათ არ აქვთ უფლება, სამართლიანობის აღდგენაზე ილაპარაკონ. არ შეიძლება დავივიწყოთ, როგორ კლავდნენ ხალხს ნაციონალები, როგორ აწამებდნენ, აპატიმრებდნენ, აკულაკებდნენ...

მოამზადა
**ეკა ნასყიდაშვილმა**

„ზოგიერთი არაბული ქვეყანა და რელიგიური ფონდი დაინტერესებული იყო რელიგიური გავლენების გაძლიერებით სამხრეთ კავკასიაში და იპოვეს ის სივრცე, რომლიდანაც შეიძლებოდა გაძლიერების პროცესის დაწყება — პანკისის ხეობა. იმხანად, როდესაც ეს პროცესი დაიწყო საქართველოში, სალაფიზმი ჩრდილოეთ კავკასიაში არ იდევნებოდა. ვაჰაბიზმს რუსეთის ფედერალური ხელისუფლება აქტიურად დევნის, მაგრამ ეროვნულ რესპუბლიკებში სხვადასხვანაირი მდგომარეობაა. ვაჰაბიზმი უმკაცრესად ისჯება ჩეჩნეთის რესპუბლიკაში, მაგრამ თითებს შორის უყურებენ ამ პროცესს დაღესტანში, ინგუშეთში“.

საფრთხე

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სახელმწიფო პოლიტიკის ჩამოყალიბებაში საქართველომ უნდა გაითვალისწინოს პანკისის ხეობის სპეციფიკა

**„მე და რამდენიმე ადამიანს ფიცი გვქონდა დადებული, მივსულიყავით სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში და აგვეფეთქებინა თავი“, — განაცხადა 31 მაისს პარლამენტის შენობის წინ აქციაზე მალხაზ მაჩალიკაშვილმა, რომლის შვილი, თემირლან მაჩალიკაშვილი, 2017 წლის 26 დეკემბერს პანკისში ჩატარებული ანტიტერორისტული სპეცოპერაციისას დაიღუპა. მალხაზ მაჩალიკაშვილმა მოგვიანებით ტელეკომპანია „იბერიის“ ეთერში განმარტა: „საუბარი თვითგანადგურებაზე იყო და არა ტერორისტულ აქტზე, მაგრამ ეს გადავიფიქრე ჩემი საყვარელი ქართველი ადამიანების გამო, რომ რომელიმე არ დაშავებულიყო“. საქართველოს უსაფრთხოების სამსახურმა (სუსი) აღნიშნულ განცხადებაზე გამოძიება დაიწყო. მანამდე მალხაზ მაჩალიკაშვილმა ტელეკომპანია „იბერიის“ ეთერში კიდევ ერთი განცხადება გააკეთა, რომ, მისი შვილის მკვლელების დაუსჯელობის შემთხვევაში, საქართველო პანკისის ხეობას დაკარგავდა. მიმდინარე წლის 15 ივნისს მუსლიმებისთვის წმინდა რამადანი დასრულდა. მალხაზ მაჩალიკაშილმა პანკისის ხეობაში მასშტაბური საპროტესტო აქციები სწორედ რელიგიური დღესასწაულის დასრულების შემდეგ დააანონსა. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ხეობას აქამდე მოსახლეობის მსგავსი მასობრივი მხარდაჭერა არ ახსოვს. მაჩალიკაშვილების ოჯახის ტრაგედიამ ხეობაში არსებული ყველა ისლამისტური მიმდინარეობის წარმომადგენელი გააერთიანა. პანკისის ხეობაში მიმდინარე პროცესები ექსპერტმა კავკასიის საკითხებში — მამუკა არეშიძემ შეაფასა.**





**«ჩვენი ტოლერანტობა გადავიდა ფსევდოტოლერანტობაში და გვაქვს «ღია კარის დღე». რელიგიური მიმდინარეობის წარმომადგენლებს რელიგია კი არ ანაღვლებთ, არამედ პოლიტიკური სივრცეების გაფართოება სურთ, პოლიტიკის შესანიღბავად რელიგიას იყენებენ. სწორედ ამიტომ არის შემოღებული ტერმინი «პოლიტიკური ისლამი»**

— **ბატონო მამუკა, მალხაზ მაჩალიკაშვილის განცხადებები პანკისის დაკარგვისა და სუს-ის შენობაში თავის აფეთქების შესახებ მუქარა იყო თუ ემოციურ ფონზე ნათქვამი? ფაქტია, სუს-მა გამოძიება დაიწყო...**

— მისი, როგორც მამის, მესმის. განიცადა უზარმაზარი ტრაგედია. სხვა ადამიანებიც მინახავს ანალოგიური ტრაგედიით, მაგრამ ასეთი მძიმე განცხადებები არ გაუკეთებიათ. **მალხაზ მაჩალიკაშვილის** მიმართ კეთილგანწყობილი ადამიანი იტყვის, ემოციური განცხადებებია და ამის უკან მუქარა არ არისო, მაგრამ საზოგადოებას ესმის, რომ ეს ძალიან მძიმე განცხადებებია. **განცხადება, რომელშიც მაჩალიკაშვილი ამბობს, რომ გეგმავდნენ აფეთქებას სუს-ის შენობაში, სხვა ქვეყანაში აღიქმებოდა, როგორც ტერორისტული აქტის მოწოდება. ტერორისტული აქტი კი სისხლის სამართლის დანაშაულია, როგორც ჩვენთან, ისე სხვაგანაც. მეორე განცხადება პანკისის ხეობის დაკარგვაზე ტერიტორიული მთლიანობის რღვევის მუქარაა, რაც, ცხადია, ისჯება.**

— **თუ დანაშაულზე ვსაუბრობთ, რატომ არის ხელისუფლება დამკვირებლის როლში?**

— მიკვირს, რატომ არ რეაგირებს სახელწიფო. როდესაც სპეცოპერაციისას დაიღუპა **თემირლან მაჩალიკაშვილი**, სახელმწიფოს მალევე უნდა დაეწყო რეაგირების შესაბამისი პროცესი, მაგრამ ფაქტია, რომ სახელმწიფოს ამ ხეობის მიმართ არანაირი პოლიტიკა არ აქვს. არ ვამბობ, რომ არაფერი არ კეთდება, მაგრამ ამას არ აქვს პროგრამული ფორმა.

— **რაში ცდება ხელისუფლება?**

— პანკისის ხეობა ხელისუფლებას მიტოვებული აქვს სპეცსამსახურების იმედზე. სპეცსამსახურებს რა შეუძლიათ? — შეუძლიათ შეაჩერონ გარკვეული პროცესები, მაგრამ საკითხის საბოლოოდ მოგვარება არ შეუძლიათ. ამისათვის საჭიროა სახელმწიფო პოლიტიკა. ცოტა ხნის წინათ შევხვდი აზერებაიჯანის ოფიციალურ დელეგაციას, ეს შეხვედრა დაიწყო რამადანის მილოცვით, იმიტომ, რომ დელეგაცია რელიგიური ადამიანებით იყო წარმოდგენილი. დელეგაციის წევრებმა გვითხრეს: **რა ხდება თქვენთან, არ დარჩენილა ისლამისტური რელიგიური მიმდინარეობა, რომელიც საქართველოში არ არის წარმოდგენილი — რა ამბავია ამდენი მიმდინარეობა პატარა საქართველოში?** როგორც ჩანს, ჩვენი ტოლერანტობა გადავიდა ფსევდოტოლერანტობაში და გვაქვს **„ღია კარის დღე“**. ვისაც უნდა **საქართველოში** შემოსვლა, ნებას ვაძლევთ და ვაძლევთ თავისი რელიგიური მომხრეების შეგროვებისა და გამდიდრების საშუალებას. საქმე ის არის, რომ ამ რელიგიური მიმდინარეობის წარმომადგენლებს რელიგია კი არ ანაღვლებთ, არამედ პოლიტიკური სივრცეების გაფართოება სურთ, პოლიტიკის შესანიღბავად რელიგიას იყენებენ. სწორედ ამიტომ არის შემოღებული ტერმინი „პოლიტიკური ისლამი“. შესაბამისად, რელიგური სავაჭრო ცენტრის გახსნა არაფრით არ შეიძლება. არადა, სწორედ ეს ვითარება გვაქვს ახლა პანკისში.

— **შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ მალხაზ მაჩალიკაშვილი კონკრეტული პირების გავლენას განიცდის, როდესაც მსგავს განცხადებებს აკეთებს? მას მხარს უჭერს ხეობაში არსებული ისლამის ყველა მიმდინარეობის წარმომადგენელი...**

— **მაჩალიკაშვილის** ოჯახის მიმართ ხეობის მოსახლეობის დიდი ნაწილის მასობრივი გულიანი მხარდაჭერისა არ მჯერა. იცით რატომ? **პანკისში 2012 წელს 7 ასეთი დაღუპული ჰყავდათ და იმჟამინდელმა ხელისუფლებამ ეს ადამიანები გამოიყენა, მაშინ არავითარი საპროტესტო აქციები არ ყოფილა. ზოგიერთი ადამიანი, რომლებიც მალხაზ მაჩალიკაშვილს უჭერენ მხარს, ცდილობს, პოლიტიკური ქულები დააგროვოს.** თბილისში **ზაზა სარალიძე** და **მალხაზ მაჩალიკაშვილი** „ნაციონალ-ურმა მოძრაობამ“ სათავისოდ გამოიყენა. ეს ფაქტია. ასე ხდება პანკისშიც, მათ შორის, ვაჰაბიტების მხრიდან.

— **გამორიცხავთ, რომ მალხაზ მაჩალიკაშვილის უკან სწორედ ვაჰაბიტების დგანან?**

— **მალხაზ მაჩალიკაშვილს** ხან **ვაჰაბიტები** იყენებენ, ხან **ნაციონალები,** შესაძლოა — სხვა ქვეყნის სპეცსამსახურებიც.

— **რამ გამოიწვია ხეობაში რელიგიური მიმდინარეობების გავლენის გაფართოება?**

— ეს პროცესი 1995 წელს დაიწყო, ზოგიერთი არაბული ქვეყანა და რელიგიური ფონდი დაინტერესებული იყო რელიგიური გავლენების გაძლიერებით **სამხრეთ კავკასიაში** და იპოვეს ის სივრცე, რომლიდანაც შეიძლებოდა გაძლიერების პროცესის დაწყება — **პანკისის ხეობა.** იმხანად, როდესაც ეს პროცესი დაიწყო საქართველოში, **სალაფიზმი** ჩრდილოეთ კავკასიაში არ იდევნებოდა. **ვაჰაბიზმს** რუსეთის ფედერალური ხელისუფლება აქტიურად დევნის, მაგრამ ეროვნულ რესპუბლიკებში სხვადასხვანაირი მდგომარეობაა. **ვაჰაბიზმი** უმკაცრესად ისჯება **ჩეჩნეთის რესპუბლიკაში**, მაგრამ თითებს შორის უყურებენ ამ პროცესს **დაღესტანში, ინგუშეთში.** ამ პროცესებში გადამწყვეტი ფაქტორია დიდძალი ფული. **ვაჰაბიტები** იხდიან ფულს. შესაბამისად, საქართველოში სახელმწიფოს სჭირდება ჩამოყალიბებული პოლიტიკა, რომელიც მოერგება პანკისის ხეობის სპეციფიკას.

— **მაჩალიკაშვილის ოჯახის მოთხოვნები უცვლელია და გაგრძელდება მანამ, სანამ არ დაკმაყოფილდება. რა იქნება ხელისუფლების სამომავლო ნაბიჯები, ქვეყანას ახალი პრემიერმინისტრი ჰყავს...**

— ოჯახის მოთხოვნა — დაისაჯოს სპეცრაზმელი, ძალიან რთული საკითხია. სპეცრაზმელი შეიძლება დაისაჯოს იმ შემთხვევაში, თუ არ შეასრულა შესაბამისი ინსტრუქცია, ის, რაც დავალებაში იყო გაწერილი. სპეცოპერაციისას ათასი უბედურება ხდება, სპეცოპერაციის დამგეგმავების შესაძლო დანაშაულსა და დასჯაზე საუბარი შესაძლებელია, მაგრამ ამას, სამწუხაროდ, არც ერთი სახელმწიფო არ აკეთებს, ძალიან ცივილიზებული და დემოკრატიული სახელმწიფოებიც კი, როგორიცაა **ამერიკის შეერთებული შტატები.** რა გეგმები აქვს ხელისუფლებას, არ ვიცი, მაგრამ სწორედ ხელისუფლების სწორ მოქმედებასა და გააზრებულ ნაბიჯებზეა დამოკიდებული, როგორი დამაზიანებელი იქნება ეს აქციები.

ესაუბრა
**ნანა კაკანაძე**

**ცნობისთვის:**

**პანკისის ხეობა თბილისიდან 150 კილომეტრითაა დაშორებული, ხეობაში 5 700 ქისტი ცხოვრობს. ქისტები ერთ-ერთი კარგად ინტეგრირებული ეროვნული უმცირესობაა საქართველოში, რომლებმაც, მშობლიურ ჩეჩნურ ენასთან ერთად, კარგად იციან სახელმწიფო ენა — ქართული. ჩეჩნეთის მეორე ომის დროს (1998 წ.) ხეობამ დროებით 12 ათასამდე ჩეჩენი ლტოლვილი მიიღო. 1990-ანი წლების ბოლოს საქართველოს იმჟამინდელი ხელისუფლება რეგიონს ვერ აკონტროლებდა და ხეობამ კრიმინალითა და ადამიანთა გატაცებით სახელი გაითქვა. სწორედ მაშინ იქცა პანკისი „საშიში ზონის“ ეპიცენტრად და, უკვე წლებია, ეს იარლიყი ვერ მოიშორა. 2003 წლიდან ხელისუფლების შეცვლასთან ერთად, ვითარება თითქოს დამშვიდდა, ხეობაც განვითარდა, განხორციელდა ინფრასტრუქტურული პროექტები, გაიხსნა პოლიციის განყოფილება, აშენდა იუსტიციის სახლი, ასევე სასპორტო ცენტრები. სირიის კონფლიქტის დაწყებამ და „ისლამური სახელმწიფოს“ აღორძინებამ ბოლო წლებში მიღწეული სტაბილურობა შეარყია და პანკისი კვლავ ახალ საფრთხედ იქცა. ბოლო მონაცემებით, სირიაში პანკისიდან „ისლამური სახელმწიფოს“ რიგებში მებრძოლი 25 პანკისელი ახალგაზრდა დაიღუპა, ყველა სალაფიტი იყო. 2012 წლიდან ხელისუფლებამ გაამკაცრა კანონი და სირიაში წამსვლელთათვის საზღვრები ჩაკეტა. 2015 წლის ბოლოს „ისლამური სახელმწიფოსთვის“ მებრძოლების გადაბირების ბრალდებით ადგილობრივი სალაფიტური მეჩეთის ყოფილი იმამი აიუფ ბორჩაშვილი დააკავეს. 2016 წლის მარტში მას 14 წლით აღუკვეთეს თავისუფლება. ხეობის უხუცესები ამბობენ, რომ ვაჰაბიზმი თანდათან ავიწროებს ტრადიცულ ისლამს. მათი თქმით, ახალგაზრდობის უდიდესი ნაწილი სალაფიტები არიან. დუისის ცენტრში სალაფიტური ახალი მეჩეთი დგას. სწორედ სალაფიზმის მომძლავრებასა და ტერორისტულ ორგანიზაციებთან შესაძლო თანამშრომლობას უკავშირდებოდა 2017 წლის 26 დეკემბერს პანკისის ხეობაში ჩატარებული ანტიტერორისტული სპეცოპერაცია, რომლის დროსაც სასიკვდილოდ დაჭრეს 19 წლის თემირლან მაჩალიკაშვილი. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური თემირლან მაჩალიკაშვილსა და კიდევ რამდენიმე პირს საერთაშორისო ტერორისტად აღიარებული ახმედ ჩატაევისა და მისი ჯგუფის დახმარებაში ადანაშაულებდა, თუმცა მისთვის ბრალი არ წაუყენებიათ. დანარჩენი 5 პირი დაპატიმრებულია. მათ საქმეებს სასამართლო დახურულ სხდომებზე განიხილავს. აღნიშნულ სპეცოპერაციას ხეობის მოსახლეობის საპროტესტო გამოსვლები მოჰყვა. მაჩალიკაშვილების ოჯახი თემირლანის უდანაშაულოდ ცნობას, მკვლელების დასჯასა და დაზარალებულის სტატუსის მინიჭებას მოითხოვს.**

დედაქალაქი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ერთ მაგალითს დაგისახელებთ ყოფილი ხელისუფლების „ეროვნული მოღვაწეობიდან“. თბილისში, როგორც „საბჭოთა წარსულის“ გადმონაშთი, აჭარელ ტრამვაის ლიანდაგი და ტრამვაის ვაგონებთან ერთად ჯართად გაყიდეს. ეს ხდება მაშინ, როცა მსოფლიოში ტრამვაი ყველაზე დემოკრატიულ ტრანსპორტად არის აღიარებული. ჩვენი ხინკალივითაა — მეფესაც და გლეხსაც ერთნაირად მოსწონს. როდის-როდის მოინდომეს აღდგენა და მოიწვიეს უცხოელი სპეციალისტები, რომლებმაც ტრამვაის ხაზი დააპროექტეს სოლოლაკში, ლადო ასათიანის ქუჩაზე (ყოფილი ენგელსის ქუჩა), რომელიც ისე ვიწროა, რომ, ერთი მანქანა თუ გაჩერდა, მეორე გვერდს ვერ აუვლის“.**

## გიგა ბათიაშვილი:

# ქალამნების დროში რომ არ ჩავრჩეთ

„საქართველო და მსოფლიოს“ რედაქციის სტუმარია გამოჩენილი ქართველი არქიტექტორი და საზოგადო მოღვაწე გიგა ბათიაშვილი.

**— ბოლოს და ბოლოს, გამოცხვა, ბატონო გიგა, „ობლის კვერი“ სახელად დედაქალაქის გენერალური გეგმა?**

— ობლის კვერს ნამდვილად ჰგავს. ვერ გეტყვით, გამოცხვა თუ არა, რადგან ყველა ვადა ამოიწურა, მაგრამ დღემდე არ გამოქვეყნებულა. მოვისმინე მხოლოდ ანგარიში, რომელიც ტელევიზიით გადაიცა. როგორც მივხვდი, გარკვეული კორექტივები შეიტანეს დეკემბერში წარდგენილ პროექტში, მაგრამ ჩემთვის ეს არ არის მთავარი, რადგან არასაკმარისია.

**— რას გულისხმობთ?**

— შევეცდები, დაწვრილებით ავუხსნა „საქართველო და მსოფლიოს“ მკითხველებს. ჩვენ ვცხოვრობთ იმ ტერიტორიაზე, რომელიც ღმერთმა მოგვცა და უნდა ვიზრუნოთ, რომ, რაც შეიძლება კარგად გამოვიყენოთ განგების საჩუქარი.

დღეს საქართველო არის დემოკრატიული, სუვერენული, საბაზრო ეკონომიკის პრინციპების მიმდევარი სახელმწიფო. ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური და სოციალური განვითარება უნდა მოხდეს სრულიად სხვა საფუძველზე, ვიდრე აქამდე ხდებოდა, როცა თბილისი, როგორც ყოფილი იმპერიის შემადგენლობაში მყოფი რესპუბლიკის დედაქალაქი, იმპერიული ინტერესებით იმართებოდა.

დღეს „ჩვენი თავი ჩვენვე გვეყუდვნის“ (ფორმალურად მაინც) და ეს უნდა გამოვიყენოთ ხვალინდელი დღის პერსპექტივის განსაზღვრით.

განვიხილოთ ორი ასპექტი.

პირველი: **რას წარმოადგენს დღევანდელი თბილისი და რა ამოცანები დგას მის წინაშე.**

თბილისი შედგება სამი არატოლფასი ნაწილისგან. არატოლფასი ყველა თვალსაზრისით — მოცულობითაც („ზომა-წონით“) და მნიშვნელობითაც.

პირველი ნაწილია — ტფილისს რომ ეძახდნენ და თბილისი რომ ჰქვია — საუკუნეების განმავლობაში შემონახული ტრადიციების პროდუქტი, რომელიც, ძირითადად, დასრულებულია XX საუკუნის პირველ ნახევარში. აქ განაშენიანება შედგება, როგორც ტაძრებისგან, ქარვასლებისგან, ისე ფორტიფიკაციული ნაგებობებისგან, ხოლო საცხოვრებელი სახლები XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისშია აშენებული, მათთან ერთად საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა-ნაგებობები. ქალაქის ეს ნაწილი სრულად წარმოგვიდგება თავისი ღირსებით, იერსახით, ისტორიული ღირსშესანიშნაობებითა და დედაქალაქთან თავისი შესატყვისობით, მაგრამ დღეს სერიოზულად ხელშესავლებია — ისტორიული ღირებულებები უკეთ არის საპატრონო, სოციალურად ბოლომდე არ არის გამართული და ვარგისი თანამედროვე ცხოვრებისთვის. ამასთანავე, ჩარევა დიდი სიფრთხილითაა საჭირო, რათა არ დაიკარგოს მისი მთავარი ღირსება, ანუ არ მოკვდეს ის გენი, რომელზეც განვითარდა ერი.

**— არქიტექტურას გულისხმობთ?**

— მათ შორის არქიტექტურასაც, რომელიც სარკეა ერის.

ეს — ერთი ნაწილი, რომელიც ტერიტორიულად მცირეა.

მეორე ნაწილი არის „ნა-ძალა-დევები“, არა მხოლოდ ისტორიული „ნაძალადევი“ (Нахаловка).

ეს არის საურმე ქალაქი.

**— საურმე?**

— დიახ, საურმე ქალაქია მთელი თავისი გზების ქსელით, განაშენიანებით და ა.შ.

„ნაძალადევები“, ძირითადად, განფენილია ჩრდილო-აღმოსავლეთ ფერდზე, მტკვრის კალაპოტის მარცხენა ნაპირზე და არაფრით არ ეწერება დედაქალაქის, არა თუ სახვალიო, გუშინდელ ცხოვრებაში.

გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან 70-იან წლებამდე საბჭოთა ქალაქები იგეგმებოდა, როგორც დასახლებული პუნქტები, რომლებშიც მხოლოდ საზოგადოებრივი და სპეციალური დანიშნულების ტრანსპორტი მოძრაობდა და იმოძრავებდა. გამონაკლისი გასაქირავებელი მანქანების მცირე რაოდენობაზე კეთდებოდა. ქალაქგეგმარებითი მთელი დოკუმენტაცია — ნორმატივები, წესები არ ითვალისწინებდა მსუბუქი საავტომობილო ტრანსპორტის, საერთოდ, ამ ფენომენის, რაოდენობის ფეთქებად გაზრდას ჩვენს ქვეყანაში. ევროპაში კი იმ დროს ამ მიმართულებით უკვე არსებობდა პრობლემები. იმდროინდელ მსოფლიოში უდიდესმა არქიტექტორმა, არქიტექტურის მოცარტმა **ნიეზ ვანდეროიმ** 1962 წელს გვითხრა: ყველაფერი გადადეთ და საავტომობილო პრობლემას მიაქციეთ ყურადღებაო. ამაზე ჩვენ, ახალგაზრდა არქიტექტორებს, გაგვეღიმა — მანქანები არ არის და რომელ პრობლემებზეა ლაპარაკი?!

ფაქტია, რომ „საურმე ქალაქი“, რომელსაც განვიხილავთ, ვერ აკმაყოფილებს დღევანდელ მოთხოვნებს.

**თბილისის მესამე ნაწილია ე.წ. საძილე რაიონები — კეთილი ზრახვებით ნაკარნახევი და გაშენებული საცხოვრებელი 5-9-სართულიანი (შემდეგ 16-იანებიც გაჩნდა) სახლები, რომლებსაც აქვთ ერთადერთი ფუნქცია — საძილე რაიონებია, იმ მინიმალური მომსახურებით, რომელიც ამ ტიპის დასახლებას სჭირდება — არის საბავშვო ბაღები, არის სკოლა, არის პურის მაღაზია და მილიციის განყოფილება ან პუნქტი.**

იმ დროს ქალაქში არსებული ფართობის ხელის ხლება არ შეიძლებოდა. გამონაკლისი მხოლოდ ბარაკების მიმართ იყო დაშვებული. კეთილშობილი საქმე იყო — ბარაკებსა და სარდაფებში მცხოვრები მოსახლეობის ნორმალური საცხოვრისით დაკმაყოფილება. ამას სახელმწიფო აკეთებდა. ხელისუფლება დაინტერესებული იყო, რაც შეიძლება მეტი და რაც შეიძლება სწრაფად აშენებულიყო საცხოვრებელი სახლები, ამიტომ ყველა რესურსი აქეთ იყო მიმართული. ნებისმიერ გამონაკლისზე მოსკოვის, საკავშირო



**«სრულიად მიუღებელია, როცა საქართველოში მოიწვევ ისეთ სპეციალისტებს, რომლებსაც წარმოდგენაც არ აქვთ ჩვენს ისტორიაზე, კულტურაზე, ტრადიციებზე, თუნდაც ქართულ არქიტექტურაზე და უკვეთავ ქალაქის ინფრასტრუქტურისთვის მნიშვნელოვან ობიექტებს»**

ნებართვა იყო აუცილებელი.

ასეთ ვითარებაში გამოსავალი ქალაქის შემოგარენში სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისთვის გამოუსადეგარი მიწების ათვისება იყო. და ქალაქიც ამ მიმართულებით გაფართოვდა. თბილისს სატელიტად გაუჩნდა უზარმაზარი საძილე რაიონები, რომლებიც, როგორც წესი, საქალაქო ცხოვრებით არ ცხოვრობს.

უკვე ნახსენებ „საურმე ქალაქთან“ ერთად ამ საძილე რაიონების მოსახლეობას თბილისში გადასაადგილებლად ქანქარისებრი მოძრაობა უწევს — ორჯერ მეტი მანძილის გავლა და ორჯერ მეტი დროის დაკარგვა: ქალაქიც ზედმეტად იტვირთება.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, წარმოიშვა რამდენიმე ამოცანა.

პირველი: საძინებელი რაიონების სტრუქტურაში საფუძვლიანი ქირურგიული ჩარევით, მათი ქალაქის უბნებად ამუშავება. მეორე, „ნაძალადევების“ ღრმა და ფართე არქიტექტურული ოპერაციების საშუალებით შუკების, ჩიხებისა და პატარ-პატარა საურმე ქუჩების „გაქალაქელება“. ვიცი, რომ ეს უბნები ძირითადად კერძო მოსახლეობით არის დასახლებული, მაგრამ სახელმწიფომ აქ მცხოვრებ მოქალაქეებს უნდა გაუღვიძოს ინტერესი მატერიალური თუ სხვა საშუალებებით, ჩაერთონ რეკონსტრუქციაში. აუცილებლად უნდა გადაწყდეს ეს პრობლემა, რომელიც არც გენერალურ, არც მიწათსარგებლობის გეგმაში არ არის ასახული.

**— ბატონო გიგა, მეჩვენება თუ მართლა ისეა, რომ ქალაქს ხიდები ძვალივით აქვს ყელში გაჩხერილი. პიკის საათებში (თბილისში კი როდის არ არის პიკის საათი?!) ჩვენს ხიდებზე დაგუბებული მანქანების ნაკადი უძრაობის მოძრაობად (ან პირიქით) წარმოგვიდგება.**

— ხიდებიც და მიმდებარე ქუჩებიც, ასე ვიტყოდი.

თბილისი 40 კილომეტრზე განფენილი ქალაქია. იწყება ავჭალიდან და თითქმის აეროპორტამდე იჭიმება. ლამის ლოჭინის ხევს მივადექით.

გვაქვს სულ ათი ხიდი: საშუალოდ, ოთხ კილომეტრზე თითო ხიდი. ეს სტატისტიკისთვის, თორემ ხიდების პრობლემა სულ სხვაა. ათი ხიდიდან ორი გამოვაკლოთ, რადგან პირველი და ბოლო ქალაქიდან გასვლასა და შემოყვანაზე მუშაობს, და ქალაქის კომუნიკაციურ სიტუაციაზე დიდ გავლენას ვერ ახდენს. დანარჩენი რვა აბსოლუტურად არ არის საკმარისი 40 კილომეტრზე გაჭიმული ქალაქისთვის. ამასთანავე, არც ერთ ხიდს არ აქვს გამჭოლი გზა. გაიხსენეთ ვერეს ხიდი, იგივე გალაკტიონის ხიდი, მის თავსა და ბოლოში არსებული ქუჩები და, დარწმუნებული ვარ, დამეთანხმებით, რამდენად რთულია ამ სივიწროვეში გადაადგილება ერთ მხარესაც და მეორე მხარესაც.

ასეთივე მდგომარეობაა სხვა ხიდების მიმართ. გადატვირთვა არანორმალურია.

სადავო არ არის, როცა თბილისის მერია ცდილობს, გაზარდოს ქალაქის ტრანსპორტის რაოდენობა და ქსელიც ინტენსიური გახადოს, მაგრამ პერსპექტივაში იმავე მდგომარეობაში აღმოვჩნდებით, როგორშიც დღეს ვართ. მიზეზი კი ისაა, რომ პირველი, რაც აუცილებლად გასაკეთებელი იყო, სატრანსპორტო-საგზაო ჩონჩხზე პრობლემის გადასაწყვეტად გათვლილი ღონისძიებების შემუშავება არ განხორციელებულა. მოქმედებს პრინციპი: გატყდება ჩონჩხი, დაიშლება სხეული.

**— თბილისს გაუტყდა ჩონჩხი?**

— რა გაუტყდებოდა, რაც არა აქვს? სატრანსპორტო ჩონჩხზე უნდა აგებულიყო მთელი გენგეგმა, მიწათსარგებლობა და ა.შ.

**— მიწათსარგებლობა რა შუაშია?**

— საქმეც ის არის, რომ თვით ცნება მიწათსარგებლობა არის გენერალური გეგმის შემადგენელი ნაწილი. ეს არ არის დამოუკიდებელი დოკუმენტი. კარგი მოთხრობის ერთი თავივით არის. ქალაქის ყოფილმა ხელმძღვანელობამ მას უცნაური სახელი დაარქვა: მიწათსარგებლობის გენგეგმის განახლების პროექტი.

არც გენგეგმაა, არც მიწათსარგებლობის გეგმა არის. არაფერია.

**კახა კალაძე** არის ენერგიული, აზრიანი და გონიერი ადამიანი, რომელსაც აქვს უნარი, ოპერატიულად აკეთოს საქმე, მაგრამ ეს საქმე არ არის ისე უცბად მოსაცილებელი, როგორც თითში შერჭობილი ხიჭვის ამოძრობა.

გლობალური პრობლემაა, მსოფლიო მასშტაბის.

განგების ნებით, ჩვენ აღმოვჩნდით ერთ-ერთი საკვანძო ქვეყანა, რომელიც ორ ზღვას შორის მდებარეობს.

ეს კი ნიშნავს, რომ მსოფლიოს ქვეყნებს აქვთ პოტენციური ინტერესი საქართველოსადმი.

**— სატრანზიტო ფუნქციას გულისხმობთ?**

— დიახ, რომელიც დიდი დივიდენდების მიღების შანსს გვაძლევს. ლაპარაკია არა მხოლოდ ენერგოშემცველების (ნავთობი, გაზი) ტრანზიტზე, არამედ ინტელექტის, ფინანსების ტრანზიტზე. ამას კი სჭირდება დაგეგმვა და მართვა.

რამ წარმოშვა ამერიკაში სითი — საქმიანი ქალაქი? წარმოშვა ეკონომიკურმა ინტერესმა. შემდეგ ასეთი სითი გაჩნდა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან ქალაქებში. ჩვენ ვერ გავხდებით მნიშვნელოვანი სატრანზიტო ქვეყანა, თბილისი ვერ გახდება ამ არტერიის საკვანძო ქალაქი თუ არ შეიქმნება ამ ზონის გამოყენების მართვის აუცილებელი პირობა. თუ სიტი არ აშენდება, ეს პოტენციური შესაძლებლობა არ ამოქმედდება საჭირო მოცულობითა და ფართო მასშტაბით. თუ იმუშავებს, ისე, წვეთ-წვეთობით, როგორც დღეს ხდება. რაც არის, იმაზე მადლობა უნდა ვთქვათ, რადგან მან გადაგვარჩინა. მაგრამ თუ სრულად ამუშავდება, საშვილიშვილოდ ვიქნებით დაცული, რადგან მსოფლიოს ქვეყნების ინტერესები აქ იქნება კონცენტრირებული.

**— სად და როგორ უნდა აშენდეს საქმიანი ქალაქი?**

— კარგი შეკითხვაა. ისე არ არის, ვისაც სად მოუნდება — ეს სახლი დავანგრიოთ და აქ ავაშენოთო!

**— ანუ, როგორც ადრეც არაერთხელ გითქვამთ, ვიღაცის ხოშზე არ შეიძლება გადაწყდეს.**

— დიახ. საქმიანი ქალაქი ერთი შენობა არ არის. მის ასაგებად უზარმაზარი ტერიტორია გვჭირდება, რადგან ოფისების, ბანკების, სასტუმროების გარდა, აქ უნდა განთავსდეს საელჩოები, უცხოეთის დიპლომატიური წარმომადგენლობები, საერთაშორისო ორგანიზაციების ფილიალები და ა.შ.

**„ჩვენს ხალხს არ დასჭირდა წვერის მოპარსვა იძულებით, პიჯაკის ჩაცმა იძულებით, ქალებს არ დაჭირდათ ქალწულობის რკინის ქამრების შეხსნა. ფილმი „ქეთო და კოტე“ არის ფანტასტიკური ილუსტრაცია ჩვენი რაობის, თუნდაც გარეგნულ ფორმაში, ტანსაცმელში — სმოკინგი „მერზავჩიკით“, ჩოხით და იგივე „მერზავჩიკით“, ლამპასებიანი შარვლით და ხელში ჯიხვის ყანწით. ახლა — იმავე ფილმის მუსიკა: თბილისური ჰანგები ვერდისეულად არის აჟღერებული. გაიხსენეთ გუნდი — „სალამი ჩვენს მასპინძლებსა“.**

დედაქალაქი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

გახსოვთ, რა თქმა უნდა, როცა **ედუარდ შევარდნაძემ** დაიწყო დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობა, საელჩოები ორ-სამ ოთახში განთავსებაზეც თანახმანი იყვნენ.

ახლა ამერიკამ თანამედროვე, სრულად დაკომპლექტებული საელჩო აიშენა, სხვებმაც გაიუმჯობესეს მდგომარეობა. საელჩოებს უზარმაზარი ინფრასტრუქტურა გააჩნია: საცხოვრებელი, საბავშვო ბაღი, სკოლა და ა.შ. აქ დასაქმებულმა კონტიგენტმა უნდა იცხოვროს და იმუშაოს ისეთ პირობებში, როგორიც თავის ქვეყანაში აქვს. არანაკლებ, თუ უკეთესად არა.

მოკლედ: სითის პრობლემა ეპოქის გამოწვევაა.

**— ჩვენს გენერალურ გეგმაში გათვალისწინებულია სითის მშენებლობა?**

— ამოცანაც არ დგას! თუ ეპოქის გამოწვევებზე არ იქნება პასუხი გაცემული, ნებისმიერი „ორი დღით დანიშნული“ ხელმძღვანელი შეეცდება ოპერატიულად გაარემონტოს გამსკდარი საკანალიზაციო კოლექტორი, სადღაც სახურავი შეაკეთებინოს, წყალგაყვანილობა მოაწესრიგებინოს, ასფალტი დააგებინოს და ა.შ. ესეც, ცხადია, საჭიროა და აუცილებელიც კი. მაგრამ მთავარი და გადამწყვეტი ისაა, რაზეც ვილაპარაკეთ.

დოკუმენტი, რომელსაც განვიხილავთ, არ ითვალისწინებს არც თვით ქალაქის ორგანიზმის ჯანმრთელობის პრობლემის გადაწყვეტას სატრანსპორტო ჩონჩხის დაპროექტებით, არც იმას, რომ თბილისი გვესახება გლობალური სატრანზიტო სისტემის პორტალად, ვერ იქნება სრულყოფილი როგორც ქალაქგეგმარებითი პროექტი.

**— რას გვთავაზობთ, ბატონო გიგა, სად შეიძლება სითის აგება?**

— რას გთავაზობთ? გითხრათ ეგა? არ მინდა ვთქვა. გვკითხონ და ვუპასუხებთ. ჩვენ უარს არ ვამბობთ დახმარებაზე. რას ჰქვია უარს არ ვამბობთ?! პირიქით! გვინდა, რომ გავალღვიძოთ, გამოვაფხიზლოთ, პერსპექტივა დავანახოთ დედაქალაქის ხელმძღვანელობას. ავტორობა სულ არ მჭირდება: იმდენი ობიექტის ავტორი ვარ, მეც მყოფნის და სხვასაც შეიძლება ვუწილადო.

მე ჩემს შვილთაშვილებზე ვზრუნავ, თქვენს შვილთაშვილებზეც და იმ თაობებზე რომლებიც მოდიან... და კიდევ ერთი, მთავარი საკითხი ამ გამოწვევების ფონზე — დამკვეთის ინსტიტუტი, რომელიც გადამწყვეტია.

**— არქიტექტურაში?**

— ყველაფერში, არქიტექტურაში — განსაკუთრებით. ამისთვის კი უნდა არსებობდეს სპეციალური სამსახური, რომელიც არ გაგვაჩნია.

ბევრი თემაა ამასთან დაკავშირებული და ყველა ცალცალკეა მოსაგვარებელი. ძალიან ბევრია, ჩვენ კი გვინდა, ხვალ გვქონდეს ხვალის თბილისი...

**— ის დოკუმენტი, რომელიც არ გამოქვეყნებულა და რომელსაც გენერალური გემის ნაცვლად რაღაც ეგზოტიკური სახელი ჰქვია, ჩვენს ამ სურვილს არ უპასუხებს?**

— რაც გინდათ, დაარქვით. აბსურდებით კი არის სავსე.

**— კერძოდ?**

— მოგახსენებთ ახლავე. რა თქმა უნდა, გამოცდილება — შენი თუ სხვისი გათვალისწინებული უნდა გქონდეს. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ იმ სხვას, ვისაც შენზე მეტი გამოცდილება აქვს, შეუძლია შექმნას ის, რაც შენ გჭირდება, რაც შენთვის აუცილებელია და რასაც შენი საზოგადოება მიიღებს.

ჩვენი ერი აღმოცენებულია ევროპული კულტურის საძირკველზე, რომლის მშენებლობის თანამონაწილეები ჩვენ თვითონ ვართ, რომელსაც ვერ მოერია ორიენტალისტური კულტურა, თუმცა გარკვეული სურნელი შემატა აღმოსავლური ცივილიზაციის.

**ჩვენს ხალხს არ დასჭირდა წვერის მოპარსვა იძულებით, პიჯაკის ჩაცმა იძულებით, ქალებს არ დაჭირდათ ქალწულობის რკინის ქამრების შეხსნა. ფილმი „ქეთო და კოტე“ არის ფანტასტიკური ილუსტრაცია ჩვენი რაობის, თუნდაც გარეგნულ ფორმაში, ტანსაცმელში — სმოკინგი „მერზავჩიკით“, ჩოხით და იგივე „მერზავჩიკით“, ლამპასებიანი შარვლით და ხელში ჯიხვის ყანწით.**

**ახლა — იმავე ფილმის მუსიკა: თბილისური ჰანგები ვერდისეულად არის აჟღერებული. გაიხსენეთ გუნდი — „სალამი ჩვენს მასპინძლებსა“.**

**— „აიდას“ საზეიმო სვლასავით ჟღერს...**

— ვერდის ოპერაა! ერთსა და ორ წელიწადში ვერ აითვისებ, ვერ ისწავლი, თუ გენებში არ გიზის.

გენებში გიზის და, მაშასადამე, გასაანალიზებელი გაქვს შენი ბუნებრივი ეროვნული ხედვის, შენი გენებით ნაკარნახევი ხედვის პერსპექტიულობა და ამის გათვალისწინებით უნდა ააგო შენი პოლიტიკურ-ეკონომიკური პოლიტიკა.

აი ეს კი დამკვეთის ვალია, თუმცა მას ვერ მოსთხოვ ყველაფრის ცოდნას. მაგრამ დამკვეთს უნდა ჰქონდეს იმის უნარი, რომ მოისმინოს, მიიღოს კონსულტაციები და ამ კონსულტაციების მიხედვით ჩამოაყალიბოს მოთხოვნა.



**«თბილისში კი «საველოსიპედოდ» გამოდგება მხოლოდ სანაპირო, რუსთაველი, მელიქიშვილითა და ჭავჭავაძით გაგრძელებული და პეკინის ქუჩა — საბურთალოთი. გეკითხებით, ცალკე ბილიკები ყველა ამ ლოკაციაზე რომც გავუკეთოთ, რა უფლება გვაქვს მოვკლათ ველოსიპედისტები, რომელთაც იძულებულს ვხდით, დაიავადონ ფილტვები ამ მაგისტრალებზე დასაშვებ ნორმას რამდენჯერმე გადაჭარბებული გამონაბოლქვით გაჯერებული ჰაერით?!»**

ახლა უცხოელების შესახებ, რომელთა შექმნილიც არის ის თბილისი, რომელიც ჩვენ ყველას გვიყვარს. არქიტექტორებზე ვამბობ, თბილისში აკრედიტებულ დამპროექტებლებზე, რომელთა 95 პროცენტი აქ ცხოვრობდა, მუშაობდა, აქ ოჯახდებოდა, აქაური სულითა და სულისკვეთებით მდიდრდებოდა, ამიტომ არის, რომ მთელი სოლოლაკის, რომელიც ბაქოს ნავთობის ბუმის შედეგად არის აგებული, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე გერმანელების უბნის კირხენის, კირკას რომ ეძახდნენ, შენობებს ფრაკიც აცვიათ, კრეოლინის კაბებიც და მთელი ორგანიზმი კი არის ის, რაც საუკუნეების განმავლობაში შემოინახა კალას უბანმა.

მაგრამ **სრულიად მიუღებელია, როცა საქართველოში მოიწვევა ისეთ სპეციალისტებს, რომლებაც წარმოდგენაც არ აქვთ ჩვენს ისტორიაზე, კულტურაზე, ტრადიციებზე, თუნდაც ქართულ არქიტექტურაზე და უკვეთენ ქალაქის ინფრასტრუქტურისთვის მნიშვნელოვან ობიექტებს.**

ერთ მაგალითს დაგისახელებთ ყოფილი ხელისუფლების „ეროვნული მოღვაწეობიდან“. თბილისში, როგორც „საბჭოთა წარსულის“ გადმონაშთი, აჰყარეს ტრამვაის ლიანდაგი და ტრამვაის ვაგონებთან ერთად ჯართად გაყიდეს. ეს ხდება მაშინ, როცა მსოფლიოში ტრამვაი ყველაზე დემოკრატიულ ტრანსპორტად არის აღიარებული. ჩვენი ხინკალივითაა — მეფესაც და გლეხსაც ერთნაირად მოსწონს.

როდის-როდის მოინდომეს აღდგენა და მოიწვიეს უცხოელი სპეციალისტები, რომლებმაც ტრამვაის ხაზი დააპროექტეს სოლოლაკში, ლადო ასათიანის ქუჩაზე (ყოფილი ენგელსის ქუჩა), რომელიც ისე ვიწროა, რომ, ერთი მანქანა თუ გაჩერდა, მეორე გვერდს ვერ აუვლის და რომელიც სამხრეთ საქართველოს საზღვრიდან თბილისში შემომსვლელი ერთადერთი სატრანზიტო გზა არის. ავტეხეთ ხმაური და იძულებული შეიქნენ, მოეხსნათ ეს პროექტი. იმ დამპროექტებლებმა უდიდესი ჰონორარი წაიღეს და წავიდნენ: თავიანთი საქმე გააკეთეს და ვერ შეედავები.

ასეთი შემთხვევები ცოტა როდი გვაქვს!

ახლა, რაც შეეხება ველოსიპედებს, მსოფლიოში პოპულარულ ამ „პერსონალურ სატრანსპორტო საშუალებას“. საქართველოშიც გვაქვს ისეთი რაიონები, რომლებშიც ველოსიპედი პოპულარულია.

**— სამტრედია.**

— სამტრედია და ფოთი. თბილისში კი „საველოსიპედოდ“ გამოდგება მხოლოდ სანაპირო, რუსთაველი, მელიქიშვილითა და ჭავჭავაძით გაგრძელებული და პეკინის ქუჩა — საბურთალოთი.

გეკითხებით, ცალკე ბილიკები ყველა ამ ლოკაციაზე რომც გავუკეთოთ, რა უფლება გვაქვს, მოვკლათ ველოსიპედისტები, რომელთაც იძულებულს ვხდით, დაიავადონ ფილტვები ამ მაგისტრალებზე დასაშვებ ნორმას რამდენჯერმე გადაჭარბებული გამონაბოლქვით გაჯერებული ჰაერით?!

ხომ ცნობილია, რომ ფიზიკური დატვირთვის დროს ადამიანის ფილტვები ორჯერ მეტად იხსნება და სუნთქვაც ინტენსიური ხდება!

გავაკეთოთ საველოსიპედო ბილიკები თბილისის ზღვაზე, პარკებში...

**— თორემ პეკინის ქუჩაზე ასეთი ზოლის გაკეთება გაპრანჭვაა — „მეც ნახირნახირო!“**

— და კიდევ ერთი რჩევა კახი კალაძეს, რომელიც „მწვანე ქალაქისთვის“ იღვწის.

**„მწვანე ქალაქი“ ნიშნავს მწვანე ნარგაობით ქალაქის დამშვენება-გაჯანსაღებას. მეორე მხრივ, ეს ნიშნავს, ბუნებრივი, განახლებადი ენერგიით ტრადიციულის ჩანაცვლებას, რაც შესაბამისად შეცვლის ქალაქის არქიტექტურულ იერსახეს.**

ძალიან კარგია.

მაგრამ თბილისში ახალი პარკები ვერ გაშენდება, ორადორი ადგილია მხოლოდ. პირველი — მინდელის ხიდის ზონაში, აშშ-ის საელჩოს წინ მტკვრის კალაპოტში და, მეორე, ორთაჭალაში 31-ე ქარხნის მიმდებარე ტერიტორია, ესეც მტკვრის კალაპოტში. თავისთავად — თბილისის ზღვაზე.

ამ შემთხვევაში ჩვენთვის საუკეთესო მაგალითი არის პარიზი — პატარ-პატარა სკვერები ყოველ ნაბიჯში.

ამ ვითარებაში მიწათსარგებლობის გეგმას რომ განიხილავ და ეს პრინციპი არ გაქვს დამუშავებული, მერე რას შვრები, მართმევ მიწას? და კიდევ ერთი საკითხი მიწასთან დაკავშირებით: არ შეიძლება მთელი საქართველო და თბილისი ავაშენოთ, როგორც მომსახურე საზოგადოების ქვეყანა და ქალაქი. ამას გარდა და ამასთან ერთად, არსებობს პროდუქციის შექმნის აუცილებლობა.

იმ მიწებს, რომლებიც ეკავა ახლა უკვე გაუქმებულ დიდსა და პატარა საწარმოებს, რას უპირებ?

მაშინ, როცა ყოფილმა ხელისუფლებამ შეუტია მეცნიერებას და მოსპო კვლევითი ინსტიტუტები, გვჭირდება კი ასეთი დიდი კონტიგენტი უმაღლესი განათლების მქონე ახალგაზრდების?!

სად უნდა გამოიყენონ მიღებული ცოდნა? რას უნდა მოახმარონ?!

გენგეგმა ეგ არის. მიწათსარგებლობის გეგმა ეგ არის.

გენგეგმა არის კონსტიტუცია, მშენებლობის, აღმშენებლობისა და ცხოვრების ყაიდის დამდგენი კონსტიტუცია.

**— რაც საქართველოს დღეს არ აქვს.**

— უნდა ჰქონდეს მსოფლიო მასშტაბის ეპოქალური გამოწვევებიდან გამომდინარე, თორემ ქალამნების დროში ჩავრჩებით!

**«არ შეიძლება მთელი საქართველო და თბილისი ავაშენოთ, როგორც მომსახურე საზოგადოების ქვეყანა და ქალაქი. გენგეგმა არის კონსტიტუცია, მშენებლობის, აღმშენებლობისა და ცხოვრების ყაიდის დამდგენი კონსტიტუცია, რაც საქართველოს უნდა ჰქონდეს მსოფლიო მასშტაბის ეპოქალური გამოწვევებიდან გამომდინარე, თორემ ქალამნების დროში ჩავრჩებით!»**

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

საკითხავი აი ეს არის...

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## რატომ არის, რომ ხალხი, რომლისთვისაც „სწირავ თავს და ჰღუპავ სიცოცხლეს“, შენვე დაგცინის და გაფურთხებს?

# «რა მიზეზია ის მიზეზი, რომელიც ძირს უთხრის ყოველგვარ «საერთო საქმეს», რომელსაც კი კისრულობენ ქართველები?»

**ერის ერთიანობა, ურთიერთდაპირისპირების უარყოფა — ეს არის ძირითადი საკითხი, რომელიც დღესაც ისევე აქტუალურია, როგორც XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე. იმ პერიოდში არჩილ ჯორჯაძემ ამ თემას მიუძღვნა „საერთო ნიადაგის თეორია“. და საერთოდ, ამ პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწის, პუბლიცისტის, ფილოსოფოსის, სოციოლოგისა და უაღრესად განათლებული ადამიანის, რომელსაც სხვადასხვა დროს უსწავლია რუსეთის, ინგლისის, საფრანგეთისა და შვეიცარიის უმაღლეს სასწავლებლებში, ფილოსოფიურ წერილებში ადამიანის არსებობის, მისი ყოფიერების საზრისის, ბედნიერებისა და ეთიკური საწყისის საკითხებია დასმული. მათი გაანალიზება და გააზრება დღევანდელი გადმოსახედიდან, ვფიქრობთ, საინტერესოც არის და სასარგებლოც.**

**რატომ არის ძველი ეპოქების ქართველი ადამიანის ფსიქიკა „უკიდურესად საამქვეყნო“ (ანუ ეროვნული) და ემპირიული ხასიათის?**

**რა არის ის მიზეზი, რომელიც ძირს უთხრის ყოველგვარ „საერთო საქმეს“?**

**ქართველი ინტელიგენტი რატომ არის ხშირად ფარისეველი, როდესაც სასწორზე „პირადი“ და „საზოგადო“ იწონება?**

**რატომ არის, რომ ხალხი, რომლისთვისაც „სწირავ თავს და ჰღუპავ სიცოცხლეს“, შენვე დაგცინის და გაფურთხებს?**

**ეს არის კითხვები, რომლებზეც, მეცნიერულად დასაბუთებულ პასუხებს კი არა, თავისი დაკვირვების შედეგად ჩამოყალიბებულ თვალსაზრისს გვიზიარებს არჩილ ჯორჯაძე წერილში „დაკვირვებანი“ და ასკვნის, რომ ქართული ბუნება და საერთოდ, ქართული გენი ემპირიულია და განსაკუთრებულად ეროვნული, „პატარა ერი, რომელიც მუდამ ბრძოლაში იყო, თავის არსებობის დასაცავად, მეოცნებე და გულგრილი მჭვრეტელი ამ ქვეყნიერებისა ვერ იქნებოდა“. მაშ, რა გვემართება ახლა? ნუთუ დავკარგეთ „სამშობლოს გრძნობა გასაკვირველი“? საქართველოს კულტურა, მისი აწმყო, წარსული და მომავალი ხომ ის ძლიერი ფესვია, რომელზეც ამოიზარდა „სამშობლოს გრძნობა გასაკვირველი“ და გალაკტიონს სიამაყით ათქმევინა: „წვეთი სისხლის არ არის ჩემში არაქართულიო“. სწორედ ეს ქართული სისხლი ალაპარაკებს არჩილ ჯორჯაძესაც, როდესაც ქართველთა ეროვნული ხასიათის თავისებურებაზე საუბრობს.**



არჩილ ჯორჯაძე

**„საინტერესოა, რა მიზეზია ის მიზეზი, რომელიც ძირს უთხრის ყოველგვარ „საერთო საქმეს“, რომელსაც კი კისრულობენ ქართველები.** ეს მიზეზი რომ გარკვეული იყოს ჩვენთვის, იქნება უფრო გასაგები გახდებოდა მაშინ ფაქტი მესამოციანების დაქსაქსვისა და საზოგადოდ ფაქტი **„ჯგუფობრივ საქმეების“ ქართველებში სისუსტისა და გაუტანლობისა“.**

ის დაქსაქსულობა და გაუტანლობა, რომელზეც არჩილ ჯორჯაძე ამახვილებს ყურადღებას, დღესაც ისევე მძაფრად იგრძნობა და ხელს უშლის ქვეყნის განვითარებას, როგორც მაშინ.

ფაქტია, რომ დღეს „ქართულ ოცნებაში“ არ არის ერთიანობა. ზოგ პოლიტოლოგს მმართველ პარტიაში დაქსაქსულობის მიზეზად ის მიაჩნია, რომ „ქართული ოცნება“ ძალზე ჭრელია — აერთიანებს სოციალისტებს, მემარჯვენეებს, კონსერვატორებს. ამის გამო ის დაშლის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. ბიძინა ივანიშვილის დაბრუნებამ ეს პროცესი გარკვეულწილად შეაჩერა, მაგრამ ზეწოლა ხელისუფლებაზე და საკუთრივ „ქართულ ოცნებაზე“, როგორც პარტიაზე, გაიზარდა. ამას ემატება მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობებიც. კვლევებიც ადასტურებს, რომ „ქართული ოცნება“ რეიტინგით სხვა პარტიებს უსწრებს, თუმცა მისი რეიტინგიც საგრძნობლად დაეცა.

ჩვენში საერთოდ ასე ხდება ხოლმე: ხალხი ლიდერს სთხოვს პასუხს ყველაფერზე. ასე იყო გამსახურდიას, შევარდნაძის და სააკაშვილის შემთხვევაშიც. ახლა ივანიშვილის ჯერია, მაგრამ საკითხავია: ვინ შეცვლის მას? თუმცა საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილისთვის ივანიშვილი კვლავ ღირსეულ მმართველად აღიქმება და მისი პარტიის ლიდერად დაბრუნებას იმედის თვალით უყურებს. მათი აზრით, თანამდებობებს დატოვებენ ის ადამიანები, რომლებმაც ბიძინას ნდობა ვერ გაამართლეს. ამ ვითარებაში საკითხავია: ვინ შეცვლის თანამდებობიდან მიმავალ ადამიანებს და, რაც მთავარია, რას მოიტანს ეს ცვლილებები?

„...ხოლო რომ მივიღოთ მხედველობაში ის, რაც უკვე გარკვეულია ჩვენს წარსულ ცხოვრებაში, უნდა ვსთქვათ, რომ **ძველი ეპოქების ქართველი ადამიანის ფსიხიკა უკიდურესად საამქვეყნოა და ემპირიული ხასიათისაა“.**

ამის მიზეზი, არჩილ ჯორჯაძის აზრით, ისტორიული პირობების ზედგავლენაა, რადგან **„პატარა ერი, რომელიც მუდამ ბრძოლაში იყო, თავის არსებობის დასაცავად, მეოცნებე და გულგრილი მჭვრეტელი ამ ქვეყნიერებისა ვერ იქნებოდა.** და ეს თვით ჩვენს წარსულს რელიგიურ აზროვნებასაც ატყვია. ჩვენი რელიგიური მოძრაობა, მიუხედავად იმისა, რომ მასში „ასკეტიზმს“ და „მეუდაბნოებას“ ფრიად საპატიო ადგილი ეჭირა, თითქმის ყოველთვის დაკავშირებული იყო საქართველოს სახელმწიფოებრივობასთან, რომელიც დარაჯი იყო, როგორც ხალხისა, ისე ეკლესიისა „ურჯულოთა“ შემოსევის დროს. პატარა, **მცირე რიცხოვანი ხალხი დამოუკიდებლად და თავისუფლად ვერ განავითარებდა თავის რელიგიურ აზროვნებას, რომელსაც ნიადაგ უდარაჯებდა განსაცდელი გაქრობისა და განადგურებისა.** შავშეთ-კლარჯეთის მეუდაბნოენი ცდილობენ, საზღვარი დასდონ საამქვეყნოსა და საიმქვეყნოს შორის, ცდილობენ იმის დამტკიცებას, რომ მეფეს ბერებთან არავითარი საქმე არა აქვს, რადგან ისინი სხვა და სხვა ღმერთებს ემსახურებიან, მაგრამ მტკიცედ ამ ნიადაგზე ვერ დგანან, ერთ-ერთ კუროპალატს ეურჩებოდა ბერი და მის ბრძანებაზე არ ჰსურდა მეფესთან მისვლა, მაგრამ გრიგოლ ხანძთელის რჩევით ურჩობას თავი დაანება და აასრულა მეფის ბრძანება. ეკლესია იმგვარ პირობებში იყო, რომ მისთვის შეუძლებელი იყო სრული კავშირის გაწყვეტა სახელმწიფოსთან. ამიტომ **ჩვენი რელიგიური აზროვნება თუ არის მისტიკური და მეტაფიზიკური, არის ამგვარი სარწმუნოებრივი და დოგმატიური საკითხებში, ხოლო ეს მისტიციზმი ჰქრება მთავარ საგნის გარკვევის დროს, ე.ი. მაშინ, როდესაც საჭიროა არჩევა; ან საამქვეყნოსი, ან „სასუფევლისა ღვთისა“, — თუნდ სიკვდილის საფასურით მოპოებულისა. აქ ჩვენი რელიგიური აზროვნება ემპირიულია, ხორცშესხმული, მიწიერი და საამქვეყნოა.** ილია ჭავჭავაძემ რომ თავისი „განდეგილი“ დაამარცხა, საამქვეყნო მშენების პირველსავე ხილვის დროს — ეს აუცილებლობა სწორედ ზემოდ აღნიშნულ მოტივებით უნდა აიხსნას. კიტა აბაშიძემ მიაქცია ყურადღება ამ ფსიხოლოგიურ პრობლემას და კარგად გაგვიმარტა, რომ ჭავჭავაძე გამომხატველი იყო ამ შემთხვევაში ქართულ ბუნებისა, ქართველ გენიასი, რომელიც, არსებითად, ემპირიული და საამქვეყნოა“.

რაც შეეხება **ქართველი ინტელიგენციის ხასიათს,** „ჩვენი ინტელიგენცია რომ შევადაროთ რუს-ინტელიგენციას, მათ შორის დიდ განსხვავებას ვპოვებთ, მიუხედავად იმისა, რომ აზროვნების მხრით საერთო ბევრ რამა აქვთ. თავდაპირველად მოსჩანს **რუს-ინტელიგენციის კულტურული უპირატესობა** (ამგვარი უპირატესობა რუსის ხალხს ჩვენ ხალხთან შედარებით არა აქვს). იქ მეტი სიღრმეა, მეტი თავადება, ენტუზიაზმი, რწმენა და თავგანწირულება. აქ ზერელეობაა, თავდაჭერა; გატაცება და ენტუზიაზმი ხან-მოკლე და თავის თავის დაზოგვაა. შესაძლებელია ეს ძველის ძველად გადმოცემული და ჩვენ დროში ახლად გამოღვიძებულ პატარა რიცხოვან ერის თავის დაცვის ინსტინქტის გადაფურჩქვნაა, მაგრამ ჩვენ მიზეზებს არ ვიკვლევთ.

წინდაწინვე უნდა ვსთქვათ, რომ ლაპარაკი გვაქვს მეცხრამეტე საუკუნის ინტელიგენციაზე. მეოცე საუკუნის „მოძრაობა“ აქ სახეში მისაღები არ უნდა იყოს, რადგან მაშინ მღელვარება და თავგანწირულება საზოგადო მოვლენა იყო, ეს იყო ხალხური სტიქია, რომელსაც აჰყვა ინტელიგენციაც. ჩვენ უნდა ავიღოთ ის ხანა, როდესაც, როგორც იყო, ერთ დროს რუსეთში, **ინტელიგენცია სრულიად განმარტოებულ ჯგუფს შეადგენდა, რომლის წინააღმდეგ სასტიკად იბრძოდა მთავრობა და ხალხი კი მას სრულებით არ თანაუგრძნობდა.**

როდესაც 1825 წელს „დეკაბრისტებმა“ მოაწყეს პირველი შეთქმულება და თავიანთი სიცოცხლეც შესწირეს ამ საქმეს (ზოგი ჩამოაღრჩეს, ზოგი კატორგაში დააბერეს), ვინმე გრ. რასტოპჩინი დაცინვით ამბობდა: საკვირველია, საფრანგეთში „ბრბომ“ მოახდინა რევოლუცია გაბატონებულ კლასების პრივილეგიების ჩამოსართმევად, ჩვენში კი არისტოკრატია თვითონ ცდილობს თავისი უპირატესობა „ბრბოს“ დაუთმოს და ჩააბაროსო; **რუსი ინტელიგენტი იმ თავითვე თავგანწირული ადამიანია.** იგი ავადმყოფია ქვეყნიურ უსამართლობის გამო, იგი არ ითვისებს, არ იწყნარებს უსამართლობაზე დამყარებულ ქვეყანას. გერცენი პატარაობისას მგრძნობიერი ყმაწვილი იყო. ერთხელ პატარა ოგარიოვთან ერთად მოსკოვში, ვორობიოვის მთაზე, უსეირნია და იქ ამ ორ ყმაწვილს რაღაც არაჩვეულებრივი სულიერი განწყობილება აღეძვრათ. თვითონ გერცენი ასე აგვიწერს ამ ამბავს: „მზე ის იყო წვებოდა, ეკლესიების გუმბათები ბრჭყვიალებდნენ, უსაზღვრო სივრცეში იშლებოდა დიდი ქალაქი, მთის ძირში, საამო ნიავი სახეს გვიგრილებდა. ჩვენ ვიდექით, ვიდექით, ერთმანეთს მიუახლოვდით და უეცრად, გადახვევის დროს, ფიცი მივეცით ერთმანეთს აი, აქ, მთელი მოსკოვის წინ, რომ სიცოცხლეს შევწირავთ ამ ბრძოლაში, რომელიც უკვე არჩეული გვქონდა“. ან გეხსომებათ „მწვანე პატარა ჯოხის“ ამბავი ლ. ტოლსტოის სიყმაწვილიდამ. მის უფროსს ძმას ნიკოლინკას ერთი პატარა შტო მოუჭრია, მწვანეთ გაუთლია და ზედ გაუკეთებია რაღაც საიდუმლო წარწერები და ეს ჯოხი ჩაუფლავს სოფ. იასნაია პოლიანაში, იქ, სადაც ახლა ასაფლავია, ლ. ტოლსტოი. ამ ჯოხის წარწერა თურმე ნიშნავდა საიდუმლოებას იმის შესახებ, თუ რა უნდა გაკეთდეს, რომ ადმიანს არავითარი უბედურება აღარ მიეკაროს, რომ არასოდეს არ ჩხუბობდნენ და არ ჯავრობდნენ და ყოველთვის „ბედნიერნი ყოფილიყვნენ“. ლ. ტოლსტოის თავის ბავშვობაში ბევრი უძებნია ეს ჩაფლული ჯოხი, მაგრამ ვერ მოუნახავს (იქვე, გვ. 188).

ან რა შეედრება თავისი სიდიადით, თავისი წვალებრივობის ნიშნებით და თავისდადებით იმ მოძრაობას, რომელიც გაჩნდა რუსეთში 1872-73 წლებში, როდესაც მთელმა ინტელიგენციამ, ქალ-ვაჟიანათ, ხალხისაკენ გაიწია და ხალხი უნდოდა აემაღლებინა, გაენათლებინა და აემოძრავებინა უკეთესის მომავლისათვის. „ხალხში სიარული“ ის არ არის, რასაც დღეს კულტურულ მუშაობას ეძახიან (ბიბლიოთეკა-თეატრების გამართვა), არა, მიდიოდნენ გლეხკაცობაში, მათთან ერთად მუშაობდნენ და ქადაგებას ეწეოდნენ, მიდიოდნენ ქარ- ▶

**«თავდადების გამოჩენა მაშინ, როდესაც ირგვლივ არამც თუ თანაგრძნობა არ არის, თავისიანების მხრით დევნა და სასტიკი მოპყრობაა, როდესაც ხალხი, რომლისთვისაც სწირავ თავს და ჰღუპავ სიცოცხლეს, შენვე დაგცინის და გაფურთხებს, ამ პირობებში უანგარო თავდადების თვისებების აღმოჩენა და უმწვერვალეს ზომამდე მათი განვითარება სრულიად განსაკუთრებული მოვლენაა, რომელიც თავის გმირულის ხასიათით არ შეედრება სამხედრო ხასიათის გმირობას»**

საკითხავი აი ეს არის...

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ქართველი ინტელიგენტი რატომ არის ხშირად ფარისეველი, როდესაც სასწორზე „პირადი“ და „საზოგადო“ იწონება?..

◀ ხნებში უბრალო მუშებ-ათ და აუტანელ პირობ-ებში თავიანთ მისიას ასრულ-ებდნენ. ტურგენევს ერთ თა-ვის პროზაიკულ ლექსში მშვე-ნივრად აქვს აღბეჭდილი იმ დროინდელ სულიერ ვითარე-ბის სიდიადე. უზარ-მაზარ, მა-ხინჯ სახლის გახსნილ კარის წინ დგას მშვენიერი ახალგაზ-რდა ქალი. საიდუმლო ხმა აფ-რთხილებს და ეუბნება, რომ მოერიდოს დერეფანს, ნუ შე-ვა ღია კარებში, იქ „სიცივე, სიმშილი, მძულვარება, დაცინ-ვა, ზიზღი, შეურაცხყოფა, სა-პყრობილე, ავადმყოფობა და თვით სიკვდილია“. მაგრამ ქა-ლი არ დრკება. მას არ უნდა „არც მადლობა, არც შებრალე-ბა, არც სახელი“.

— მაშ, რომ გაჭირდეს, სის-ხლის დანაშაულობასაც ჩაი-დენ?

ქალმა თავი დაღუნა.

პატარა ხანს უკან, საიდუმ-ლო ხმა განაგრძობდა: ის კი იცი, რომ შემდეგში იქნება რწმენა დაგეკარგოს და აღარ ინდომო, რაც დღეს გინდა. და მაშინ იგრძნობ, რომ მოსტ-ყუვდი და უქმად დაღუპე ახა-ლგაზრდა სიცოცხლე.

— ეგეც ვიცი. და მაინც მინ-და კარებში შესვლა.

— შედი.

ახალგაზრდა ქალი ფეხს გა-დადგამს და მძიმე ფარდა ჩა-მოეშვება.

— „სულელი“! — წამოიძახა ვიღაცამ უკანიდამ.

— „წმინდა“ — საიდღამაც გაისმა პასუხად (იქვე, გვ. 162). დაგვეთანხმებით, რომ ამგვარ ფსიხიკაში არის რაღაც არაჩვე-ულებრივი, თითქოს რელიგიუ-რი ხასიათის ენტუზიაზმი, რო-მელიც ზიზღით უყურებს პი-რად ბედნიერებას, პირად სი-ცოცხლეს, და უნდა სთქვას კაცმა, რომ ეს საერთო თვისე-ბაა რუსეთის ინტელიგენციისა, თვისება, რომელიც გამოისახა როგორც პოლიტიკურ ბრძო-ლის ასპარეზზე, ისე კაზმულ სიტყვიერებაში, სადაც საკვირ-ველის და გასაოცარის სიღრ-მით სხვა და სხვა ეთიკური პრობლემებია წამოყენებული.

ამ ხასიათის ფსიხიური მიდ-რეკილება აწინდელ ქართვე-ლის სულის განწყობილებას არ ეგუება. ძველად უნდა ყო-ფილიყვნენ ამ ტიპის ხასიათე-ბი. **ჩვენი წარსული ისტორი-ის ზოგიერთი მომენტები ნამ-დვილი გმირული თვისებისაა. უნდა ყოფილიყვნენ ადამია-ნები, დაწყლულულნი ხალხის ტანჯვით და სევდით, უნდა ყოფილიყვნენ მამულიშვილ-ნი, რომელთათვინაც პირადი სიცოცხლე არ არსებობდა და, რომელნიც სიხარულით სდებდნენ თავსა მამულის კე-თილდღეობისთვის.** ნამდვი-ლად იყვნენ ამგვარი მებრ-ძოლნი. მაგრამ უნდა ვსთქვა, რომ ეგეც ის არ არის, რასაც წარმოადგენს რუს ინტელიგ-ენტის ფსიხიკა“.

ომიანობის დროს, როდეს-აც ყველანი დიდი და პატარა, თავადი თუ ყმა გლეხი ერთი აზრით იყვნენ გამსჭვალულ-ნი, ვაჟკაცობასა და თავგან-წირვას ერთნაირად ავლენდ-ნენ, ერთი საქმისთვის — მა-მულის დაცვისთვის სიცოცხ-ლის გასაწირად მზად იყვნენ. საუბრობს რა მტრის წინააღ-მდეგ ერთ მუშტად შეკრულ ქართველთა პატრიოტიზმზე, არჩილ ჯორჯაძე მკითხველის ყურადღებას მიაპყრობს გა-ცილებით რთულ საკითხს, ჩვენი ერის ხასიათიდან გამ-ომდინარე — საქვეყნო საქმის კეთებისას თავდადების, უან-გარობის არა მხოლოდ დაუნა-ხაობას, არამედ დევნასა და შეურაცხყოფას თანამემამუ-ლეთა მხრიდან. და რომელი უფრო ადვილია, რომელი თავ-დადება — ომში სიკვდილი თუ უმადურების გარემოცვაში ქვეყნის სამსახური?

არჩილ ჯორჯაძის პასუხი ასეთია:

**„თავდადების გამოჩენა მა-შინ, როდესაც ირგვლივ არ-ამც თუ თანაგრძნობა არ არ-ის, თავისიანების მხრით დევ-ნა და სასტიკი მოპყრობაა, როდესაც ხალხი, რომლისთ-ვისაც სწირავ თავს და ჰღუ-პავ სიცოცხლეს, შენვე დაგ-ცინის და გაფურთხებს, ამ პი-რობებში უანგარო თავდადე-ბობის თვისებების აღმოჩენა და უმწვერვალეს ზომამდე მათი განვითარება სრულიად განსაკუთრებული მოვლენაა, რომელიც თავის გმირულის ხასიათით არ შეედრება სამ-ხედრო ხასიათის გმირობას“.**

ახალ დროში ჩვენი ხასიათი შესამჩნევად დაწვრილმანდაო და მაგალითად მოჰყავს 1832 წლის შეთქმულება: „ჩვენე-ბურ მამულიშვილებს სწადდ-ათ საქართველოს „განთავი-სუფლება“, მაგრამ რა ბავშვუ-რი იყო მათი ოცნება და რა გუ-ლუბრყვილო მათი პოლიტიკ-ური აზროვნება! უმეტეს შემ-თხვევაში, ნადიმებსა და სადი-ლობის დროს სწყვეტდნენ თა-ვიანთ საქმეებს, ღვინით შეზ-არხოშებულებს ვარდისფრად ეჩვენებოდათ ყოველივე, ხო-ლო შემდეგში, როდესაც ოც-ნების ფრთები შემოაჭრეს, რა მალე დამშვიდნენ, რა წარმა-ტებით და გულმოდგინეობით ემსახურებოდნენ სამოქალა-ქო თუ სამხედრო ასპარეზზე იმავ მთავრობას, რომლის წი-ნააღმდეგ გუშინ ილაშქრებდ-ნენ... **მესამოცე წლებში ახა-ლი ტიპის ახალგაზრდობა გვიჩნდება. ეს უკვე ნამდვი-ლი ინტელიგენციაა. წინა წე-რილებში ჩვენ საკმარისად ნათელი ვყავით ის აზრი, თუ რა დიდი კულტურული საქმე გააკეთა ამ ახალმა თაობამ, პირველმა ჯგუფმა ნამდვილ ქართველ ინტელიგენციისა.** მაგრამ, თუ შევადარეთ ჩვენი იმ დროინდელი ინტელიგენ-ცია რუსეთის ინტელიგენციას მესამოცე წლებისას, აშკარად დავინახავთ, რომ საქმე გვა-ქვს სხვა და სხვა ტიპის ინტე-ლიგენციებთან, არც უარ-ყო-ფაში, არც რისამე აღიარება-ში ქართველი ინტელიგენცია არ მიდიოდა ლოღიკურ უკა-ნასკნელ დასკვნამდე, იგი მი-დიოდა საშუალო გზით. ეს იყო არა მარტო იმიტომ, რომ ჩვე-ნი ინტელიგენცია უფრო დაბ-ლა იდგა კულტურული და სუ-ლიერ დამოკიდებულებაში იმ-ყოფებოდა რუსეთის ინტელი-გენციასთან, ეს იყო იმიტომ, რომ ქართველს აქვს თავისი საკუთარი ტემპერამენტი და ხასიათი. მას მეტად უყვარს საკუთარი თავი; პირადობა მი-სი ბატონია, საზოგადო საქმე ძალდატანებაა. იგი მალე ინ-თება, ხოლო უმალვე ჰქრება. მისი ენტუზიაზმი უფრო ფი-ზიოლოგიურია, ვიდრე ფსიხი-ური. იგი შრომობს, ხშირად ბევრსაც შრომობს, ხოლო მის შრომას გაუტანლობის ნიშნე-ბი ატყვია. არ უყვარს საერთო მუშაობა. იგი ინდივიდუალის-ტია. ჯგუფობრივობა სულს უხუთავს. იგი განზე იწევა, არ უთმობს სხვას იმას, რაც საჭი-როა საერთო საქმის გაკეთე-ბისათვის. და საერთო საქმე მას არ ეხერხება. ვიმეორებ, შესაძლებელია, რომ ყოველი-ვე ეს უკულტურობის ნიშანი იყოს, მაგრამ უკულტურობის გარდა აუცილებლივ საჭიროა ეროვნულ თვისებების მხედ-ველობაში მიღება. **ქართველი ინტელიგენტი არსებითად საამქვეყნო კაცია, მისი სიც-ოცხლის ფესვები აი ამ მიწა-შია ჩაფლული, რომელზედაც დგას, მას უყვარს მზე, ლაყბ-ობა, ოხუნჯობა, იგი გულ-უ-ბრყვილოა, მაგრამ თავს არ ივიწყებს. მას მეტად უყვარს თავისი ხორცი, თავისი კეთ-ილდღეობა. ამიტომ არის იგი ხშირად ფარისეველი, როდე-საც სასწორზე „პირადი“ და „საზოგადო“ იწონება. მას არ უნდა გახსნას და გააქარწყ-ლოს თავისი პირადობა „კრე-ბულობითი დასაწყისში“ — ღმერთია იგი თუ საზოგადო, სახალხო საქმე.**

ჩვენში არ იყო არაფერი მსგავსი იმისი, თუ როგორი აღ-ფრთოვანებით იყო აღჭურვი-ლი რუსეთის ინტელიგენცია „ხალხში სვლის“ პერიოდში 1872-73 წელს. უსამართლობა იქნებოდა ჩვენის მხრით, რომ გვეთქვა, სამოცდაათიან წლებ-ში ქართველი ინტელიგენცია სრულიად არ იზიარებდა ამ ხა-სიათის აღფრთოვანებას და ამ საქმეში არავითარ მონაწილეო-ბას არ იღებდა-თქო.

ყოველივე ეს იყო და თით-ქოს ამგვარი ფაქტების არსე-ბობა ძირიანად არღვევს ჩვენ მიერ დახატულ ქართველ ინ-ტელიგენციის ფსიხიურ გან-წყობილების სურათს. მაგრამ ამ ფაქტებს ჩემს თვალში ის დიდი ღირებულება არა აქვთ, როგორადაც სჩანს ზერელედ რომ შეეხოთ მათ. აქ არ არის გამორკვეული, რა არის საკუ-თარი და რა შეთვისებული. რომ მასიური მისწრაფებანი და მოქმედება გადმომდებია, ამაში ეჭვი არ არის, **აღელვე-ბული მასა წყნარ და მშვიდ ადამიანს ჩაადენინებს ხში-რად არა ჩვეულებრივ საქცი-ელს.** მასსიური ფსიხოლოგია იმორჩილებდა ადამიანის ნე-ბას და მას აკუთვნებს თავის საკუთარ თვისებებსა. ჩვენი ახალგაზრდობა სამოცდაათი-ანებში, როდესაც იგი უკვე შეპყრობილი იყო ამ გადამდე-ბითი სენით, სულით და ხორ-ცით შეეთვისა რუსეთის ინტე-ლიგენციას. და აქ მანაც გამო-ააშკარავა ყოველივე ის, რაც დამახასიათებელია რუსეთის ინტელიგენციისა. ხოლო რამ-დენად იყო ეს ბუნებრივი, ე.ი. რამდენად ეგუებოდა ამგვარი ფსიხიური ვითარება ქართულ ეროვნულ ხასიათს, სხვა სა-კითხია. და სწორედ აქ იბადე-ბა ეჭვი, რომ საკუთარის ინი-ციატივითა, თავის საკუთარ ხალხში ახალგაზრდობა ანა-ლოგიურ მოქმედებას მოერი-დება. და მართლაც, ჩვენში ამ მხრით დიდი რამ არა მომხდა-რა რა. **მოუმწიფებლობაა ეგ, თუ ეროვნულ განსაკუთრე-ბულ ტემპერამენტის თვისე-ბის გამოაშკარავებაა, სწორ-ედ ეს პრობლემაა გასარკვე-ვი** და სწორედ ამ პრობლემის ნათელ საყოფად გამოვსთქ-ვით ჩვენ რამდენიმე ზემოდ აღნიშნული მოსაზრება“.

**მოუმწიფებლობა...**

იქნებ დღესაც ეს არის ჩვენი პრობლემების თავიდათავი?!

იქნებ უმწიფარი ხელისუფ-ალნი ქმნიან დაბრკოლებებს სახელმწიფოს წინსვლის გზა-ზე?!

საზოგადოებამ თავიდანვე კარგად დაინახა „ქართული ოცნების“ ხელისუფლების სი-სუსტე, როცა რეალური დამ-ნაშავეების, „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლე-ბის, რეალურად დასჯის პრე-ცედენტი სახეზე ჰქონდა, მაგ-რამ მაშინ ამას სისუსტე არ და-არქვა, წყალწაღებულივით ხავსს ჩაეჭიდა: ალბათ, ასეა სა-ჭიროო. მაშინ საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი ელო-და, რომ ბიძინა ივანიშვილი თავის მილიარდებს ხალხს და-ურიგებდა, მაგრამ, სამწუხარ-ოდ, არც ერთ მათგანს აზრად არ მოსვლია, რატომ, რა დამ-სახურებისთვის უნდა დაერი-გებინა მათთვის საკუთარი ფული ოლიგარქს. ასევე ცოტა ვინმეს თუ მოსვლია აზრად, რომ მის მიერვე არჩეული ახა-ლი ხელისუფლებისათვის მო-ეთხოვა იმ მილიონებისა და თუ მილიარდების დაბრუნება, რო-მელიც მათი ჯიბიდან წინა ხე-ლისუფლებამ ამოიღო. მეტიც: საზოგადოებამ რეჟიმს აპატია ახალგაზრდა ბიჭების ქუჩაში დახოცვა, საკუთრების უფლე-ბის უხეში ხელყოფა, ადამია-ნის უფლებების ფეხქვეშ გა-თელვა, უდანაშაულო ადამია-ნების ცხრაკლიტულში გამო-კეტვა, პროტესტის ნიშნად ქუ-ჩაში გამოსული ხალხის მი-მართ სისხლიანი სპეცოპერა-ციების ჩატარება, განსხვავე-ბული აზრის მქონე ხალხის მო-ღალატეებად გამოცხადება ან, უარეს შემთხევაში, ქუჩაში მოკვლა და შემდეგ მათი გვა-მების მაღაზიის თავზე შემო-წყობა, შედეგად კი მიიღო და-მონებული მდგომარეობა და დაჩაჩანაკებული ეროვნული სული.

სამწუხაროდ, ამით კიდევ ერთხელ დასტურდება ჩვენი სახელმწიფოებრივად აზროვ-ნების დაბალი დონე და საზო-გადოების უმწიფრობა და ინ-დეფერენტულობა საქვეყნო საქმეების მიმართ.

ყველა ხალხი იმსახურებს იმ ხელისუფლებას, რომელიც ჰყავს!

და ეს ხდება, ერთი მხრივ — ადამიანში გამჯდარი შიშის, მედროვეობის, მლიქვნელო-ბის, უდარდელი გულგრილო-ბის, მოჭარბებული „მონური“ საწყისების და, მეორე მხრივ — ღირსების გრძნობის, საკუ-თარი უფლებებისა და მოვა-ლეობების ცოდნის, განათლე-ბის, სამოქალაქო თვითშეგნე-ბის სიმწირის გამო. ეს ქართუ-ლი სენია.

სწორედ ამაზე ამბობდა არ-ჩილ ჯორჯაძე: „მოუმწიფებ-ლობაა ეგ თუ ეროვნულ განსა-კუთრებულ ტემპერამენტის თვისების გამოაშკარავებაა, სწორედ ეს პრობლემაა გასარ-კვევიო“. ფორმულა, რომ ძა-ლაუფლება რყვნის, ხოლო აბ-სოლუტური ძალაუფლება აბ-სოლუტურად რყვნის, ათეუ-ლობით საუკუნის წინანდელია და ძალაში იქნება მანამ, სანამ კაცობრიობა იარსებებს. ერი კი, რომელიც მზადაა, ხელი-სუფლებას აბსოლუტური და უკონტროლო ძალაუფლება ჩაუგდოს ხელთ, მუდამ განწი-რული იქნება.

გვაქვს თუ არა იმის გარან-ტია, რომ „ქართული ოცნებ-ის“ შემდეგ მოსული ხელისუ-ფლება იმ ცდუნებას გაუძლ-ებს, რასაც მისმა წინამორბე-დებმა ვერ გაუძლო?

სწორედ ესაა საფრთხე და პრობლემა, რაზეც უწმინდესი არა ერთხელ გვაფრთხილებ-და, როცა ერში ანალიტიკური აზროვნების სიმწირესა და მი-სი გაღრმავების აუცილებლო-ბაზე საუბრობდა.



როცა ხალხის მოთმინების ფიალა ივსება...



«ქართველი ინტელიგენტი არსებითად საამქვეყნო კაცია, მისი სიცოცხლის ფესვები აი ამ მიწაშია ჩაფლული, რომელზედაც დგას, მას უყვარს მზე, ლაყბობა, ოხუნჯობა, იგი გულ-უბრყვილოა, მაგრამ თავს არ ივიწყებს. მას მეტად უყვარს თავისი ხორცი, თავისი კეთილდღეობა. ამიტომ არის იგი ხშირად ფარისეველი, როდესაც სასწორზე «პირადი» და «საზოგადო» იწონება. მას არ უნდა გახსნას და გააქარწყლოს თავისი პირადობა «კრებულობითი დასაწყისში» — ღმერთია იგი თუ საზოგადო, სახალხო საქმე»

რუბრიკას უძღვება **დარეჯან ანდრიაძე**

საფინანსო სისტემის ცვლილებები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მსოფლიო ბანკის პროგნოზით, დოლარი ველარ შეასრულებს მთავარ როლს მსოფლიოს საფინანსო სისტემაში. მას შეცვლის სამი ვალუტისგან — ევროს, დოლარისა და იუანისგან — შემდგარი სისტემა. უნდა აღინიშნოს, რომ დოლარმა, როგორც მსოფლიოს სარეზერვო ვალუტამ, 1944 წელს შეცვალა ბრიტანული გირვანქა სტერლინგი. ბრიტანეთმა უამრავი ვალი დააგროვა და გირვანქა სტერლინგი დაეცა. დღეს აშშ-ის ვალმა უკვე გადააჭარბა 20 ტრილიონ დოლარს და ეს ვალი განუხრელად იმატებს, ფულის საბეჭდი მანქანა კი კვლავაც მუშაობს.**

# დოლარს განაჩენი გამოუტანეს

## მსოფლიო ბანკის ექსპერტების შეფასებით, დოლარი მსოფლიოს სარეზერვო ვალუტის სტატუსს მალე დაკარგავს

**აგრესიულმა საგარეო-ეკონომიკურმა პოლიტიკამ და აშშ-ის უზარმაზარმა საგარეო ვალმა გამოიწვია ის, რომ მსოფლიოში დაიწყო დედოლარიზაციის პროცესი და მისი შეჩერება უკვე შეუძლებელია. ასეთია მსოფლიოს ბანკის ექსპერტების დასკვნა. ეკონომისტები გვარწმუნებენ, რომ უახლესი 10 წლის განმავლობაში საერთაშორისო საფინანსო სისტემა მკვეთრად შეიცვლება.**



### ჩინური მიდგომა

ამჟამად მსოფლიოს ვაჭრობაში გარიგებების 70% დოლარზე მოდის, ევროზე — 20%, დანარჩენ 10%-ს იყოფს აზიური ვალუტები, კერძოდ, ჩინური და იაპონური.

ამა წლის მარტში ჩინეთმა მძლავრად დაარტყა დოლარს ენერგომატარებლების გლობალურ ბაზარზე, როცა ვაჭრობა გახსნა სანავთობე ფიუჩერსებით იუანზე. 1993 წელს პეკინი ანალოგიური რამის გაკეთებას ცდილობდა, მაგრამ წარუმატებლად. ამჟამად კი იუანი მნიშვნელობით მესამე ვალუტაა საერთაშორისო სავალუტო ფონდის კალათაში. და პეკინის მეორე მცდელობა წარმატებით დასრულდა. ჩინეთი ემზადება შემდეგი ნაბიჯისთვის — სურს, **ნავთობით მომარაგების საფასური ეროვნული ვალუტით გადაიხადოს.**

ნედლეულით ვაჭრობისას ჯერჯერობით იყენებენ დოლარს, მაგრამ იუანს შეუძლია, ის გამოდევნოს მსოფლიოს სანავთობე ბაზრებიდან. ეკონომისტების შეფასებით, ეს უახლოეს 10-15 წელიწადში შეიძლება მოხდეს და აქ ლაპარაკი არ არის მხოლოდ ნახშირწყლებზე: **დიდ ფინანსურ პარტნიორებთან ორმხრივ სავაჭრო ურთიერთობებში მოსკოვი და პეკინი სულ უფრო ნაკლებ ადგილს უტოვებენ დოლარს.** შარშან ჩინეთის წილმა რუსეთის საერთაშორისო ვაჭრობაში 15% შეადგინა. 2018-ში, პროგნოზების მიხედვით, ეს მაჩვენებელი 17%-მდე მოიმატებს. დოლარის როლი კი შესუსტდება.

### ირანმა დოლარი დაბლოკა

**აპრილში თეირანმა უარი განაცხადა ამერიკულ ვალუტაზე და ყველა საერთაშორისო ანგარიში ევროზე გადაიყვანა. ვაშინგტონმა ირანს ახალი სანქციები დაუწესა, მაგრამ ევროპა უარს არ ამბობს ირანულ ნავთობზე და გარიგებები ხორციელდება ევროში.**

შავ ოქროში ირანს ევროს უხდის **ინდოეთი**, რომლის ეკონომიკაც სწრაფად იზრდება და, შესაბამისად, იზრდება მოთხოვნა ნავთობპროდუქტებზე.

დოლარზე უარის თქმას გეგმავს **თურქეთიც**, რომელიც ირანთან ანგარიშსწორებას ეროვნული ვალუტით ეწევა.

გამორიცხული არ არის, რომ ამ ქვეყნებს შეუერთდება რუსეთიც. ამ ქვეყნის ენერგეტიკის მინისტრ **ალექსანდრე ნოვაკის** განცხადებით, მთავრობა განიხილავს ნავთობპროდუქტებზე ანგარიშსწორებას ეროვნულ ვალუტებში, დოლარის გვერდის ავლით, განსაკუთრებით, თურქეთთან და ირანთან.

### ოქროს მარაგი

პარალელურად, თურქეთი სულ უფრო მიისწრაფვის ამერიკისგან დამოუკიდებლობისკენ. ის მსოფლიო ბაზარზე განაგრძობს ოქროს შესყიდვას. შარშან თურქეთის ცენტრალურმა ბანკმა 187 ტონა ძვირფასი ლითონი შეისყიდა. ეს მეორე მაღალი მაჩვენებელია რუსეთის შემდეგ.

ამასთანავე, ანკარამ გამოიტანა აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემის საცავებში შენახული 27 ტ ოქროც; აგრეთვე, შვეიცარიისა და ინგლისის ბანკებში შენახული ძვირფასი ლითონები.

ანალოგიურად მოქმედებენ სხვა ქვეყნებიც. მაგალითად, **გერმანიამ** აშშ-დან წამოიღო 300 ტონა ოქრო, ნიდერლანდებიდან — დაახლოებით 100 ტ.

ფედერალური სარეზერვო სისტემიდან ოქროს გამოტანა, რაც 2014 წელს დაიწყო, დღესაც გრძელდება. მსოფლიო ცდილობს, აღარ იყოს დოლარზე დამოკიდებული.

საერთოდ, ოქროს ყველაზე დიდი მარაგი აშშ-ს აქვს — 8 ათასი ტონა, შემდეგ მოდის გერმანია — 3 ათასი ტონა, იტალიასა და საფრანგეთს 2,5-2,5 ტონა აქვთ, რუსეთი მეხუთე ადგილზეა — 1860ტ.

### კვარცხლბეკიდან ჩამოგდება

მსოფლიო ბანკის პროგნოზით, დოლარი ველარ შეასრულებს მთავარ როლს მსოფლიოს საფინანსო სისტემაში. მას შეცვლის სამი ვალუტისგან — ევროს, დოლარისა და იუანისგან — შემდგარი სისტემა.

უნდა აღინიშნოს, რომ დოლარმა, როგორც მსოფლიოს სარეზერვო ვალუტამ, 1944 წელს შეცვალა ბრიტანული გირვანქა სტერლინგი. ბრიტანეთმა უამრავი ვალი დააგროვა და გირვანქა სტერლინგი დაეცა.

**დღეს აშშ-ის ვალმა უკვე გადააჭარბა 20 ტრილიონ დოლარს და ეს ვალი განუხრელად იმატებს, ფულის საბეჭდი მანქანა კი კვლავაც მუშაობს.**

როგორც ცნობილმა ინვესტორმა **ჯიმ როჯერსმა** აღნიშნა პეტერბურგის საერთაშორისო ეკონომიკურ ფორუმზე, სწორედ ამიტომ ამერიკული ვალუტა სულ უფრო კარგავს მომხიბვლელობას ბაზარზე.

მოამზადა
**ნიკოლოზ აბაშიძემ**

**აპრილში თეირანმა უარი განაცხადა ამერიკულ ვალუტაზე და ყველა საერთაშორისო ანგარიში ევროზე გადაიყვანა. ვაშინგტონმა ირანს ახალი სანქციები დაუწესა, მაგრამ ევროპა უარს არ ამბობს ირანულ ნავთობზე და გარიგებები ხორციელდება ევროებში და არა დოლარებში. შავ ოქროში ირანს ევროებს უხდის ინდოეთი, რომლის ეკონომიკაც სწრაფად იზრდება და, შესაბამისად, იზრდება მოთხოვნა ნავთობპროდუქტებზე. დოლარზე უარის თქმას გეგმავს თურქეთიც, რომელიც ირანთან ანგარიშსწორებას ეროვნული ვალუტით ეწევა**





# ნავთობით ვაჭრობა დოლარიდან მულტივალუტურ შესყიდვაზე გადადის

**21-22 ივნისს ავსტრიის დედაქალაქ ვენაში გაიმართება ნავთობის მწარმოებელი ქვეყნების, ე.წ. OPEK+-ის შეკრება.**

წინასწარი ინფორმაციით, განხილვის მთავარი თემა იქნება ნავთობით საერთაშორისო ვაჭრობის გადაყვანა დოლარიდან მულტივალუტურ კალათაზე.

შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღის წინათ მოსკოვში გაიმართა რუსეთისა და საუდის არაბეთის დელეგაციების შეხვედრა, რომელზეც მხარეები შეთანხმდნენ, შექმნან ნავთობის გლობალური ბაზრის და ნავთობზე ფასწარმოქმნის კონტროლის მექანიზმები.




# რა არის გერმანიის შს მინისტრსა და ანგელა მერკელს შორის კონფლიქტის მიზეზი

**გერმანიის შს მინისტრმა, ბავარიის „ქრისტიანულ-სოციალური კავშირის“ თავმჯდომარე ჰორსტ ზეეხოფერმა კავშირის წევრებთან ბუნდესტაგში შეხვედრისას გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელთან მუშაობა ასე შეაფასა: „მეტი აღარ შემიძლია ამ ქალთან მუშაობა“.**

„ქრისტიანულ-სოციალურ კავშირსა“ და „ქრისტიანულ-დემოკრატიულ კავშირს“ შორის კონფლიქტი არალეგალური მიგრაციის პრობლემის გადაჭრას ეხება. ბავარიის „ქრისტიანულ-სოციალური კავშირი“ დაჟინებით ითხოვს, რომ დოკუმენტების გარეშე მიგრანტები ან ის პირები, რომლებსაც გერმანიაში თავშესაფარზე უარი ეთქვათ, გერმანიის საზღვრიდან გააბრუნონ. ჰორსტ ზეეჰოფერმა ანგელა მერკელს პრობლემის მოსაგვარებლად ორი კვირა მისცა. ახლა ევროკავშირის უახლოეს სამიტზე გერმანიის კანცლერმა პარტნიორ სახელმწიფოებთან მიგრაციულ კრიზისზე კომპრომისს უნდა მიაღწიოს.



**ისმის კითხვა: როცა აშშ და ევროპა უკანმოუხედავად არღვევენ საერთაშორისო ვაჭრობის წესებს მაშინ, როცა ეს მათ ხელს აძლევს, როგორ უნდა მოიქცეს საქართველო — მორჩილად დაუხაროს თავი ჩვენი დასავლელი „მეგობრების“ მოთხოვნა-მითითებებს თუ ჯერ აწონ-დაწონოს, ეს მოთხოვნები ჩვენთვის კარგია თუ ცუდი? გავიხსენოთ, რომ საქართველოს აწ უკვე ყოფილმა მთავრობამ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას ისე მოაწერა ხელი, რომ ტექსტი ქართულად ნათარგმნი და წაკითხულიც არ ჰქონდა.**

ფაქტები და არგუმენტები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# იტალია ბრიუსელის ჭკუაზე აღარ დადის



**იტალიის ახალი მთავრობის საქციელი, ფიცის დადებიდან უკვე ორი კვირის თავზე, იძლევა იმის ფიქრის საფუძველს, რომ ეს მთავრობა იტალიელებისთვის სასიხარულო და ევროჩინოვნიკებისთვის გულის გასახეთქად დაპირებებს აუცილებლად შეასრულებს.**

იტალიის ვიცეპრემიერმა **მატეო სალვინიმ** განკარგულება გასცა, დახურონ, იტალიის პორტებში არ შეუშვან გემი Aquarius-ი, რომელიც ხმელთაშუა ზღვაში გადარჩენილი 629 მიგრანტით ბორტზე სიცილიის ნაპირებისკენ მიემართებოდა.

გიბრალტარის დროშის ქვეშ მცურავი გემის ეკიპაჟი, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაცია SOS Mediterranee-ს ეკუთვნის, ბოლო დღეებში 6 სამაშველო ოპერაციაში მონაწილეობდა და ბორტზე აიყვანა 600-ზე მეტი ადამიანი, მათ შორის, 123 არასრულწლოვანი და 7 ფეხმძიმე. იტალიელები შეეცადნენ, მიგრანტების მიღების საპატიო მისია მალტისთვის გადაელოცათ, როგორც უფრო უსაფრთხო პორტისთვის, მაგრამ მალტამ კატეგორიული უარი განაცხადა შეთავაზებულ პატივზე...

ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების უმრავლესობა გაორებულ მდგომარეობაშია: ერთი მხრივ, ევროპაში წლიდან წლამდე იმატებს ევროსკეპტიკური განწყობილება, რაც აისახება ბევრ ქვეყანაში ჩატარებული პლებისციტის შედეგებზე. **ბრიუსელის (და ევროკავშირის წამყვანი ქვეყნების, უწინარესად, გერმანიის) მიმართ პრეტენზიები მრავალმხრივია და ეხება საკითხების ძალიან ფართო სპექტრს, რომლებშიც ქვეყნები იძულებულნი არიან, დათმონ ნაციონალური ინტერესები ზემოდან თავსმოხვეული დირექტივების სანაცვლოდ: ეს საკითხებია, მაგალითად, მიგრაციული პოლიტიკა და ანტირუსული სანქციები, ლაპარაკი აღარ არის უამრავ კვოტაზე, სუბსიდიების განაწილებასა და სხვა პრობლემებზე.**

მეორე მხრივ, ევროპის ქვეყნები ისე ღრმად არიან ჩაფლული საერთო სისტემაში, რომ ამ სისტემიდან თავის დაღწევის მცდელობა, თუნდაც საერთო წესებისადმი დაუმორჩილებლობა, ბევრისთვის სამწუხარო შედეგით დასრულდება.

მოცემულ მომენტში ბრიუსელი დიდი ბრიტანეთის მაგალითზე ყველას აჩვენებს, რა შეიძლება დაემართოს ურჩობისთვის, როდესაც ძალიან მძიმე და დამამცირებელი პირობებით წარმართავს დიალოგს ლონდონთან „ბრექსიტის“ თაობაზე. მანამდე კი იყო **საბერძნეთი**, რომელიც, უბრალოდ, მიწასთან გაასწორა ევროკავშირმა, ეროვნული რეფერენდუმის შედეგები კი კენჭისყრიდან 2 დღის შემდეგ თვითონ საბერძნეთის მთავრობას მოასროლინეს სანაგვეში.

ძალიან ცოტა ქვეყანას შეუძლია, თავს უფლება მისცეს, უგულებელყოს ბრიუსელის მითითებები და დაიცვას თავისი სუვერენიტეტი. ასეთია, მაგალითად, უნგრეთი ვიქტორ ორბანის მეთაურობით. აი **პოლონეთის თავნებობას კი, ჩანს, ბოლო მალე მოეღება: ბრიუსელმა მტკიცედ გადაწყვიტა, ვარშავას მკვეთრად შეუკვეცოს დაფინანსება.**

იტალია ახალი მთავრობის დანიშვნამდე ევროკავშირის სამაგალითი წევრი იყო, მისდამი ლოიალურობის მიხედვით. იგი ყოველთვის ერთგულებდა გაბატონებულ მეინსტრიმს, იმ შემთხვევაშიც კი, როცა ეს აშკარად ეწინააღმდეგებოდა იტალიის ნაციონალურ ინტერესებს. ახლა კი გემ Aguarius-ის ისტორიამ ყველას აშკარად დაანახვა, რომ იტალიის ახალი მთავრობა არა მხოლოდ ევროსკეპტიკოსების კომპანიაა, არამედ მოხერხებული პოლიტიკოსების ჯგუფიც.

იტალიის ხელისუფლებას ოფიციალურად რომ ეთქვა უარი ევროკავშირის პოლიტიკაზე მიგრანტების მიმართ (როგორც ეს გააკეთა უნგრეთმა), ეს ინიციატივა სამარცხვინოდ ჩაფლავდებოდა — ევროკავშირი **თავის რიგებში არ მოითმენდა რენეგატის ყოფნას,** მაგრამ რომი შემოიფარგლა ერთი შემთხვევით: უარი თქვა მიგრანტებით სავსე გემის მიღებაზე და **ევროპამ მიიღო ეროვნული ინტერესების დაცვის რეალური პრეცედენტი ქვეყნისგან, რომელიც ადრე ევროკავშირის მაღალჩინოსნების ყველა მითითებას უსიტყვოდ ასრულებდა.**

G7-ის სამიტის ჩაფლავებისა და **ტრამპისა** და **კიმ ჩენ ინის** შეხვედრის ფონზე მიგრანტების გემის არმიღების გამო ატეხილი სკანდალი თითქოს შეუმჩნეველია, მაგრამ ეს მოვლენები გლობალური და რეგიონული ტრანსფორმაციის ერთ სიბრტყეზე დევს. ისტორიული პროცესის ტენდენციები ხელს აძლევს იტალიის ახალ მთავრობას და არა ევროკავშირის მაღალჩინოსნებს.

**მოამზადა გიორგი გაჩეჩილაძემ**



**G7-ის სამიტის ჩაფლავებისა და ტრამპისა და კიმ ჩენ ინის შეხვედრის ფონზე მიგრანტების გემის არმიღების გამო ატეხილი სკანდალი თითქოს შეუმჩნეველია, მაგრამ ეს მოვლენები გლობალური და რეგიონული ტრანსფორმაციის ერთ სიბრტყეზე დევს. ისტორიული პროცესის ტენდენციები ხელს აძლევს იტალიის ახალ მთავრობას და არა ევროკავშირის მაღალჩინოსნებს**




# მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციამ ჭირი მოგვჭამა?

**14 ივნისს ბრიუსელში შეკრებილმა ევროკავშირის ქვეყნებმა ერთხმად გადაწყვიტეს, აშშ-ის მიერ ფოლადსა და ალუმინზე შემოღებული საბაჟო გადასახადების საპასუხოდ გადასახადები დააწესონ აშშ-ის პროდუქციაზე. გადასახადები შეეხება რამდენიმე ათეული დასახელების პროდუქტს, როგორიცაა სასოფლო-სამეურნეო, კვების, მეტალურგიის პროდუქტები, ტანსაცმელი და ა.შ. ამ გადაწყვეტილებას ევროკომისია მალე დაამტკიცებს და თვის ბოლომდე აამოქმედებს. აქ მთავარი არის ის, რომ, როგორც აშშ-ის, ისე ევროკავშირის მოქმედებები პირდაპირ ეწინააღმდეგება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის რეგულაციებს.**

ისმის კითხვა: როცა აშშ და ევროპა უკანმოუხედავად არღვევენ საერთაშორისო ვაჭრობის წესებს, როცა ეს მათ ხელს აძლევთ, როგორ უნდა მოიქცეს საქართველო — მორჩილად დავუხაროთ თავი ჩვენი დასავლელი „მეგობრების“ მოთხოვნა-მითითებებს, თუ ჯერ ავწონ-დავწონოთ, ეს მოთხოვნები ჩვენთვის კარგია თუ ცუდი? გავიხსენოთ, **რომ საქართველოს აწ უკვე ყოფილმა მთავრობამ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას ისე მოაწერა ხელი, რომ ტექსტი ქართულად ნათარგმნი და წაკითხულიც არ ჰქონდა.**

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი: მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია, საერთაშორისო სავალუტო ფონდსა და მსოფლიო ბანკთან ერთად, ერთ-ერთია იმ სამი ვეშაპიდან, რომლებზეც დღევანდელი მსოფლიო საბანკო-საფინანსო და მათგან გამომდინარე ეკონომიკური წესრიგი (პოლიტიკურიც) დგას, ალბათ, უკვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ იდგა. გაეროზე არაფერს აღარ ვამბობთ, მას, დიდი ხანია, აღარ უწევენ ანგარიშს არც ამერიკა და არც ევროპა, გაეროს ტრიბუნას მხოლოდ ანტირუსული პროპაგანდისთვის იყენებენ. ახლა ჯერი ეკონომიკური ინსტიტუტების იგნორირებაზე მიდგა.

ისევ ჩვენს მთავრობას ვუბრუნდებით და ვსვამთ კითხვებს: აღარ დადგა დრო, თავი დავანებოთ უპირობო სწორებას აშშ-ზე, ევროკავშირსა და იმ საერთაშორისო ორგანიზაციებზე, რომლებსაც თვითონ მათივე შემქნელებიც აღარ უწევენ ანგარიშს? მიმოვიხედოთ გარშემო, მსოფლიო თვალსა და ხელს შუა იცვლება, იქნებ რაიმე ახალი დავინახოთ?

მაინცდამაინც წარსულში უნდა ჩავრჩეთ?

**გიორგი გავაშელი**

**ისევ ჩვენს მთავრობას ვუბრუნდებით და ვსვამთ კითხვებს: აღარ დადგა დრო, თავი დავანებოთ უპირობო სწორებას აშშ-ზე, ევროკავშირსა და იმ საერთაშორისო ორგანიზაციებზე, რომლებსაც თვითონ მათივე შემქნელებიც აღარ უწევენ ანგარიშს? მიმოვიხედოთ გარშემო, მსოფლიო თვალსა და ხელს შუა იცვლება, იქნებ რაიმე ახალი დავინახოთ? მაინცდამაინც წარსულში უნდა ჩავრჩეთ?**

ახალი ტენდენციები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ყველაფრის გადაბრალება „კრემლის ჩარევისთვის“ არასერიოზულია, უფრო გავლენიანი ფაქტორია არა მარგინალების ძალა, არამედ ტრადიციული პოლიტიკური მიმდინარეობის სისუსტე, ევროსკეპტიკოსები იმარჯვებენ იმიტომ, რომ მათ ლიდერებს აქვთ არსებული პრობლემების მოგვარების ბერკეტები, იმ პრობლემების, რომლებშიც მათ ქვეყნებს ევროკავშირმა შეუქმნა და ეს ყველაფერი ამომრჩეველს ყელში ამოუვიდა. და ეს არ არის დროებითი პრობლემა“.**

# ევროპას ანტიდასავლური და პროპუტინური განწყობა მოედო და ამაში დამნაშავე თვითონ დასავლეთია

**დასავლეთის ეგოისტურმა პოლიტიკამ მიგრაციისა და უსაფრთხოების სფეროებში გამოიწვია ის, რომ აღმოსავლეთი ევროპა ანტიდასავლურმა და პროპუტინურმა განწყობებმა მოიცვა. ეს კი აისახა რიგ ქვეყნებში ევროსკეპტიკოსების გამარჯვებაში, — წერს ბრიტანელი მწერალი ედვარდ ლუკასი The Times-ში.**



მწერლის აზრით, ამ მხრივ, მთავარი პრობლემა არის არა „კრემლის ჩარევა“ და ევროსკეპტისოები, არამედ ტრადიციული პოლიტიკური სპექტრის სისუსტე.

**„ევროპა ერთიანია, თავისუფალია და ცხოვრობს მშვიდობით — ასე იქნება მომავალშიც. ასე მიიჩნევდნენ 2004 წლამდე, როცა პოლიტიკასა და ისტორიას, თითქოს ბოლო მოეღო. ათობით ქვეყანაში — ბალტიისპირეთიდან ადრიატიკისა და შავი ზღვის ქვეყნებამდე თანხმობა სუფევდა, ევროპული ფასეულობების მიღებას სთავაზობდნენ, როგორც უალტერნატივო გზას ინტეგრაციისკენ, აყვავებასა და უსაფრთხოებისკენ“,** — იხსენებს სტატიაში მწერალი ედვარდ ლუკასი.

არავის შეეძლო ამისთვის ხელის შეშლა, ვლადიმერ პუტინის რუსეთი ჯერ კიდევ არ იყო გამოსული 1990-იანი წლების ქაოსიდან. ის შეეგუა ნატოსა და ევროკავშირის გაფართოებას ორ ეტაპად და, როგორც ჩანდა, შეეგუებოდა კიდევ ერთხელ. ამ ორგანიზაციების ახალი და პოტენციური წევრები ენთუზიაზმითა და მადლიერებით იყვნენ სავსე და სრულ მოჩრილებას ამჟღავნებდნენ.

გეგმა უზადო ჩანდა.

**„ზარალის დიდი ნაწილი ჩვენი ბრალია. ერაყსა და ავღანეთში ჩაფლავებამ გამოიწვია ის, რომ ამერიკული საერთაშორისო უსაფრთხოების წესრიგი ქედმაღლური და არც ისე საიმედო გამოჩნდა. პოლონეთის მსგავსი ქვეყნები, რომლებმაც ბევრი მსხვერპლი გაიღეს იმ ომებში, რომლებშიც სხვის ინტერესებს იცავდნენ, მიხვდნენ, რომ ისინი მოატყუეს და გამოიყენეს“**, — იხსენებს ავტორი.

მეორე მხრივ, 2008 წლის ფინანსური კრიზისის გამო მსოფლიოს ეკონომიკური წესრიგის დამცველები სუსტ ეგოისტებად გამოჩნდნენ. **სლოვაკეთის** მსგავსი პოსტკომუნისტური ქვეყნები, რომლებსაც დაფინანსება სჭირდებოდათ, სვამდნენ კითხვას: რატომ უწევდათ მათ არაკეთილსინდისიერი და ჭირვეული ბერძნების გამო თანხების გადახდა?

მესამე — 2015 წლის მიგრაციულმა კრიზისმა გააღვივა ქსენოფობია: პოსტკომუნისტურ ევროპაში ნაციონალური იდენტურობა ფასეულ და სათუთ „საგნად“ ითვლებოდა, **„საბჭოთა ოკუპაციაგამოვლილ“ ამ სახელმწიფოებში არავის სურდა, მოესმინა უცხოელებისთვის, რომლებსაც უნდოდათ, მათი იდენტურობა დაესაჭურისებინათ მასობრივი მიგრაციის გზით.**

ამ ქვეყნებში ბევრი ადამიანი მასობრივ მიგრაციას აფასებს, როგორც კრახს, რომლის მიზეზითაც შეიქმნა პარალელური საზოგადოებები. ეს საზოგადოებები კი კიდევ უფრო აძლიერებენ სოციალურ დაძაბულობას და ხელს უწყობენ ტერორისტების გაჩენას.

2015 წელს პოლონეთის მმართველი პარტიის ლიდერმა **იაროსლავ კაჩინსკიმ** განაცხადა, რომ მიგრანტებს „საშიში დაავადებები“ გადააქვთ.

ეს შიში ღრმავდება კონტროლის დაკარგვის განცდის გამოც. **არავის უკითხავს აზრი ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისთვის, როცა გერმანიამ ფართოდ გაუღო კარი იმას, რასაც ეს ქვეყნები უკონტროლო მიგრაციას უწოდებენ. ამ ქვეყნებს კატეგორიული ფორმით განუცხადეს, რომ მათაც მოუწევთ მიგრანტების მიღება.**

> **«ერაყსა და ავღანეთში ჩაფლავებამ გამოიწვია ის, რომ ამერიკული საერთაშორისო უსაფრთხოების წესრიგი ქედმაღლური და არც ისე საიმედო გამოჩნდა. ქვეყნები, რომლებმაც ბევრი მსხვერპლი გაიღეს იმ ომებში, რომლებშიც სხვის ინტერესებს იცავდნენ, მიხვდნენ, რომ ისინი მოატყუეს და გამოიყენეს»**

შედეგად, **უნგრეთმა** უარი განაცხადა ბრიუსელის მიერ დაწესებული კვოტებით მიგრანტების მიღებაზე, თავის სამხრეთ საზღვართან კი ბარიერი ააგო. მიუხედავად იმისა, რომ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში შედარებით ნაკლები მიგრანტი შევიდა, პოლიტიკურ ჭრილში შედეგი მაინც დამანგრეველი აღმოჩნდა. **იტალიაც** ხვდება, რომ მას არაკორექტულად მოეპყრნენ: ამ ქვეყანაში ჩერდებიან მიგრანტები, რომლებსაც შემდეგ ხმელთაშუა ზღვის გადაკვეთა და ცენტრალური და დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში შესვლა სურთ.

**„ამ ყველაფერმა გამოიწვია ის, რომ ადრე მარგინალურმა იდეებმა პოპულარობა მოიხვეჭა. შესაძლებელი შეიქნა ნატოს გაკრიტიკება და მისთვის აგრესიული ბლოკისა და ძვირადღირებული შანტაჟისტის სახელის დარქმევა“,** — აღნიშნავს მწერალი და დასძენს, რომ ბრიუსელის ყველა პოლიტიკური ნაბიჯი აღიქმებოდა, როგორც უცხოელთა მცდელობა, ხალხებისთვის თავისი ნება მოეხვია თავს.

„პუტინის რეჟიმის“ პერიოდში აღორძინებულმა რუსეთმა კი დაიწყო ამით სარგებლობა. მან დიდი უკმაყოფილება გამოხატა თავისი ყოფილი იმპერიის სიღრმეში დასავლეთის ექსპანსიის გამო.

**კრემლი, როგორც კი იყნოსა, რომ ევროკავშირი გადაჭარბებით აფასებდა თავის ძალებს, შეტევაზე გადავიდა. იმ ქვეყნებში, რომლებშიც ევროკავშირი და ნატო უდიდესი მხარდაჭერით სარგებლობდნენ, კოლოსალური ძვრები მოხდა არა მათ სასარგებლოდ.** უნგრეთი არასოდეს ყოფილა ნატოსა და ევროკავშირის მეხოტბე და სკეპტიციზმით ადევნებდა თვალს პუტინის რუსეთსაც.

„მე მახსოვს **ვიქტორ ორბანი**, როგორც ახალგაზრდა პროდასავლელი დისიდენტი, — აღიარებს ავტორი, — ამჟამად კი მან დახია თავისი ძველი წესების კრებული და დაწერა ახალი იმაზე, რასაც უწოდებს „არალიბერალურ დემოკრატიას“. ანალოგიური რამ მოხდა მეზობელ **სლოვენიაშიც**, სადაც მიგრანტების საწინააღმდეგოდ განწყობილი **იანეშ იანშის** დემოკრატიული პარტია მთავრობის ჩამოყალიბებას არჩევნების შედეგების მიხედვით აპირებს.

ჩეხეთის პრეზიდენტი **მილოშ ზემანი** რეგიონული პოპულისტი პოლიტიკოსებიდან ერთ-ერთია, რომელიც მხარს უჭერს რუსეთის პოლიტიკას.

მეზობელ სლოვაკეთში მთავრობა გამოვიდა რუსეთისთვის სანქციების დაწესების წინააღმდეგ, ამასთანავე, უარი თქვა რუსი დიპლომატების გაძევებაზე სოლსბერიში მომხდარი ინციდენტის გამო (სკრიპალების საქმე).

**გამოცანად რჩება პოლონეთი. მმართველი პარტია „უფლება და სამართლიანობა“ რუსეთის წინააღმდეგ არის განწყობილი. ამას გარდა, ვარშავას სურს, თავის ტერიტორიაზე განალაგოს ამერიკული სამხედრო ბაზები, რაც მოსკოვის გაღიზიანებას იწვევს, თუმცა სხვა საკითხებში პოლონეთის მთავრობის მოქმედება ხელს აძლევს კრემლს. კერძოდ, პოლონეთის მთავრობამ დაუშვა უკრაინასთან ოდესღაც კარგი ურთიერთობის მკვეთრად გაუარესება.**

ანტიდასავლურმა და პროპუტინურმა განწყობებმა მოიცვა არა მხოლოდ ყოფილი საბჭოთა იმპერია, — განაგრძნობს მწერალი, — თავისუფლების ავსტრიულ მემარჯვენე პარტიას, რომელიც ახლა წარმოდგენილია მთავრობაში, სურს, სანქციები მოუხსნას რუსეთს.

კრემლის ყველაზე დიდი მონაპოვარი არის იტალიაში ჩრდილოეთის ლიგისა და მოძრაობა „ხუთი ვარსკვლავის“ გამარჯვება. მათაც სურთ, გააუქმონ რუსეთს სანქციები, რითაც ძალიან გაურთულებენ ცხოვრებას **ემანუელ მაკრონისა** და **ანგელა მერკელის** „ფრანგულ-გერმანულ“ ღერძს, რომელსაც რუსეთზე ზემოქმედების გაგრძელება სურს.

„ყველაფრის მიუხედავად, — წერს ავტორი, — ყველაფრის გადაბრალება „კრემლის ჩარევისთვის“, არასერიოზულია, უფრო გავლენიანი ფაქტორია არა მარგინალების ძალა, არამედ ტრადიციული პოლიტიკური მიმდინარეობის სისუსტე. ევროსკეპტიკოსები იმარჯვებენ იმიტომ, რომ მათ ლიდერებს აქვთ არსებული პრობლემების მოგვარების ბერკეტები, იმ პრობლემების, რომლებშიც მათ ქვეყნებს ევროკავშირმა შეუქმნა და ეს ყველაფერი ამომრჩეველს ყელში ამოუვიდა. და ეს არ არის დროებითი პრობლემა“.

**მოამზადა**
**დავით ბერიძემ**

# დონალდ ტრამპი: ჩვენი ქვეყნის ყველაზე დიდი მტერი «ფეიკ ნიუს» მედიაა, რომელსაც სულელები უწევენ პროპაგანდას



**ჩვენი ქვეყნის ყველაზე დიდი მტერი „ფეიკ ნიუს“ მედიაა, რომელსაც სულელები უწევენ პროპაგანდას — ასე გამოეხმაურა აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი ამერიკული მედიის მიერ 12 ივნისს სინგაპურში გამართული შეხვედრის გაშუქებას, რომელიც ტრამპსა და ჩრდილოეთ კორეის ლიდერს შორის შედგა.**

„სასაცილოა „ფეიკ ნიუს“ მედიაზე თვალის მიდევნება, ეს განსაკუთრებით ეხება NBC-სა და CNN-ს. ძალიან ცდილობენ, ნაკლებად მნიშვნელოვნად წარმოაჩინონ ის შეთანხმება, რომელსაც ჩრდილოეთ კორეასთან მივაღწიეთ. 500 დღის წინათ ისინი ხვეწნასა და მუდარას დაიწყებდნენ, რომ ეს შეთანხმება შემდგარიყო, ვინაიდან ომის გაჩაღება იყო მოსალოდნელი. ჩვენი ქვეყნის ყველაზე დიდი მტერი „ფეიკ ნიუს“ მედიაა, რომელსაც სულელები უწევენ პროპაგანდას“, — დაწერა დონალდ ტრამპმა „ტვიტერის“ საკუთარ გვერდზე.

თუ დემოკრატიის აკვნად წოდებული აშშ-ის მთავარი მტერი, როგორც ამას ამ ქვეყნის პრეზიდენტი ამბობს, არის „ფეიკ ნიუს“ მედია, ხომ წარმოგიდგენიათ, ვინ არიან საქართველოსთვის დასავლეთის მიერ გულუხვად დაფინანსებული ტელევიზიები...

**ინგლისელი ეკონომისტი და სოციოლოგი ბენჯამენ კიდი თავის წიგნში „სოციალური ევოლუცია“ წერს: „არსად და არასდროს არ ჩამოყალიბებულა სახელმწიფო სხვა ტომების დაპყრობისა და დამორჩილების გარეშე“. „ანგლოსაქსონური რასა სხვებზე სრულყოფილია, რაც ხსნის და ამართლებს ამ რასის ბატონობას მსოფლიოზე“. „მონობა ყველაზე ბუნებრივი და ერთ-ერთი გონივრული წესია“.**

სისხლისმსმელი იმპერია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ინგლისი — დასავლური პარაზიტული და კაციჭამიური ცივილიზაციის მაგალითი

**დღეს მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაგეკისრებათ, თუკი ეჭვს შეიტანთ ფაშისტური გერმანიის მიერ ჩადენილ მხეცობებში, მაგრამ არის ქვეყანა, რომელიც სასტიკი დანაშაულებით, მხეცობებით სულაც არ ჩამოუვარდებოდა ფაშისტურ გერმანიას, ასეთი იყო ის ჰიტლერის გამოჩენამდე, ასეთია ამჟამადაც.**



აი ასეთი „კეთილდღეობა“ შეჰქონდათ ინგლისელებს თავიანთ კოლონიებში (XIX საუკუნის ფოტო)

## ფაშისტები ბრიტანელებმა გამოზარდეს

იყო დრო, ბრიტანეთის იმპერიის თავზე მზე არასდროს ჩადიოდა — ისეთი დიდი იყო. ყველაზე ამაყი არისტოკრატია, ყველაზე ძლევამოსილი ფლოტი, ყველაზე მდიდარი ხაზინა. ახლა კი ოდესღაც დიადი სახელმწიფო თავის ყოფილ კოლონიებს ემლიქვნელება. როგორი დაცემაა!

სხვათა შორის, ინგლისელები ამჯობინებენ, თავიანთი წარსული აღიქვან, როგორც ულევი სიკეთე, კეთილდღეობა, რომელიც მათ საუკუნეების განმავლობაში მოჰქონდათ კაცობრიობისთვის.

„მხოლოდ მე, ინგლისელთა მსგავსად, მეყოფა სიმკაცრე და სისასტიკე მიზნის მისაღწევად“, — თქვა **ადოლფ ჰიტლერმა** 1938 წელს სხვა ხალხების მასობრივი ხოცვა-ჟლეტის დაწყებამდე. ასეა, ჰიტლერს ჰყავდა ღირსეული მასწავლებლები...

ე.წ. მეცნიერება **ევგენიკა** — ერთი რასის უპირატესობის შესახებ მეორეზე — ინგლისში გაჩნდა. ის გამოიგონა **ფრენსის გალტონმა, ჩარლზ დარვინის** ბიძაშვილმა. გალტონი ამტკიცებდა, რომ ზანგების უმრავლესობა ჭკუასუსტია.

ჰიტლერის თანამედროვე, ბრიტანელი პოეტი **ალფრედ ნოისი** ინგლისელებს ღმერთის რჩეულ ხალხს უწოდებდა, ამასთანავე, მიიჩნევდა, რომ **„კელტები და რუსები, რომლებსაც სძულთ შრომა და წესრიგი, კაცობრიობის დაბალ საფეხურზე დგანან“.**

ინგლისელი ეკონომისტი და სოციოლოგი **ბენჯამენ კიდი** თავის წიგნში „სოციალური ევოლუცია“ წერს: **„არსად და არასდროს არ ჩამოყალიბებულა სახელმწიფო სხვა ტომების დაპყრობისა და დამორჩილების გარეშე“. „ანგლოსაქსონური რასა სხვებზე სრულყოფილია, რაც ხსნის და ამართლებს ამ რასის ბატონობას მსოფლიოზე“. „მონობა ყველაზე ბუნებრივი და ერთ-ერთი გონივრული წესია“.**

სწორედ ბენჯამინ კიდისგან გადმოიღო „ბუნებრივი არჩევის იდეა“ ჰიტლერის იდეოლოგმა **ალფრედ როზენბერგმა.**

გერმანული ფაშიზმის ჩამოყალიბებაზე უზარმაზარი გავლენა იქონია ევგენიკის ყოფილმა პროფესორმა **კარლ პირსონმა.** აი ამ ბნელეთის მოციქულის ერთ-ერთი გამონათქვამი:

**„ისტორია გვაჩვენებს, რომ არსებობს მხოლოდ ერთი გზა, ერთი და მხოლოდ ერთი, რომლითაც შეიძლება აღმოცენდეს მაღალგანვითარებული ცივილიზაცია — ეს არის რასის ბრძოლა რასის წინააღმდეგ — და გადარჩენა რასისა, უფრო ნიჭიერის, როგორც ფიზიკური, ისე სულიერი მიმართულებით“.**

## მილიონობით გვამი

და მაინც, მთავარი — ეს არის სიხარბე. 1600 წელს **ელისაბედ I**-ის განკარგულებით, შეიქმნა ბრიტანეთის ოსტ-ინდური კომპანია. ეს, არსით, იყო ოლიგარქულ-ბანდიტური დაჯგუფება, რომელსაც აფინანსებდნენ ინგლისელი მაგნატები უცხო ტერიტორიების დასაპყრობად.

კომპანიაში, თავდაპირველად, იყო 125 აქციონერი, კაპიტალი კი 72 ათას გირვანქა სტერლინგს შეადგენდა. ამ შორსმჭვრეტელი ბატონების მემკვიდრეები იმპერიაში უდიდრესი ადამიანები გახდნენ.

ცნობილი ამერიკელი ისტორიკოსის, ბრუკს ადამსის, გამოთვლების მიხედვით, **XVIII საუკუნეში ინდოეთის დაპყრობის შემდეგ პირველი 15 წლის განმავლობაში ბრიტანელებმა ბენგალიიდან გაიტანეს 1 მლრდ გირვანქა სტერლინგის ფასეულობები.** დამპყრობლები ადგილობრივი ვაჭრობის მონოპოლიზების შემდეგ მკვეთრად უმატებდნენ გადასახადებს. ასიათასობით ბენგალიელი მეწარმე ვალდებული იყო, თავისი პროდუქცია მინიმალურ ფასად დაეთმო კომპანიისთვის. მათ, ვინც გაჯიუტდებოდა, ბრიტანელები სასტიკად აწამებდნენ.

აი რა განაცხადა თემთა პალატაში ბრიტანელმა პოლიტიკოსმა **ედმუნდ ბეროკმა:** „ბავშვებს სასტიკად სცემდნენ მშობლების თვალწინ. მამა-შვილს ერთმანეთზე აბამდნენ სახით და როზგავდნენ ისე, რომ, თუ მამა დარტყმებს აიცილებდა, შვილს მოხვდებოდა. გლეხები ტოვებდნენ მინდვრებს. ყველა გაიქცეოდა, რომ არა გზაზე დაყენებული ჯარისკაცების რაზმები, რომლებიც იჭერდნენ და უკან აბრუნებდნენ ამ უბედურებს“.

**ამის შედეგი იყო საშინელი შიმშილობა 1769-1770 წლებში, რომლის დროსაც 10 მლნ-მდე ინდოელი დაიღუპა. უბედურება განმეორდა 1780-1790-იან წლებში — შიმშილმა კიდევ რამდენიმე მილიონს მოუსწრაფა სიცოცხლე.**

ჯამში, ოსტ-ინდური კომპანიის „საგანმანათლებლო“ მოღვაწეობის შედეგად 40 მლნ ინდოელი დაიღუპა, მაგრამ დასავლეთში აქამდე რატომღაც არავის დაუდანაშაულებია ინგლისელები „გოლოდომორის“ (შიმშილით გენოციდი) მოწყობაში.

«მხოლოდ მე, ინგლისელთა მსგავსად, მეყოფა სიმკაცრე და სისასტიკე მიზნის მისაღწევად», — თქვა ადოლფ ჰიტლერმა 1938 წელს სხვა ხალხების მასობრივი ხოცვა-ჟლეტის დაწყებამდე. ასეა, ჰიტლერს ჰყავდა ღირსეული მასწავლებლები...



ბრიტანეთის პრემიერმინისტრის — ნევილ ჩემბერლენის თამაშმა ჰიტლერთან მეორე მსოფლიო ომის დაწყება გამოიწვია

## ყურების მოჭრა

ვიღაცამ შეიძლება თქვას: „რაც მოხდა — მოხდა, ეს ყველაფერი საუკუნეების წინათ იყო“, მაგრამ ბრიტანელებმა თავი გამოიჩინეს XX საუკუნეშიც.

აი რას წერს მკვლევარი **მარკ კერტისი** წიგნში „კოლონიური მეთოდები“: „ინგლისელი მინისტრები ამტკიცებენ, რომ ერაყში ბარბაროსებისგან იცავენ „ცივილიზაციას“. ეს ჰგავს 1950-იანი წლების კენიას, სადაც ინგლისელები ცდილობდნენ, ჩაეხშოთ ამბოხება კოლონიური ხელისუფლების წინააღმდეგ. კოლონიური პოლიცია იყენებდა ასეთ „მეთოდებს“: **ყურების მოჭრა, გაშოლტვა-გამათრახება სიკვდილამდე, ადამიანებისთვის პარაფინის გადასხმა და ცეცხლის წაკიდება“.** შედეგად, „ევროპელმა დემოკრატებმა“ 10 ათასი კენიელი გაანადგურეს, 90 ათასი კი შეყარეს საკონცენტრაციო ბანაკებში, სადაც იძულებით ამუშავებდნენ, სცემდნენ და შეურაცხყოფდნენ.

**ადენში** (იემენი) რამდენიმე წლის განმავლობაში მოქმედებდა ბრიტანეთის დაზვერვის ცენტრი, რომელშიც ადგილობრივ მოსახლეობას აწამებდნენ. გამოცემა The Guardian-მა ცოტა ხნის წინათ გამოაქვეყნა დოკუმენტები, რომელთა მიხედვით, კენიაში ტომ კიკუიიუს ზოგიერთი ამბოხებული ცოცხალი დაწვეს.

აი რა ხდებოდა **მალაიში:**

„პარტიზანებს, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ ინგლისის კოლონიურ მმართველობას, ჩვეულებრივ, ტერორისტებს უწოდებდნენ, — წერს მარკ კერტისი, — თუმცა საგარეო საქმეთა მინისტრის დოკუმენტებში

ომს აღწერდნენ, როგორც „კაუჩუკის მწარმოებელთა დაცვას“. მწარმოებლები კი ინგლისური კომპანიები იყვნენ.

კომუნიზმთან ბრძოლის საბაბით, ინგლისელ სამხედროებს სრული თავისუფლება მისცეს და სოფლები, რომლებმაც მხარი დაუჭირეს ამბოხებულებს, კოლექტიურად დასაჯეს.

ათიათასობით ადამიანი „ახალ სოფლებში“ ცხოველებივით შერეკეს. მათ იყენებდნენ, როგორც იაფ მუშახელს. ინგლისელი ჯარისკაცები პარტიზანების მოჭრილი თავების ფონზე იღებდნენ ფოტოებს. ამბოხება ჩაახშეს მასირებული დაბომბვებით“.

## აშშ-ის 51-ე შტატი

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ბრიტანეთმა საბოლოოდ დაუთმო ლიდერობა აშშ-ს და მისი დამოკიდებულება ძია სემზე სულ უფრო მტკიცდება. გამოცემა The Guardian-მა ცოტა ხნის წინათ განგაში ატეხა — ამერიკელებს, როდესაც ბირთვული შეიარაღების სფეროში თანამშრომლობაზე განაცხადეს, ფაქტობრივად, განზრახული აქვთ, ხელში ჩაიგდონ ჩვენი ბირთვული არსენალიო.

თუ არ გვექნება ჩვენი ბირთვული ფარი, მაშინ რა დამოუკიდებელი ქვეყანა ვართ? — ამბობს პარლამენტარი **ჯერარდ ბატენი.** მას მხარი აუბა პოლიტიკურმა მიმომხილველმა **ჯონ უატმა:** „ცივი ომი დასრულდა, მაგრამ დიდი ბრიტანეთის ტერიტორიაზე, როგორც ვიცი, კვლავ რჩება აშშ-ის 5 ავიაბაზა. რისთვის? ჩვენი რამდენი ავიაბაზაა აშშ-ის ტერიტორიაზე? — არც ერთი!

**შარშან ცნობილი შეიქნა, რომ ამერიკელებს განზრახული აქვთ, 200 მლნ დახარჯონ ავიაბაზა „კროუტონის“ მოდერნიზაციაზე ბრიტანეთში. არადა, სწორედ ამ ბაზის თანამშრომლებს ადანაშაულებდნენ ინგლისელთა მასობრივ თვალთვალში, მაგრამ ბრიტანეთის მთავრობა გულგრილად ეკიდება უცხო ქვეყნის ჩარევას თავისი მოქალაქეების პირად ცხოვრებაში. სწორედ ამიტომ დაწერა ერთ-ერთმა ბრიტანელმა სოციალურ ქსელში: „დიდი ხანია, ინგლისი მიდის თავისი ყოფილი კოლონიების კოლონიად გადაქცევის გზით.** დახვეწილი შურისძიებაა ისტორიისა, სადაც ლორდები გამოდიან ველური კაციჭამიების როლში, ინდოელები ქირაობენ ბრიტანელებს, ჩვენი ქვეყანა კი, ფაქტობრივად, აშშ-ის 51-ე შტატია. ღმერთო, დაგვიწყდა დედოფალი?!“

მოამზადა
**გიორგი გაჩეჩილაძე**

# «თავისუფლების ფასი»

## თვითნასწავლი მხატვრის — ალეკო ლომაძის პერსონალური გამოფენა

**ერთხელაც გაიღვიძო და აღმოაჩინო, რომ მხატვარი ხარ, ზღაპარს უფრო ჰგავს, ვიდრე სინამდვილეს. ალეკო ლომაძეს ფერწერა არც რომელიმე მხატვრის სახელოსნოში უსწავლია და არც სამხატვრო აკადემიაში. ვერც თვითონ ხსნის, რატომ გაუჩნდა ქვის ნაფხვენის წებოთი შეზავების, შემდეგ კი ამ „საღებავით“ ხატვის სურვილი. ის ქვას პირველად 1991 წელს შეეხო, როცა მაცხოვრის ჯვარცმა გამოაქანდაკა, ხოლო „ქვით ფერწერას“ მოგვიანებით დაეუფლა.**

საქართველოს პატრიარქის ლოცვა-კურთხევით დაწერილი ალეკო ლომაძის ხატები დღეს საქართველოს არაერთ ეკლესიაშია დასვენებული. მისი ნამუშევრებით თავის დროზე აღფრთოვანებული დარჩენილან ოტია იოსელიანი, რეზო ჩხეიძე, ჭაბუა ამირეჯიბი და სხვა ცნობილი ადამიანები, რომელთაც ახალგაზრდა კაცში იმთავითვე დაინახეს ღვთისგან მომადლებული ნიჭი.

მიუხედავად იმისა, რომ „ქვასთან ჭიდილი“ საკმაოდ შრომატევადია, დიდ ძალისხმევასა და ენერგიას მოითხოვს, შემოქმედი მზადაა, ასეთი წვალებით შექმნილი ნახატი გააჩუქოს, უშურველად გასცეს. მისი დახატული „ექვთიმე თაყაიშვილი“ ლიხაურის მუზეუმს უსახსოვრა, ასევე საიუბილეოდ დახატა დიმიტრი ყიფიანის პორტრეტი და ისიც ამ დიდი მამულიშვილის მშობლიურ სოფელს გადასცა.

ალეკო ლომაძემ შექმნა საქართველოს პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის პორტრეტი, რომელიც მხატვარმა უწმინდესის კურთხევით დახატა. ეს არის უნიკალური ნამუშევარი, რომლის სიმაღლე 2,20 მეტრია. მასზე ჩვენი ერის სულიერი მწყემსმთავარი, უწმინდესი და უნეტარესი, რუდუნებითა და საოცარი სიცხადითაა გამოსახული.

დღეს სამების ტაძარში ალეკო ლომაძის რამდენიმე ნამუშევარია გამოფენილი, მაგრამ მათ შორის განსაკუთრებით საყურადღებო მე მაინც საქართველოს რუკა მგონია, რომელზეც XIII საუკუნემდე საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ტაძრებია დატანილი და თანაც, რაც ყველაზე საინტერესოა, თითოეული მათგანი იმ კონკრეტული ტაძრის ქვითაა დახატული. ილია მეორის დაკვეთით, ვაზის ლერწითა და ფერადი ქვებით შესრულებულ ამ უნიკალურ ნამუშევარს თვეების განმავლობაში უტრიალებდა და ხვეწდა.

ალეკო ლომაძის ერთ-ერთი გამორჩეული ნამუშევარია რუსთაველის ფრესკის (საბერძნეთში ასე უპატიოდ რომ გადაფხიკა მავანმა და შემდეგ, არცთუ სახარბიელოდ, განაახლეს ბერძენმა მხატვრებმა) ანალოგი — მან რუსთაველი „თავისი საღებავით“ დახატა, რომლის გადაფხეკას ვერავინ შეძლებს.

მოგვიანებით ალეკო ლომაძემ ფერწერული ტილოები აკვარელითაც შექმნა და სხვადასხვა დროს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში გამოფინა. 2017 წელს კი მისი ნამუშევრები წარმოდგენილი იყო მალტის ქალაქ ვალეტაში გამართულ თანამედროვე ხელოვნების საერთაშორისო ბიენალეზე; ხოლო შარშან ზაფხულს ლიტვის ერთ-ერთ უნივერსიტეტში მოეწყო ლომაძის პერსონალური გამოფენა „ბედის ბორბალი“, რომელიც მხატვარმა ემიგრანტ ქალბატონებს მიუძღვნა და სხვ.

საზღვარგარეთული გამოფენების შემდეგ ალეკო ლომაძე საქართველოში ჩამოვიდა და უცხოეთში შექმნილი ნამუშევრების გაცნობა თანამემამულეებისთვის მშობლიური კუთხიდან — გურიიდან დაიწყო. მისი პერსონალური გამოფენები მნიშვნელოვან თარიღს დაუკავშირა — საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის 100 წლისთავს. ჯერ იყო ოზურგეთი, შემდეგ — ქობულეთი. **ამ დღეებში კი მისი პერსონალური გამოფენა „თავისუფლების ფასი“ საქართველოს მხატვართა კავშირის სამხატვრო გალერეა „ოპიზარში“ გაიხსნა, სადაც წარმოდგენილი იყო მხატვრის 200-მდე ფერწერული ტილო.**


მარცხნიდან: ალეკო ლომაძე, თამარ ჯავახიშვილი, გოგი დოლიძე, გურამ ცერცვაძე

„მხატვართა კავშირისთვის ალეკო ლომაძე იყო აღმოჩენა, — ასე გახსნა გამოფენა საქართველოს მხატვართა ეროვნული შემოქმედებითი გაერთიანების თავმჯდომარემ, ბატონმა **გურამ ცერცვაძემ**, — მიუხედავად იმისა, რომ მას აკადემიური განათლება არ აქვს, კარგად ფლობს ფერწერის ტრადიციებს და თავისი ინტელექტუალური შესაძლებლობებით აკეთებს იმას, რაც ასე შთამბეჭდავია მნახველისთვის. მხატვართა კავშირი მზად არის, ასეთ ნიჭიერ ადამიანებს გვერდით დაუდგეს“.

თვითნასწავლ მხატვარს, რომელიც ყოველგვარი იზმებისა და მიმდინარეობების გარეშე ალალად, გულწრფელად ამბობს თავის სათქმელს, მხატვართა კავშირის წევრობა მიულოცეს და წარმატებები უსურვეს ჭაბუა ამირეჯიბის მეუღლემ, პოეტმა **თამარ ჯავახიშვილმა**; კინომცოდნე **გოგი დოლიძემ**; ქობულეთის მუზეუმის დირექტორმა **რეზო ტაკიძემ** და სხვებმა.

**დარეჯან ანდრიაძე**







## «ღირსების რევოლუციის» ღირსეული შედეგი: უკრაინელები მასობრივად მიდიან ქვეყნიდან ლუკმაპურის საშოვნელად



**უკრაინულ ბიზნესმენებს უჭირთ მუშახელის პოვნა, — იუწყებოდა УНИАН-ი 14 ივნისის გამოშვებაში.**

ცნობის თანახმად, განსაკუთრებით გაუძნელდათ რესტორნებისა და „ტაქსის“ ბიზნესის მფლობელებს. უკრაინული გამოცემა აღნიშნავს, რომ შრომითი მიგრანტების 40 პროცენტი პოლონეთში საქმდება დაბალანაზღაურებად სამუშაოზე, 23,8 პროცენტი სპეციალობით არ არის დასაქმებული.

მასალაში ხაზგასმულია, რომ უკრაინის მოქალაქეები პოლონეთში უმეტესად არალეგალურად მუშაობენ და ყოველთვიურად 770-960 დოლარს გამოიმუშავებენ.

უკრაინის ეროვნული ბანკის განცხადებით, შრომითი მიგრაცია სერიოზულ რისკებს უქმნის ქვეყნის ფინანსურ სტაბილიზაციას.




## ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

ტელ: 599-722-138; 247-58-83
მის.: წერეთლის №142, I სართ.
კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი

საქართველო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

http://www.geworld.ge

სარედაქციო კოლეგია
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru

ISSN 2233-3894